ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
14 ივნისი **ორშაბათი** 2010
№ 137 (13 125) ფასი 60 თეთრი



» გვერდი 5

## ასეთია მეკარის ცხოვრება

# პირველი სპექტაკლი




» გვერდი 2



## ინიესტა მწყობრშია

## დღეს მსოფლიოს ჩემპიონიც იწყებს...

...რიხით თუ ტრადიციულად მძიმედ?

F ჯგუფი



## პოლანდია ლიდერის გარეშე

» გვერდი 9

E ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

D ჯგუფი

# თითით საჩვენებელი გერმანია

13 ივნისი. დურბანი. მოზეს მაბჰიდა. 62 660 მაყურებელი

**გერმანია–ავსტრალია 4:0**

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ფრიდრიხი, ბადშტუბერი - ხედირა, შვაინშტაიგერი - მიულერი, იოზილი (74. გომესი), პოდოლსკი (81. მარინი) - კლოზე (68. კაკაუ).

**ავსტრალია (4-4-2):** შვარცერი - ვილკშირი, ნეილი, მური, ჩიპერფილდი - ემერტონი (74. იედინაკი), ვალერი, გრელა (46. ჰოლმანი), კულინა - გარსია (64. რუკავიცა), კეჰილი.

**გოლები:** 1:0 პოდოლსკი (8), 2:0 კლოზე (27), 3:0 მიულერი (68), 4:0 კაკაუ (70)

**გაძევება:** კეჰილი (56. ავსტრალია)

**მატჩი დაიწყო:** ავსტრალია; **გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 17(9)-11(2); **ჯარიმა:** 10-18; **კუთხური:** 4-7; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**არბიტრი:** მარკო ანტონიო როდრიგეს მორენო (მექსიკა)

**მატჩის ქრონოლოგია**

8' - **იოზილმა კულინა** ჩამოიშორა და **მიულერი** მოძებნა, რომელმაც კარგი პასით ავსტრალიის მთელი დაცვა გააცურა, ბურთს კი **ლუკას პოდოლსკი** ელოდა, რომელმაც 12 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა. **შვარცერმა** ბურთს ხელი ნაატანა, მაგრამ დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბურთი კარში მაინც შევარდა.

27' - ნახევრად მემარჯვენე პოზიციიდან, **ლამმა** ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, შვარცერმა კარი დატოვა, მაგრამ გამოსვლაზე აშკარად შეცდა, ვერ მოზომა, **კლოზე** კი ახტა და ბურთი „კენგურუების" კარში 11 მეტრიდან თავით ჩააჭედა.

56' - **კეჰილის** უდროო და უსარგებლო ვარდნა უკნიდან **შვაინშტაიგერზე**. ეს არ იყო სასტიკი მოცელვა, მსაჯს კეჰილი უნდა დაენდო, მან კი ეგრევე წითელი ბარათი აუფრიალა.

68' - პოდოლსკიმ შეტევისას ცენტრისკენ შეიწია და მიულერს უპასა. თომასმა ავსტრალიის ნაკრების ცენტრალური მცველები ერთი მოძრაობით გაასრიალა და 16 მეტრიდან ბრწყინვალე, მოზომილი დარტყმით გაიტანა (ეს იყო მიულერის პირველი გოლი გერმანიის ნაკრებში)

70' - **ბადშტუბერის** პასი იოზილის მისამართით, მესუთმა საჯარიმოში თავისუფლად შეაღწია და გვერდით მდგარ **კაკაუს** უპასა, რომელსაც ისღა დარჩენოდა, რომ ბურთი ახლო მანძილიდან შვარცერის კარში გადაეგზავნა - 4:0.



მიულერს გააქვს მესამე გოლი ავსტრალიის კარში



პოდოლსკის ნაკრებში ყოველთვის გააქვს...

## ...მაგრამ ავსტრალია არ არის ისეთი სუსტი...

საფრანგეთს, არგენტინას და ინგლისს, გრანდებს, რომლებმაც თავიანთი პირველი თამაშები უკვე ჩაატარეს, გუშინ, გერმანიამ აჩვენა, თუ როგორი მონდომებით და შემართებით უნდა ითამაშოს გუნდმა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენზია აქვს. გადაჭარბებული არც ის იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბუნდესგუნდმა ასეთი თამაშით ყველა პირდაღებული დაგვტოვა, რადგან ფაქტია, რომ **იოახიმ ლიოვის** გუნდისგან ასეთ თავბრუდამხვევ და შედეგიან ფეხბურთს არავინ ელოდა. ავსტრალია არ არის ისეთი სუსტი, როგორც გუშინ გამოჩნდა და ეს, რა თქმა უნდა, გერმანიის ნაკრების დამსახურება იყო.

არადა, თამაში გერმანელებისთვის შოკისმომგვრელი საგოლე მომენტით დაიწყო, რომელიც ავსტრალიელებმა პირველივე წუთზე შექმნეს. თუმცა, ეს იყო „კენგურუების" პირველი და უკანასკნელი რეალური მომენტი. გერმანია ეგრევე გონს მოეგო, ბურთსა და უპირატესობას დაეუფლა, მეტოქეს ნელნელა დაუწყო მოგუდვა და როგორც სათამაშო, ისე მენტალური უპირატესობა საფინალო სასტვენამდე აღარ დაუთმია. გერმანელები აკონტროლებდნენ როგორც ბურთს, ისე მეტოქეს და ზოგადად მატჩს.

იოახიმ ლიოვის ტაქტიკური სქემა ისეთი იყო, როგორსაც ველოდით: 4-2-3-1. თავდასხმაში, მოლოდინისამებრ კლოზე ვიხილეთ, მარჯვენა ნახევარმცველად მიულერი, მარცხენა მცველად კი ბადშტუბერი. ავსტრალიელთა განლაგება (4-4-2) იყო და ძირითადი შემადგენლობა კი პირდაპირ მიუთითებდა იმაზე, რომ „კენგურუები" პრაგმატულ, „მომლოდინე ტაქტიკას" აირჩევდნენ, დაცვაში კომპაქტურად დგომას ეცდებოდნენ და საკუთარ შანსს მორჩილად დაელოდებოდნენ. მაგრამ ავსტრალიის ნაკრებს აბსოლუტურად არაფერი გამოუვიდა. მიზეზი: გერმანია იყო თითით საჩვენებელი! ბუნდესგუნდი ტემპში, მოკლე პასებით თამაშობდა და ლიოვის ბიჭები კომბინაციებს ხშირ შემთხვევებში იმდენად სწრაფად ათამაშებდნენ, რომ მეტოქე სასტიკად იბნეოდა. გერმანიის ნაკრების ნახევარდაცვა პირველიდან ბოლო წუთამდე ძალიან მობილური, მოძრავი და მსუბუქი გახლდათ, რაც მიულერისა და იოზილის დამსახურებაა. ორი აზრი არ არსებობს: ლიოვმა სწორი ქნა, როცა **პიოტრ ტროხოვსკი** სკამზე დატოვა და მის ნაცვლად მიულერი ათამაშა. თომასმა, გარდა ტექნიკურად ბრწყინვალედ შესრულებული გოლისა, შესანიშნავი საგოლე პასიც გააკეთა.

ცალკე სასაუბრო თემაა **პოდოლსკი**, ისევე, როგორც კლოზე. საინტერესოა, რას უკეთებს ლიოვი ამ ორ ფეხბურთელს ისეთს, რომ რაც არ უნდა კატასტროფულად ჩაატარონ სეზონი კლუბში, პოლდიცა და მიროც, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ნაკრებში იდეალურად გამოიყურებიან ხოლმე. გუშინ პოდოლსკიც მოწოდების სიმაღლეზე იდგა (გოლი და პასი) და კლოზემაც გაიხსენა გოლის გემო. ეს მიროს მე-11 გოლი გახლდათ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. რეკორდსმენ **რონალდოს** 15 გოლი აქვს გატანილი...

გერმანიის უპირატესობა განსაკუთრებით თვალსაჩინო მეორე ტაიმში გახდა, როცა ავსტრალიამ სცადა მასირებული შეტევების განხორციელება, მაგრამ გერმანიამ არაფერი გააბედინა. აი, ამის შემდეგ კი, „კენგურუებმა" თამაშის წესების დარღვევა დაიწყეს ხელი, რასაც მოჰყვა კიდეც ერთობ საკამათო გაძევება: მექსიკელმა არბიტრმა ავსტრალიელთა ლიდერ კეჰილს წითელი ბარათი აუფრიალა. ჩვენ ვიტყოდით, რომ ტიმი ეგრევე გაძევებას არ იმსახურებდა, ყვითელი ბარათი სავსებით საკმარისი იქნებოდა, მაგრამ აქვე ვთქვათ, რომ კეჰილის გაძევებამ მხოლოდ ანგარიშზე თუ მოახდინა გავლენა და არამც და არამც შედეგზე...

**საუკეთესო ფეხბურთელი**

მესუთ იოზილი (გერმანია)

**მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, ფილიპ ლამმა თქვა, გერმანიის ნაკრები ტიპური გერმანული გუნდი აღარ არისო. ეს მართლაც ასეა და ამის უმთავრესი მიზეზი თურქული წარმოშობის ახალგაზრდა გამთამაშებელი მესუთ იოზილი გახლავთ. ის გერმანიის თამაშს და შეტევებს, გააზრებულობას და სიმსუბუქეს მატებს და იოზილის კრეატიულობით მთელი გუნდი სარგებლობს. ავსტრალიასთან მესუთმა პირველ გოლში ლომის წილი შეიტანა, ბოლოს კი კაკაუს გაატანინა ჩინებული პასით. შესვენების დროს, ტელეკომპანია „სქაი სპორტში" მიწვეულმა ექსპერტმა ფრანც ბეკენბაუერმა ლოგიკურად თქვა, იოზილი უკვე მსოფლიო დონის ვარსკვლავიაო. ჰო, ისე, საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას თომას მიულერიც იმსახურებდა...**

**მატჩის შემდეგ**

იოახიმ ლიოვი (გერმანიის ნაკრების მწვრთნელი): **„დასამალი არაფერია, მატჩის წინ ყველანი ძალიან დაძაბულები ვიყავით, ახლა კი გულზე მოგვეშვა. ეს გამარჯვება თავდაჯერებასაც შეგვმატებს. ერთი მოგებაც და მერვედფინალში თამაში გარანტირებული გვექნება. კიდევ ერთხელ შევაქებ კლოზეს და პოდოლსკის. მე მათ შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შემპარვია. დღეს შესანიშნავად ითამაშეს მიულერმა და იოზილმაც".**

პიმ ვერბეეკი (ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელი): **„ათ წუთში გოლის გაშვებამ დაგვღუპა. მეორე გოლის ძალიან მალე გავუშვით და იქ უკვე მივხვდი, რომ ამ მატჩში განწირულები ვიყავით. გერმანიის ნაკრებთან წაგება კატასტროფა არ არის. წინ ორი ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გვაქვს".**

**გოტფრიდ ლენცი**

ექსპრეს-ინფორმაცია

## ახალი პრეზიდენტი სანდრო როსელია

„ბარსელონას" ახალი პრეზიდენტი ჰყავს. გუშინ გამართულ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა სანდრო როსელმა, რომელმაც ხმების 61 პროცენტი მოაგროვა და კონკურენტები უმოწყალოდ დაჯაბნა. ამით დასრულდა ჟოან ლაპორტას 7-წლიანი ეპოქა, რომელმაც „ბლაუგრანას" თვალსაჩინო წარმატებები მოუტანა. მარტო 2009 წელს კატალონიურმა გრანდმა 6 ჯილდო მოიგო. ვნახოთ, რას მოუტანს „ბარსას" როსელის ერა...



სანდრო როსელი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## D ჯგუფი

13 ივნისი. პრეტორია. ლოფტუს ვერსფელდი. 38 833 მაყურებელი

**სერბეთი–განა 0:1**

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი - ივანოვიჩი, ვიდიჩი, ლუკოვიჩი, კოლაროვი - სტანკოვიჩი, მილიაში (62. კუჟმანოვიჩი) - კრაშიჩი, იოვანოვიჩი (76. სუბოტიჩი) - პანტელიჩი, ჟიგიჩი (69. ლაზოვიჩი).

**განა:** კინგსონი - პანტსილი, ვორსა, მენსა, შარპეი - ანანი - ტაგოე, ასამოა (73. აპია), კ. პ. ბოატენგი (91. ადი), აიევი - გიანი (91. ოვუსუ-აბეიე).

**გოლი:** 0:1 გიანი (84-პენალტით)

**გაძევება:** ლუკოვიჩი (74. სერბეთი)

**მატჩი დაიწყო:** განა; **გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 14(2)-15(1); **ჯარიმა:** 10-16; **კუთხური:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**არბიტრი:** ექტორ ვალტერ ბალდასი (არგენტინა)

**მატჩის ქრონოლოგია**

30' - სერბეთის ნაკრები მეტოქის კართან ხიფათს მხოლოდ სტანდარტულების დროს ქმნის. **კოლაროვმა** 22 მეტრიდან ძალიან სახიფათო საჯარიმო დარტყმა შეასრულა. ბურთი განის ნაკრების კარს მცირე მანძილით ასცდა.

55' - **ტაგოემ** მარჯვენა ფლანგზე გაილალა და თავისუფლად ჩააწოდა. მას შორეულ ძელთან **აიევი** გამოეხმაურა, მაგრამ თავით არაზუსტად დაარტყა.

61' - განელების გრძელი აუტი, **გიანმა** საჰაერო ბრძოლა მოიგო, მაგრამ მისი თავური დარტყმის შემდეგ, შვიდი მეტრიდან, ბურთი სერბეთის კარის ძელს მოხვდა.

74' - **ლუკოვიჩმა** მოედნის ცენტრში **ანანს** მაისურზე მძლავრად დაქაჩა, რის გამოც მეორე გაფრთხილება მიიღო და შესაბამისად, წითელი ბარათი დაიმსახურა. სერბები კაცნაკლულები დარჩნენ.

79' - სერბების შესანიშნავი შანსი: **ლაზოვიჩის** გამჭოლი პასი საჯარიმოში, **პანტელიჩმა** ბურთს ფეხი ააცილა, **კრაშიჩმა** კი დაარტყა, მაგრამ პირდაპირ განელთა მეკარისკენ, რომელმაც ბურთი მუშტებით მოიგერია.

83' - პენალტი სერბეთის კარში: აიევის ჩაწოდების შემდეგ, **კუჟმანოვიჩს** ბურთი ხელზე მოხვდა. საკამათო არაფერია, განა პენალტს დაარტყამს.

84' - გიანის გამორბენი, დარტყმა და 1:0. **სტოიკოვიჩი** მოტყუვდა და ბურთის მოგერიების შანსი არ ჰქონდა.

# სერბეთი მიწაზე დაეშვა!

## განა პირველი აფრიკული მერცხალია

...და ასე უნდათ სერბებს მინიმუმ, რაც შეიძლება შორს წასვლა და მაქსიმუმ მსოფლიოს ჩემპიონობა? **რადომირ ანტიჩის** ამბიციური გუნდი ასეთი თამაშითა და შემართებით ჯგუფიდანაც კი ვერ გავა! განის ნაკრები ჯერ ისედაც რა არის და მერე, **მიკაელ ესიენის** გარეშე დარჩენილი რაღა უნდა ყოფილიყო - გასაკვირი სულაც არ არის ის, რომ ამ გუნდს ბევრს არაფერს უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ნახეთ, **მილოვან რაიევაცის** (რომელიც, სხვათა შორის, სერბია) გუნდმა, ამ წყვილში ფავორიტად შერაცხულ სერბეთს აბსოლუტურად დამსახურებულად მოიგო.

ანტიჩის გუნდი ვერ უტევდა, ფეხბურთელები უმარტივეს სიტუაციებში ცდებოდნენ. მოკლე პასები, მაღალი ჩაწოდებები, შორეული დარტყმები - გუშინ, სერბული ფეხბურთისთვის დამახასიათებელი ატრიბუტიკების ათი პროცენტიც ვერ ვნახეთ. სერბები უმეტესად მაღალ ბურთებს გზავნიდნენ **პანტელიჩ-ჟიგიჩის** წყვილისკენ, რომლებსაც განის ნაკრების ცენტრალური მცველები **ვორსა და მენსა** მშვენივრად აკონტროლებდნენ. ნაქებმა **მილოშ კრაშიჩმა** მარჯვენა ფლანგზე ვერანაირი ხიფათი ვერ შექმნა, მარცხნივ კი **იოვანოვიჩი** არ ვარგოდა. კრეატიულობის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდათ ცენტრალურ ნახევარმცველებს, გუნდის ლიდერ **სტანკოვიჩის** და **მილიაშს**. **კინგსონის** კართან ნაძალადევი ხიფათის შექმნას სერბები მხოლოდ სტანდარტული მდგომარეობის დროს ახერხებდნენ და ერთადერთი, რის გამოც ანტიჩის გუნდი უნდა შევაქოთ, ის არის, რომ როცა ბურთს განა ფლობდა, სერბები სიამოვნებით დარბოდნენ. სამაგიეროდ, დაეუფლებოდნენ თუ არა ბურთს თვითონ, მაშინვე ჩერდებოდნენ...

განის ნაკრებმა გაცილებით გააზრებული ფეხბურთი ითამაშა. კარგი თამაში ჩაატარა **კევინ-პრინს ბოატენგმა**. ის და **ანანი**, მოედნის ცენტრიდან ძალიან კარგად კომბინირებდნენ გარემარბებთან, **აიევთან** და **ტაგოესთან**, რომლებსაც, უკნიდან შარპეი და პაინტსილი ეხმარებოდნენ. შესაბამისად, სერბეთის ნაკრების ფლანგის მცველები, კოლაროვი და ივანოვიჩი მთელი მატჩის განმავლობაში წნეხის ქვეშ იყვნენ მოქცეულები.

მოკლედ, განამ აბსოლუტურად ლოგიკურად მოიგო. მართალია, თერთმეტმეტრიანით, მაგრამ დამსახურებულად - თანაც, პენალტი ასპროცენტიანი გახლდათ. ასე რომ, სერბებს ერჩივნათ, ბევრი ბაქი-ბუქის ნაცვლად, კარგად ევარჯიშათ. ფაქტია, რომ ანტიჩის გუნდის მდგომარეობა ამ მარცხმა ძალიან დაამძიმა. სერბებს ახლა გერმანიის და ავსტრალიის დამარცხება სჭირდებათ იმისათვის, რომ ჯგუფიდან გავიდნენ. თანაც, ანტიჩს ბევრი დრო არ აქვს იმისათვის, რომ კარგად გააანალიზოს, რატომ ვერ გამოიყენეს მისმა შეგირდებმა უდიდესი პოტენციალი, რომელიც, ამ გუნდს ვერ დავუკარგავთ და, მართლა აქვს.

არადა, არც განის ნაკრები უქნია მაინცდამაინც ღმერთს. უბრალოდ, აფრიკელებმა უფრო აზრიანად ითამაშეს - ეს იყო და ეს. რაიევაცმა ლიდერ **ესიენის** არყოფნის კომპენსირება ტაქტიკური დისციპლინითა და გუნდისთვის უდიდესი მონდომების ჩანერგვით შეძლო. სხვათა შორის, ტურნირის წინ, განელებმაც თქვეს, ძალიან შორს უნდა გავიდეთ, როგორც მინიმუმ, მერვედფინალს უნდა გავცდეთო. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია...

**საუკეთესო ფეხბურთელი**

ჯონ მენსა (განა)

**განის ნაკრების დაცვის ბურჯმა და დროებითმა კაპიტანმა ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა. ცენტრალური მცველი ჯონ მენსა უშეცდომო და იდეალური იყო, როგორც პოზიციური თამაშისას, ისე ორთაბრძოლებშიც. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მას უმეტესად მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე მაღალ თავდამსხმელთან, ნიკოლა ჟიგიჩთან ჰქონდა საქმე.**

**მატჩის შემდეგ**

ასამოა გიანი (განის ნაკრების ფორვარდი): **„ღმერთის დახმარებით მოვიგეთ. ამ მატჩის მოგებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ვფიქრობ, ჩვენმა გამარჯვებამ ყველა აფრიკელი გაახარა“.**

რადომირ ანტიჩი (სერბეთის ნაკრების მწვრთნელი): **„მატჩის ბედი ლუკოვიჩის წითელმა ბარათმა გადაწყვიტა, ანუ ერთმა შეცდომამ. განის ნაკრებს დღეს უბრალოდ უფრო გაუმართლა, ვიდრე ჩვენ. რომ არა თერთმეტმეტრიანი, განას დღეს მოგების შანსი არ ექნებოდა. მარცხი ჩვენთვის დიდი შოკია, მაგრამ ამ შოკიდან აუცილებლად გამოვალთ.“**

გოტფრიდ ლენცი

## C ჯგუფი

# კურიოზები თუ დაგვამახსოვრდებოდა...

პირველი ტურის შემდეგ C ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი... სლოვენიის ნაკრებია! აი, ამას კი, ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა, თუმცა, სლოვენიელებს წინ ორი ურთულესი მატჩი ელოდებათ ჯგუფის ფავორიტებთან და ამ გუნდის რეალური შესაძლებლობებიც მერე გამოჩნდება. თუმცა, ფინალური ტურნირის გამარჯვებით დაწყება პატარა საქმე არ არის; მით უფრო, რომ გუშინდელი მოგება სლოვენიელთათვის პირველი წარმატებაა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში.

...წინდაწინ ვთქვათ: ალჟირი-სლოვენიის შეხვედრა, ჯერჯერობით ამ ჩემპიონატის ყველაზე მოსაწყენი მატჩი გამოდგა. რა თქმა უნდა, ორივე გუნდის ფეხბურთელებს მონდომებას ნამდვილად ვერ დავუკარგავდით, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში ორივე კართან თითზე ჩამოსათვლელი მომენტები თუ შეიქმნა; ტემპიც საკმაოდ დაბალი იყო და, ფაქტობრივად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომელიმე კარში გოლი... რაღაც „განსაკუთრებული შემთხვევის“ შემდეგ უნდა გასულიყო. ისე, ამ ჯგუფს კურიოზული გოლები „დაებედა“, - ინგლისელთ მეკარის **რობერტ გრინის** „ვაჟკაცობაზე“ ბევრს აღარ ვისაუბრებთ; მთლად, მსგავსი რამ არ ჩაუდენია, მაგრამ ალჟირელთა მეკარე **ფაუზი შაუშმაც** გვარიანად დაალალატა თანაგუნდელები - სლოვენიელთა ერთ-ერთი იშვიათი შეტევის დროს, ინგლისური „ვესტ ბრომვიჩის“ ნახევარმცველმა **რობერტ კორენმა** საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი მეტოქის კარის შორეული კუთხისკენ გაგზავნა; აუღებელი ბურთი ნამდვილად არ იყო, მაგრამ შაუშიმ უხეში შეცდომა დაუშვა (ვერაფრით გაერკვა, დარტყმა როგორ უნდა მოეგერიებინა) და ამ ყოვლად ულიმლამო მატჩში ერთი გოლი მაინც ვნახეთ. არადა, სლოვენიელებს მეტი მომენტი არც მანამდე ჰქონიათ და არც მერე; იმას სახიფათო მომენტებს ნამდვილად ვერ დავარქმევთ, **ვალტერ ბირსამ** (პირველ ტაიმში) და **ანდრაჟ კირმმა** (მეორე ტაიმში) თამაში რომ გაამწვავეს და ალჟირელთა კარს შეუტიეს. იმავეს ვიტყოდით ალჟირელებზეც, რომელთა შემადგენლობაშიც მხოლოდ ერთადერთი ფეხბურთელი აქტიურობდა მთელი მატჩის განმავლობაში: ინგლისური „პორტსმუთის“ მარცხენაფლანგელი **ნადირ ბელჰაჯი** მეტოქის კარს რამდენჯერმე დაემუქრა, ამასთან თითქმის ყველა „სტანდარტულსაც“ იგი ასრულებდა. თუმცა უშეცდომოდ თამაშობდა მოედანზე მყოფთაგან ალბათ, ყველაზე მაღალი დონის ფეხბურთელი, სლოვენიელთა მეკარე **სამირ ჰანდანოვიჩი**. ერთი მხრივ, ეს ამბავი გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო: ჰანდანოვიჩი უკვე წლებია სერია A-ში ერთ-ერთ გამორჩეულ მეკარედ მიიჩნევა და **ანტონიო დი ნატალეს** შემდეგ „უდინეზეს“ ერთ-ერთი ლიდერიც გახლავთ. ჰანდანოვიჩის ძალიან ბევრი სამუშაო არ ჰქონია, მაგრამ კარში წასული ყველა ბურთი მოიგერია; მოკლედ, საკუთარი კლასი დაამტკიცა, რასაც ვერ ვიტყვით ალჟირელთა ორ ყველაზე ცნობილ ფეხბურთელზე: „ვოლფსბურგის“ ცენტრალური ნახევარმცველი **ქარიმ ზიანი** მოედანზე შეუმჩნეველი იყო, იტალიური „სიენას“ ფორვარდმა **აბდელკადერ გეზალიმ** კი ურუგვაელი **ნიკოლას ლოდეიროს**... რეკორდი „მოხსნა“! ჰო, შეგახსენებთ, რომ საფრანგეთთან შეხვედრაში ლოდეირო შეცვლაზე შემოვიდა და 18 წუთში... ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო; აი, გეზალის კი უფრო ნაკლები დრო დასჭირდა: მოედანზე შემოვიდა თუ არა, რამდენიმე წამში უხეში თამაშისთვის პირველი გაფრთხილება მიიღო, 14 წუთის შემდეგ კი, მეტოქის საჯარიმოში მაღალი ბურთი ხელით „ჩამოილო“ და ისე აპირებდა შეტევის გაგრძელებას! შეხვედრის გვატემალელ არბიტრს ბევრი არც უფიქრია - გეზალის ყვითელი ბარათი უჩვენა და ალჟირი, ჯერ ისე რას თამაშობდა, რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილი რაღას იზამდა. არც მეტოქეს დაუწყია „ფრენა“, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კორენის დარტყმას ალჟირელთა მეკარის „უცნაური“ ნახტომი მოჰყვა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ C ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი .. სლოვენიის ნაკრებია!

13 ივნისი. პოლოკვანე. პეტერ მოკაბა. 30 325 მაყურებელი

**ალჟირი–სლოვენია 0:1**

**ალჟირი:** შაუში - ბუგერა, ჰალიშე, იაჰია - კადირი (82. გედიურა), ლასენი, იებდა, ბელჰაჯი - ზიანი - მატმური (81. საიფი), ჯებური (58. გეზალი).

**სლოვენია:** ს. ჰანდანოვიჩი - ბრეჩკო, ცესარი, შულერი, იოკიჩი - კირმი, რადოსავლიევიჩი (87. კომაცი), კორენი, ბირსა (84. პეჩნიკი) - დედიჩი (52. ლუბიანჩიკი), ნოვაკოვიჩი

**გოლი:** 0:1 კორენი (79)

**გაძევება:** გეზალი (73. ალჟირი).

**მატჩი დაიწყო:** ალჟირი; **დარტყმა:** 11(2)-7 (4); **ჯარიმა:** 17-10; **კუთხური:** 4-3; **გაფრთხილება:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

არბიტრი: **კარლოს ბატრესი (გვატემალა)**

**მატჩის ქრონოლოგია**

3' - **ნადირ ბელჰამიმ** საჯარიმო სახიფათოდ შეასრულა - **სამირ ჰანდანოვიჩმა** ბურთი გაჭირვებით მოიგერია.

36' - **ქარიმ ზიანის** კუთხურს რაფიკ **ჰალიშის** თავური დარტყმა მოჰყვა - ბურთი მიზანს მცირედით ასცდა.

40' - **ქარიმ მატმურმა** მარცხენა ფეხით სახიფათოდ დაარტყა - ოდნავ არაზუსტად.

43' - **ვალტერ ბირსას** დარტყმული ბურთი **ფაუზი შაუშიმ** კუთხურზე მოიგერია.

60' - **ანდრაჟ კირმი** მარცხენა ფლანგიდან უტევდა - ალჟირელთა მეკარეს ბურთის მოგერიება არ გასჭირვებია.

70' - **აბდელკადელ გეზალის** თავური დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

73' - შეცვლაზე შემოსულმა აბდელკადელ გეზალიმ 15-წუთიან მონაკვეთში ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო და მოედნიდან გააძევეს.

78' - ჰანდანოვიჩმა საკუთარი და თავის გუნდის მცველების შეცდომა თავგანწირული ვარდნით გადაარჩინა.

79' - 0:1. **რობერტ კორენმა** საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი მეტოქის მეკარისაგან შორეულ კუთხეში გაგზავნა.

**ანტიგმირები**

გეზალი, შაუში

(ორივე ალჟირი)

**იმდენად მოსაწყენი მატჩი გამოდგა, რომ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე ვერც ავარჩიეთ. რა თქმა უნდა, ერთადერთი გოლის ავტორის რობერტ კორენის გარჯაც დასაფასებელია და სლოვენიელთა მეკარის სამირ ჰანდანოვიჩის ჩვეული, საიმედო თამაშიც; თუმცა, მივიჩნიეთ, რომ ვერც ერთი იმსახურებდა „მატჩის ფეხბურთელობას“. სამაგიეროდ, ამ შეხვედრას ორი... ანტიგმირი ჰყავდა: ალჟირის ნაკრების მეკარე ფაუზი შაუში და ამავე გუნდის ფორვარდი აბდელკადერ გეზალი. პირველი მათგანის უხეშ შეცდომას მატჩის ერთადერთი გოლი მოჰყვა, მეორემ კი 14 წუთში ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო!..**

**მატჩის შემდეგ**

რაბახ საადანი - (ალჟირის ნაკრების მწვრთნელი): **„ამ ახალი ბურთის ტრაექტორიის განსაზღვრა ძალიან ძნელია და რაც მოხდა ინგლისი-აშშ-ის მატჩში, თითქმის იგივე განმეორდა დღევანდელ შეხვედრაშიც. ახლა ჩვენ ურთულესი მატჩი გველოდება ინგლისთან, სადაც, გულახდილად ვიტყვი, რომ ქულების მოპოვება ძნელი იქნება. ამიტომაც გული მწყდება, რომ დღეს ასე წარუმატებლად ვიასპარეზეთ“.**

მატიაჟ კეკი - (სლოვენიის ნაკრების მწვრთნელი): **„მოედნის საფარი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. თავს არ ვიმართლებთ: ალჟირიც ხომ ამავე მოედანზე თამაშობდა; მაგრამ, ასეთ საფარზე ხარისხიანი ფეხბურთის ჩვენება გამორიცხული იყო. რაც შეეხება შედეგს, მიმაჩნია, რომ ეს გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია და მომდევნო მატჩებსაც უფრო დამაჯერებლად ჩავატარებთ“.**

გია ტუხაშვილი



კურიოზული გოლი ალჟირის ნაკრების კარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

C ჯგუფი

# მარადიული ფავორიტის მარადიული პრობლემები

12.06. რუსტენბურგი. როიალ ბაფოკენგი. 38 646 მაყურებელი

**ინგლისი-აშშ 1:1**

**ინგლისი:** გრინი - ჯონსონი, ტერი, კინგი (46. კარაგერი), ე. კოული - ლენონი, ლემპარდი, ჯერარდი, მილნერი (31. რაიტ-ფილიპსი) - რუნი, ჰესკი (79. კრაუჩი).

**აშშ:** ჰოვარდი - ჩერუნდოლო, ონიევუ, დიმერიტი, ბოკანეგრა - დონოვანი, მ. ბრედლი, კლარკი, დემპსი - ალტიდორი (86. ჰოლდენი), ფინდლი (76. ბადლი).

**გოლები:** 1:0 ჯერარდი (4), 1:1 დემპსი (40)

**მატჩი** დაიწყო: აშშ; **დარტყმა:** 18(8)-13(4), **ჯარიმა:** 12-14; **კუთხური:** 8-4; **გაფრთხილება:** 3-3; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მატჩის ქრონოლოგია**

4' - 1:0 - გლენ **ჯონსონი-ფრენკ ლემპარდი-ემილ ჰესკის** კომბინაცია **სტივენ ჯერარდის** ეფექტური და ზუსტი დარტყმით დამთავრდა.

11' - **კლინტ დემპსის** თავური დარტყმა **რობერტ გრინმა** მოიგერია

12', 13', 14' - **ლენდონ დონოვანმა** ზედიზედ სამი კუთხური მოაწოდა ინგლისის ნაკრების კართან

19' - დონოვანის სახიფათო გადაცემას ვერც **ჯოზი ალტიდორი** მიწვდა, ვერც - **კლინტი დემპსი.**

20' - **უეინ რუნის** ჩინებული პასის მერე **აარონ ლენონმა** მეტოქის საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გააკეთა - ბურთმა სტივენ ჯერარდამდე ვერ მიაღწია.

29' - ემილ ჰესკისთან შეჯახების შემდეგ **ტიმ ჰოვარდმა** ტრავმა მიიღო და ექიმების დახმარება დასჭირდა.

39' - ინგლისელთა კარს კვლავ ლენდონ დონოვანი უტევდა

40' - 1:1 - კლინტ დემპსიმ 25 მეტრიდან ბურთი მეტოქის კარის მიმართულებით გაგზავნა, რობერტ გრინმა კი უხერხულად მოიგერია და კურიოზული გოლიც გავიდა.

41' - ტიმ ჰოვარდმა გლენ ჯონსონის დარტყმა მოიგერია

52' - რეალური მომენტი აშშ-ს ნაკრების კართან: ლენონის პასით ჰესკი ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ ჰოვარდს ვერ აჯობა.

63' - ფრენკ ლემპარდის შორეული დარტყმა ჰოვარდმა მოიგერია

64' - გლენ ჯონსონმა ბურთი ამერიკელთა კარს ააცილა

65' - ჯოზი ალტიდორმა სისწრაფეში დაჯაბნა **ჯეიმი კარაგერი** და მახვილი კუთხიდან ცდილობდა გოლის გატანას; ბურთი რობერტ გრინმა მოიგერია, შემდეგ კი ინგლისელთა კარის ძელს მოხვდა.

76' - **შონ რაი-ფილიპსი** ეფექტურად ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ ტიმ ჰოვარდს ვერ აჯობა.

77' - უეინ რუნი ერთი წუთის განმავლობაში სამჯერ აღმოჩნდა დასარტყამ პოზიციაზე.

...უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებებს ერთმანეთში აქამდე ფრედ არც ერთხელ ეთამაშათ! და აი, ურთიერთშეხვედრებში პირველი საყაიმო ანგარიშიც დაფიქსირდა, ვისთვის, შესაძლოა, მოულოდნელობა რომ იყო, ჩვენი აზრით კი - აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი...

ჰო, როგორ შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონატის „ხმაურიან სენსაციად" შეფასდეს საკმაოდ ორგანიზებული და ტაქტიკურად განსწავლული გუნდის არწაგება? თან, ნუ დაგვავიწყდება, რომ ფიფა-ს რეიტინგში აშშ-ის ნაკრები XIV ადგილზე იმყოფება და მხოლოდ ექვსი საფეხურით ჩამორჩება ამ მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ ინგლისის ნაკრებს. ამას გარდა, ამავე ჯგუფის დანარჩენი ორი გუნდის „სიძლიერეს" თუ გავითვალისწინებთ, ინგლისიც და აშშ-ც უპრობლემოდ უნდა გავიდნენ შემდეგ ეტაპზე.

...ორივე გუნდის მთავარ მწვრთნელს, **ფაბიო კაპელოსა** და **ბობ ბრედლის** ერთმანეთისთვის და გულშემატკივრებისათვისაც რაიმე სიურპრიზი არ შეუთავაზებიათ. აშშ-ის ნაკრები, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით წარდგა, თუ არ ჩავთვლით თავდასხმაში **რობი ფინდლის** გამოჩენას; აღსანიშნავია, „სოლტ-ლეიკ სიტის" 24 წლის ფორვარდი ერთადერთი ფეხბურთელი იყო აშშ-ის ნაკრებში, ვინც MLS-ის ჩემპიონატში მონაწილეობს. დანარჩენები კი ინგლისის, იტალიის, გერმანიისა თუ საფრანგეთის არცთუ სუსტ გუნდებში თამაშობენ და თითოეულ მათგანს საერთაშორისო ასპარეზზე გამოცდილებაც არ დაეწუნებოდა. ინგლისის ნაკრებში მეტ-ნაკლებად სამი პოზიცია იყო შედარებით საკამათო: მეკარის, მარცხენა ნახევარმცველის და „მეორე" ფორვარდის. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ მეკარისა და მარცხენა ნახევარმცველის პრობლემა ინგლისის ნაკრებში უკვე წლებია ვერაფრით გადაიჭრა და ყოველივე ეს ამ შეხვედრამაც დაამტკიცა. ჯერ მეკარეზე ვთქვათ: **რობერტ გრინმა** ისეთი ბურთი გაუშვა, კურიოზულზე მეტი რომ ეთქმოდა! ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, რომ ინგლისური „ფულჰემის" ნახევარმცველის **კლინტ დემპსის** დარტყმის შემდეგ გრინმა ბურთი... საკუთარ კარში ხელით შეაგდო! ამ ეპიზოდის დროს, ინგლისის ნაკრების ქომაგებს, რაღა თქმა უნდა, თავიანთი მეკარეების ბოლოდროინდელი, მართლაც კომიკური შეცდომები გაახსენდათ: **დევიდ ჯეიმსს, პოლ რობინსონსა** და **სკოტ კარსონს**, ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი საჩუქარი გაუკეთებიათ მეტოქეთათვის...

მთლად კატასტროფული სიტუაცია არ არის მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პრემიერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად მიჩნეულმა **ჯეიმს მილნერმა** მატჩის დასაწყისი აშკარად ჩააგდო. ჰოდა, არც არავის გაჰკვირვებია, განრისხებულმა კაპელომ „ასტონ ვილას" ნიჭიერი ნახევარმცველი ერთობ ნაადრევად რომ შეცვალა. სწორადაც მოიქცა: ამერიკელთა მარჯვენა ნახევარმცველმა **ლენდონ დონოვანმა** ხომ „აიკლო" ეს ფლანგი, ხშირად მარჯვენა მცველ **სტივ ჩერუნდოლოც** ერთვებოდა შეტევებში და ვიდრე მილნერი მოედანზე იყო, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოსდა ინგლისელებს მარცხენა ფრთაზე საერთოდ... არავინ ჰყავდათ. შეცვლაზე შემოსულ **შონ რაიტ-ფილიპსს** განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მილნერთან შედარებით ბევრად სწრაფად და, რაც მთავარია, აქტიურად გამოიყურებოდა. აი, „მეორე" ფორვარდის შემთხვევაში კი კაპელოს არჩევანს ვერავინ დაუწუნებდა: მთავარ ვარსკვლავს **უეინ რუნის** იტალიელმა სპეციალისტმა ათლეტური **ემილ ჰესკი** შეუწყვილა. აბსოლუტურად სწორი გათვლა იყო: ამერიკელთა ორივე ცენტრალური მცველი (**ოგუჩი ონიევუ, ჯეი დიმერიტი**) შესაშური ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევიან და სწორედ მათი „გაბარიტების" მქონე ჰესკის აქტიური და უშიშარი თამაშით ინგლისელებს მეტოქის საჯარიმოში პრობლემები არ უნდა შეჰქმნოდათ; აქაც, გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით: ინგლისელთა შემადგენლობაში თუ ვინმე იყო საუკეთესო, „ასტონ ვილას" 32 წლის ფორვარდზე ითქმის (არც **გლენ ჯონსონს** უთამაშია ურიგოდ) და სწორედ ემილ ჰესკის ჩინებულ პასს მოჰყვა კიდეც ამ შეხვედრის სწრაფი გოლი: ინგლისის ნაკრების ახალმა კაპიტანმა **სტივენ ჯერარდმა** არანაკლებ ეფექტური დარტყმით **ტიმ ჰოვარდი** უშანსოდ დატოვა! მთლიანად, კომბინაცია იყო მეტად ეფექტური და ასეთი სწრაფი გოლის გაშვების მერე ბევრი გუნდი, ალბათ, ფსიქოლოგიურად გატყდებოდა კიდეც (მით უფრო, როცა მეტოქედ ინგლისის ნაკრები გყავს); თუმცა, ამერიკელებს ხუთი წუთიც არ დასჭირვებიათ მოედანზე სიტუაციის გამოსასწორებლად და კლინტ დემპსის სახიფათო თავური დარტყმაც ამას მოწმობდა. მერე იყო ეპიზოდი, ამერიკელებმა ერთი წუთის განმავლობაში ზედიზედ სამი (!) კუთხური რომ მოაწოდეს; ამასთან, სულ უფრო ნათლად ჩანდა, რომ ინგლისელებს მარცხენა ფლანგზე სერიოზული პრობლემები ჰქონდათ (**ეშლი კოულიც** ვერ არის ჩვეულ ფორმაში მძიმე ტრავმის შემდეგ). ამერიკელთაგან განსაკუთრებით მათი ლიდერი ლენდონ დონოვანი გამოირჩეოდა - მილნერი ხომ პირწმინდად დაჩაგრა თავის ფლანგზე, ხშირად საპირისპირო მხარეს გადადიოდა და იქიდან ცდილობდა თამაშის გამწვავებას; ამას გარდა, მის მიერ შესრულებული ყველა „სტანდარტულიც" ძალიან სახიფათო იყო. აი, ინგლისელთა ლიდერმა უეინ რუნიმ კი ბურთი პირველად... მეოცე წუთზე მიიღო, თუმცა **აარონ ლენონს** ისეთი პასი მიაწოდა, მთელ თამაშად ღირდა. სამწუხაროდ, „ტოტენჰემის" მარჯვენა გარემარბის ფლანგური გარღვევა ზუსტი პასით ვერც ამჯერად დასრულდა - არადა, სტივენ ჯერარდი კარის წინ სრულიად მარტო იმყოფებოდა. ინგლისელებმა ტაიმის ბოლომდე კიდევ ერთი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ გლენ ჯონსონის დარტყმა ტიმ ჰოვარდმა მოიგერია. სამაგიეროდ, გოლი საპირისპირო კარში ვიხილეთ, თან, გოლსაც ხომ გააჩნია - 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, სსრკ-ბრაზილიის მატჩში **ანდრეი ბალმა** რომ გაუტანა **ვალდირ პერესს**, „კურიოზული მასშტაბებით", აი, დაახლოებით ასეთი რამ მოხდა...

...შესვენებაზე კაპელომ კიდევ ერთი იძულებითი ცვლილება გააკეთა და **ლედლი კინგის** ნაცვლად დაცვის ცენტრში **ჯეიმი კარაგერი** დააყენა. რა ბევრი მტკიცება უნდა - **რიო ფერდინანდის** არყოფნა ინგლისელთა დაცვისათვის უდიდესი დანაკარგი აღმოჩნდა. თუმცა, მეორე ტაიმი ინგლისელებმა საკმაოდ აქტიურად დაიწყეს და პირველი 20 წუთი სულ შეტევებში გაატარეს; რაც მთავარია, მაქსიმალურად იყენებდნენ განაპირა ნახევარმცველებს, მაგრამ ვერც ამ გათვლამ მოიტანა სასურველი შედეგი: აარონ ლენონიც და შონ რაიტ-ფილიპსიც სისწრაფით კი გამოირჩეოდნენ, მაგრამ ფლანგიდან საბოლოო, ზუსტი პასის გაკეთებას ველარ ახერხებდნენ. ამასთან, უჩვეულოდ ბევრი წუნი ჰქონდათ გადაცემებში სტივენ ჯერარდსა და **ფრენკ ლემპარდსაც**; ამ უკანასკნელმა ერთადერთხელ მოახერხა „საფირმო" შორეული დარტყმის შესრულება, მაგრამ ტიმ ჰოვარდმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. ამერიკელთა მეკარემ იმ ეპიზოდშიც იყოჩაღა, როცა აარონ ლენონმა, როგორც იქნა, ზუსტი პასით ემილ ჰესკი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ჰოვარდმა საკუთარი გუნდი აშკარად ხიფათს გადაარჩინა. ამერიკელები თამაშის ამ მონაკვეთში თავს ორგანიზებულად იცავდნენ და ერთი-ორჯერ მწვავე კონტრშეტევითაც უპასუხეს. ეგ კი არა, 65-ე წუთზე გოლის გატანის ჩინებული შანსიც მიეცათ: **ჯოზი ალტიდორმა** სისწრაფეშიც აჯობა ჯეიმი კარაგერს და პოზიციური ბრძოლაც მოუგო, მაგრამ ესპანური „ვილიარეალის" ფორვარდის მახვილი კუთხიდან დარტყმულ ბურთს რობერტ გრინმა ხელი შეავლო და მერე კი ძელს მოხვდა...

...მატჩის ბოლომდე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა: ლენდონ დონოვანი აქტიური თამაშიც კვლავაც ბევრ პრობლემას უქმნიდა ინგლისელებს, შესამჩნევად „გამოცოცხლდა" უეინ რუნიც, ერთ ეპიზოდში შონ რაი-ფილიპსს საშემსრულებლო ოსტატობა არ ეყო და ტიმ ჰოვარდს ვერ აჯობა; ბოლოს კი „მოსალოდნელი" ცვლილებაც ვიხილეთ - მოედანზე ორმეტრიანი **პიტერ კრაუჩი** გამოვიდა და ინგლისელთა თამაშიც ბევრად „ადვილად წასაკითხი" გახდა. საბოლოოდ კი, მეტოქეებმა თითო-თითო ქულა მოიპოვეს და როგორც წერილის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ამ შედეგს „ხმაურიან სენსაციად" ნამდვილად ვერ მივიჩნევთ. ისე, როგორც ინგლისის „ჩამოწერაა" ნაადრევი - ასეთი დონის ტურნირზე გუნდის რეალური შესაძლებლობებს ერთი შეხვედრით ვერავინ განსაზღვრავს; მით უფრო, ისეთი გუნდის, მწვრთნელად ცნობილი ტაქტიკოსი ფაბიო კაპელო რომ ჰყავს...



**საუკეთესო ფეხბურთელი**

**ლენდონ დონოვანი (აშშ)**

ამერიკელთა მეკარე ტიმ ჰოვარდმა ჩინებული მატჩი ჩაატარა და ორსამ ეპიზოდში საკუთარი გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა; შეუდარებელი იყო ამერიკელთა ცენტრალური მცველი ოგუჩი ონიევუ - „მილანის" უკანახაზელს სულაც არ ეტყობოდა, მძიმე ტრავმის გამო, ფაქტობრივად, მთელი სეზონი რომ გაუცდა; თუმცა, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მაინც ლენდონ დონოვანი მივიჩნიეთ - 90 წუთის განმავლობაში ორივე ფლანგზე უაღრესად აქტიური თამაშით რომ დაგვამახსოვრა თავი. დონოვანი აშშ-ის ნაკრების უპირობო ლიდერია - ყველა სტანდარტულს ასრულებდა, საკმაოდ ბევრს მანევრირებდა და არც „შავი სამუშაოს" შესრულებას თაკილობდა. ამას გარდა, სისწრაფისა და დრიბლინგის ხარჯზე მუდამ თამაშის გამწვავებას ცდილობდა.

**მატჩის შემდეგ**

ფაბიო კაპელო (ინგლისის ნაკრების მწვრთნელი): „მოსაფიქრებელი დრო ჯერ კიდევ გვაქვს, თუ ვის მივანდოთ მომავალ მატჩში ჩვენი ნაკრების კარის დაცვა. გრინთან საუბარი აუცილებლად მექნება და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებ გადაწყვეტილებას. უკანასკნელ საკონტროლო შეხვედრაში (მექსიკასთან) გრინმა კარგად ითამაშა და სულაც არ ვნანობ, დევიდ ჯეიმსსა და ჯო ჰარტს რომ ვამჯობინე. მართალია, დღეს სერიოზული შეცდომა დაუშვა, მაგრამ მეორე ტაიმში გადაგვარჩინა, როცა ალტიდორი მასთან ერთი-ერთზე დარჩა. მთლიანობაში, მიმაჩნია, რომ ურიგო მატჩი არ ჩაგვიტარებია, ბევრი მომენტიც შევქმენით. ოღონდ, შედეგი ნამდვილად არ მაკმაყოფილებს, რადგან მეტოქეზე ძლიერად ვთამაშობდით".

ბოგ ბრედლი (აშშ-ის ნაკრების მწვრთნელი): „რა თქმა უნდა, ამ ტურნირზე ჩვენს პირველ მატჩს იდეალურს ვერ დავარქმევდი, თუმცა, მთლიანობაში ჩემი გუნდის ასპარეზობით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, რომ გატანილი გოლი და სასურველი შედეგი ჩემს შეგირდებს უფრო მეტ დამაჯერებლობას შემატებს. ძალიან რთული შეხვედრა იყო და მიხარია, რომ ჩვენი გუნდის შუახაზმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ინგლისელთა უძლიერეს რგოლს - ნახევარდაცვას".

გია ტუხაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასეთია მეკარის ცხოვრება...




**რობერტ გრინმა** თქვა, რომ აშშ-ის ნაკრებთან შეხვედრაში დაშვებული შეცდომა უკვე დაივიწყა. დიახ, დაავიწყდა... თქვენ კი, მკითხველო, რა დაგავიწყებდათ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ტურში, ინგლისელთა და ამერიკელთა დაპირისპირების მე-40 წუთზე, როდესაც **ფაბიო კაპელოს** შეგირდები 1:0-ს იგებდნენ, ამერიკელმა **კლინტ დემპსიმ** კარისკენ არცთუ მოხერხებულად და ძლიერად დაარტყა, „ვესტ ჰემის" გოლკიპერი კი უხეშად შეცდა, ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და ანგარიშიც გათანაბრდა. მეორე ტაიმში ინგლისელებმა გამარჯვების გოლის გატანა ველარ მოახერხეს.

და ამის მიუხედავად, 30 წლის კარის მცველმა რიხიანად განაცხადა, რომ ეს უიღბლობა მის თვითრწმენაზე ვერანაირად ვერ იმოქმედებს. გრინმა თქვა, ალჟირთან და სლოვენიასთან სათამაშოდ მზად ვარო:

*„რაც მოხდა, მოხდა. ახლა ამას აღარაფერი ეშველება. ასეთ შემთხვევებზე ყურადღების გამახვილება და დათრგუნვა სწორი არ არის. გოლის შემდეგ, მთელი 50 წუთის განმავლობაში თავს მხნედ ვგრძნობდი. აქ ყველაფერი სულის სიმტკიცეზეა დამოკიდებული. ადამიანმა ნებისმიერი ჩავარდნა მსუბუქად უნდა მიიღო, ზოგადად კი, ასეთია მეკარის ცხოვრება. ასეთ მდგომარეობაში ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ თავი მაღლა დამიჭერია, არც პრესასთან შეხვედრას გავქცევივარ და კრიტიკის ნიაღვარი, რომელიც ასეთ შემთხვევებში მოდის, ვაჟკაცურად გადამიტანია. სამწუხაროა, რომ დემპსიმ ერთადერთხელ დამირტყა და ის ერთადერთი დარტყმა გავუშვი. ვალდებული ვიყავი, ბურთი დამეჭირა. ძალიან მძიმე იყო ამასთან შეგუება, მაგრამ სხვა გზა არ იყო. შეხვედრის დასრულებამდე კიდევ 50 წუთი რჩებოდა და მე ვალდებული ვიყავი, ამ 50 წუთის განმავლობაში ჩემი ქვეყნის ნაკრების კარი ღირსეულად დამეცვა. მე თავს ვძლიე და ეს გავაკეთე. ვიმეორებ, ამ ეპიზოდს ჩემი განადგურების საშუალებას არ მივცემ. ხალხს გაცილებით უარესი გადახდენია და გაუძლიათ".*

ინგლისელებს შემდეგი თამაში პარასკევს, კეიპტაუნში ალჟირთან აქვთ. ვინ დაიცავს გუნდის კარს ამ შეხვედრაში? **ჯონ ტერიმ** და **სტივენ ჯერარდმა** გრინს დაუჭირეს მხარი. კაპელომაც ასე თქვა:

*„გრინის კარში დაყენება იმიტომ გადავწყვიტე, რომ ბოლო თამაშები მან შესანიშნავად ჩაატარა. ამერიკელებთან შეხვედრაშიც ის სულ ერთხელ შეცდა. მეორე ტაიმში გრინმა იხსნა კიდეც ჩვენი გუნდის კარი მეორე გოლისგან. მეკარეობის პრობლემაც სწორედ ეს არის. მეკარის შეცდომას ვერავინ ეგუება, არადა, ის ისევე უნდა მივიღოთ, როგორც მსაჯის ან თავდამსხმელის შეცდომა".*

გრინის ამერიკელმა კოლეგამ, „ევერტონის" კარის მცველმა **ტიმ ჰოვარდმა** ინგლისელთა მეკარის მდგომარეობა ასე შეაფასა: *„ჩვენ ყველა ვცდებით. ახლა მთავარია რობერტმა საკუთარ თავს სძლიოს და სულიერად არ გატყდეს. რასაკვირველია, ძალიან მიხარია ანგარიში რომ გავათანაბრეთ, მაგრამ ეს ერთადერთი გრძნობა არ არის, მე რომ დამეუფლა. მე არასდროს მახარებს, როდესაც შავ დღეში ჩავარდნილ ადამიანს ვხედავ, თუნდაც ის მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელი იყოს".*

როგორც ინგლისის ნაკრების ბანაკიდან იტყობინებიან, ახლავე დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ალჟირთან შეხვედრაში კაპელოს განკარგულებაში არ იქნება **ლედლი კინგი**, რომელსაც ძლიერ ასტკივდა საზარდული.

თუმცა დავუბრუნდეთ ინგლისელი მეკარეების თემას და მოვიტანოთ მათ მიერ სხვადასხვა შეჯიბრებაში დაშვებული ყველაზე უხეში შეცდომების სია, რომელიც გაზეთმა „სანმა" შესაძლოა გრინის დასამშვიდებლადაც კი გამოაქვეყნა:

**1. პოლ რობინსონი** (ევრო 2008-ის შესარჩევი, 2006 წლის ოქტომბერი, ხორვატია-ინგლისი 2:0). **გარი ნევილის** მიერ უმარტივესად მიგორებული ბურთი რობინსონის მიერ მოქნეული ფეხის ტერფზე გადაგორდა და კარში შევარდა.

**2. დევიდ სიმენი** (მსოფლიოს ჩემპიონატი, 2002 წლის ივნისი, ბრაზილია-ინგლისი 2:1). ინგლისელთა გოლკიპერმა **რონალდინიოს** შორიდან, ფლანგიდან დარტყმულ ბურთს თავს ზემოთ, კარში ჩაშვების საშუალება მისცა. ასე დასრულდა ინგლისელთა მოღვაწეობა 2002 წლის მუნდიალის მეოთხედფინალში.

**3. დევიდ ჯეიმსი** (მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, 2004 წლის სექტემბერი, ავსტრია-ინგლისი 2:2). ჯეიმსი მაშინ „მანჩესტერ სიტის" კარს იცავდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. მას **ანდრეას ივანშიცის** შორიდან დარტყმული სხეულს ქვეშ გაუძვრა და იმ შეხვედრაში ინგლისის ნაკრების ორგოლიანი უპირატესობაც უკვალოდ გაქრა.

**4. სკოტ კარსონი** (ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი, 2007 წლის ნოემბერი, ინგლისი-ხორვატია 2:3). ეს გახლდათ კარსონის დებიუტი ინგლისის ნაკრებში... დღეს უკვე „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" კარის მცველმა **ნიკო კრანჩარის** შორიდან „ყოველ შემთხვევაში" დარტყმულის გაშვება მოახერხა.

**ილია ბაბუნაშვილი**

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანელი ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
ალმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
ჭავჭავაძის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

B ჯგუფი

# კორეამ ირბინა, საბერძნეთი იდგა

12 ივნისი. პორტ ელიზაბეტი. ნელსონ მანდელა. 31 513 მაყურებელი

**სამხ. კორეა–საბერძნეთი 2:0**

**სამხრეთ კორეა (4-2-2-1-1):** სუნ-რიონ იუნი - დუ-რი ჩა, იუნ-ჰიუონ ჩო, იუნ-სუ ლი, იან-პიო ლი - იუნ-ვუ კიმი, სუნ-იონ კი (75. ნამ-ილ კიმი) - ჩუნ-იონ ლი (91. ჟაე-სუნ კიმი), ჟი-სუნ პარკი - კი-ჰუნ იეომი - ჩუ-იან პარკი (87. სეუნ-იეულ ლი).

**საბერძნეთი (4-2-3-1):** ცორვასი - სეიტარიდისი, ვინტრა, ა. პაპადოპულოსი, ტოროსიდისი - კაცურანისი, ციოლისი - ხარისტეასი (61. კაპეტანოსი), კარაგუნისი (46. პაცაცოღლუ), სამარასი (59. სალპინგიდისი) - გეკასი.

**გოლები:** 1:0 იუნ-სუ ლი (6), 2:0 ჟი-სუნ პარკი (52)

**მატჩი დაიწყო:** სამხ. კორეა; **დარტყმა:** 17(4)-6(2); **ჯარიმა:** 14-11; **კუთხური:** 6-11; **გაფრთხილება:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**არბიტრი:** მაიკლ ესტერი (ახალი ზელანდია)

**ოტო რეჰაგელი** მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე ასაკოვანი და შესაბამისად, ყველაზე გამობრძმედილი სპეციალისტია. თანაც, სამხრეთ კორეასთან მატჩში მისი სამუნდიალო დებიუტი შედგა - დებიუტი, რომელიც ძალიან ცუდად დამთავრდა. იმდენად ცუდად, რომ გერმანელ მწვრთნელს, დღევანდელი გადასახედიდან, არანაირი იმედი არ უნდა ჰქონდეს. კარგად ორგანიზებულმა, უზადოდ დისციპლინირებულმა და მონდომებულმა სამხრეთ კორეამ 2004 წლის ევროპის ჩემპიონს მთლად ლექცია ვერ წაუკითხა, მაგრამ კარგი გაკვეთილი კი ნამდვილად ჩაუტარა. აზიელების გამარჯვება ასი პროცენტით დამსახურებულია, რადგან ბერძნები ზედმეტად უიდეონი იყვნენ.

რეჰაგელს პრობლემები აქვს. ისეთი ფეხბურთი, როგორიც ოტოს გუნდმა საშუალოზე საშუალო დონის სამხრეთ კორეასთან ითამაშა, მუნდიალის სტანდარტებს ოდნავადაც არ აკმაყოფილებს. არანაირი იდეები თავდასხმაში, ულაზათო გარჯა დაცვაში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აბსოლუტური არაკონცენტრირებულობა - კრეატივზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მოკლედ, საბერძნეთი ძალიან მოუქნელი გუნდია, ერთი დაცვა ჰყავდა და ისიც აღარ უვარგა.

რეჰაგელმა პასუხისმგებლობა თავის თავზეც უნდა აიღოს, რადგან მისი რამდენიმე გადაწყვეტილება, რბილად რომ ვთქვათ, გასაკვირი იყო. ოტომ დაცვის მარჯვენა ფლანგზე „დაბადებული და გაზრდილი" **ვინტრა** დაცვის ცენტრში გაამწესა და „ძირძველი ცენტრელი" **კირიაკოსი** კი, რომელიც, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ საკმაოდ კარგი მცველია, სათადარიგოთა სკამზე დატოვა. რეჰაგელს ჩვენგან არ ესწავლება, მაგრამ თამაშმა დაგვანახა, რომ ეს აბსურდული გადაწყვეტილება იყო და ფაქტია, რომ ოტოს არც საბერძნეთში დააკლებენ კრიტიკას, რადგან მის „ძეგლებს" იქ უკვე დიდი ხანია, ხავსი მოედო - რაც უნდა იყოს, 2004 წლის მერე 6 წელიწადია გასული.

საბერძნეთს ჰყავს ახალგაზრდა **ნინისი**, რომელსაც ყველა უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებს და ჩვენც ამაოდ ველოდით ამ ბიჭის გამოჩენას - რეჰაგელმა ისიც სკამზე დატოვა.

სამხრეთ კორეის ნაკრებმა კი კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. მათი ტაქტიკა-სტრატეგია სირბილია - სირბილი, სირბილი და არაფერი სირბილის გარდა. ამას დაუმატეთ სქემატური დისციპლინა, თავდაჯერებულობა და ესეც თქვენი სამხრეთ კორეის ნაკრები. ოთხი შემტევი ფეხბურთელი, **ჩუნ-იონ ლი, ჟი-სუნ პარკი, კი-ჰუნ იეომი** და **ჩუ-იან პარკი** ძალიან ხშირად ცვლიდნენ ადგილებს და ამით, ისედაც ზარმაც ბერძნებს კიდევ უფრო მეტად აბნევდნენ. ამ მატჩში კორეელთა ერთადერთ ნაკლად შეიძლება ის მივიჩნიოთ, რომ მათ კონტრშეტევებისთვის იდეალური სივრცეები ექმნებოდათ და ხშირად ამ შანსებს უაზროდ ვერ იყენებდნენ. ეს კი კლასის არქონაზე მეტყველებს. თუმცა სამხრეთ კორეას კლასი არც მოეთხოვება...

**საუკეთესო ფეხბურთელი**

ჟი-სუნ პარკი (სამხრეთ კორეა)

**მთელმა გუნდმა ორგანიზებული და დისციპლინირებული ფეხბურთი ითამაშა, მაგრამ განსაკუთრებით მანჩესტერელი პარკი უნდა გამოვყოთ, რომელიც ხან მარჯვნივ იყო, ხან მარცხნივ, ხანაც ცენტრში და მოკლედ, ისე იქცეოდა, როგორც ლიდერს შეეფერება. ის გუნდის აშკარა ლიდერი და ნათელი წერტილია.**



კორეელები გამარჯვებას ზეიმობენ

**მატჩის შემდეგ**

იუნ-მუ ჰუ (სამხ. კორეის ნაკრების მწვრთნელი): **„ჩემს გუნდს სიმშვიდე რომ შეენარჩუნებინა და ეიფორიას არ აჰყოლოდა, კიდევ 2-3 გოლს გავიტანდით. ჩვენი მთავარი მიზანი ბერძნების შეტევების მათსავე ნახევარზე ჩაშლა, ანუ, პრესინგი იყო და ამ ამოცანას ბიჭებმა თავი კარგად გაართვეს. ჩვენ არ გვითამაშია სრულყოფილი ფეხბურთი, მაგრამ მოლოდინი გავამართლეთ".**

ოტო რეჰაგელი (საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი): **„დაცვაში ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. თავიდან ჩვენ შეგვეძლო ანგარიშის გახსნა, მერე კი მეტოქეს. ჩვენ ვერ ვივარგეთ, მეტოქემ კი გაიტანა. საერთოდ, ჩემს გუნდს თამაშის შემოტრიალება ძალიან უჭირს, რადგან გოლის გაშვების შემდეგ ბიჭები კონცენტრაციას და რიტმს კარგავენ. წლებია, საბერძნეთის ნაკრებს ვწვრთნი და ამ პრობლემას ვერაფერი მოვუხერხე. მეტოქემ გამარჯვება დაიმსახურა".**

# მესი გასაგებია, ჰაინცეც, სხვა?

## დიეგოს კიდევ ბევრი ნერვიულობა მოუწევს...

12 ივნისი. იოჰანესბურგი. ელის პარკი. 55 686 მაყურებელი

**არგენტინა–ნიგერია 1:0**

**არგენტინა (4-3-2-1):** რომერო - გუტიერესი, დემიკელისი, სამუელი, ჰაინცე - ვერონი (74. მაქსი როდრიგესი), მასკერანო, დი მარია (85. ბურდისო) - მესი, ტევესი - იგუაინი (79. მილიტო).

**ნიგერია (4-3-3):** ენიემა - ოდია, იობო, შიტუ, ტაივო (74. კ. უჩე) - კაიტა, ეტუჰუ, არუნა - ობინა (52. მარტინსი), იაკუბუ, ობასი (60. ოდემვინგი).

**გოლი:** 1:0 ჰაინცე (6)

**მატჩი დაიწყო:** არგენტინა; **დარტყმა:** 20(7)-12(1); **ჯარიმა:** 7-8; **კუთხური:** 10-4; **გაფრთხილება:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**საინტერესო მომენტების სტენოგრამა**

6' - ვერონის კუთხურს გაბრიელ ჰაინცე გამოეხმაურა, რომელიც ობინამ „გაატარა", „ალბისელესტეს" მცველმა კი ბურთი თავით ნიგერიელთა კარში ჩააჭედა - 1:0.

29' - ნიგერიელებს ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცათ: მშვენიერი კომბინაციის შემდეგ, ობასი მარცხნიდან დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, მაგრამ ააცილა.

38' - მესისა და დი მარიას კარგად დამუშავებულმა საჯარიმო კომბინაციამ ნიგერიის მთელი დაცვა „მოსპო", მესიმ 14 მეტრიდან ლამაზად დაარტყა, მაგრამ ენიემამ ივაჟკაცა.

66' - არგენტინელების კონტრიერიში: მარადონას ბიჭები ოთხი ორზე გავიდნენ, მაგრამ ტევესმა უხეიროდ უპასა მესის, ლეომ ცენტრისკენ შეიწია და დაარტყა, მაგრამ არაზუსტად.

72' - ოდემვინგის ჩინებული პასი ტაივოს მისამართით, ნიგერიელთა მარცხენა მცველის უძლიერესი დარტყმა კი (17 მეტრიდან) ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

82' - მესიმ დი მარიასთან უზადო კომბინაცია გაითამაშა, მაგრამ ლეოს ენიემამ ისევ არ გაატანინა.

**მატჩის** შემდეგ ნიგერიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლარს ლაგერბაკმა** თქვა, შესაძლოა, ჩვენ დღეს მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთან წავაგეთო. ჩვენც დავფიქრდით: ჰგავდა თუ არა „ალბისელესტე" მომავალ ჩემპიონს? პასუხი: ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ეჭვი გვაქვს, ტაქტიკურად დისციპლინირებული, კარგი გუნდი მარადონას სამწყსოს მოუგებს, თუ, რა თქმა უნდა, **ლიონელ მესიმ** ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე არ ათრია „ალბისელესტე"...

არანაირი დაღლილობა! მესიმ მსოფლიოს ჩემპიონატის პირველივე შეხვედრაში გვიჩვენა, რომ საკმაოდ კარგ ფორმაშია. ლეო არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში საუკეთესო იყო და რაკი **დიეგო მარადონამ** მას სრული თავისუფლება მიანიჭა, მოედანზე ყველგან ნახავდით. მესის თამაშის ხარისხზე მისი პირადი სტატისტიკაც მეტყველებს: ბურთთან 103 კონტაქტი და 12 დარტყმა შთამბეჭდავი ბალანსია. მესი ჩვეულ სტილში დრიბლიორობდა, რითაც ნიგერიის დაცვის ხაზში არაერთი ხვრელი წარმოქმნა და თუ გოლი ვერ გაიტანა, მხოლოდ იმიტომ, რომ ნიგერიელთა მეკარე **ვინსენტ ენიემა** იდგა მონწოდების სიმაღლეზე. მარადონას სიტყვებით რომ ვთქვათ, ნიგერიასთან მესი არგენტინის ნაკრების გუმბათი იყო. ამრიგად, ლეო „ალბისელესტეს" უმთავრეს იარაღად რჩება. თანაც, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ნიგერიასთან მესის ასი პროცენტით არც მოუნდომებია.

არგენტინის ნაკრებს ბევრი წუნი ჰქონდა. მსჯელობა ტაქტიკური უდისციპლინობით უნდა დავიწყოთ, რაც მარადონას სამწვრთნელო განსწავლულობის ფონზე, გასაკვირი ნამდვილად არ არის. ერთი შეხედვით 4-3-2-1, მხოლოდ შიგადაშიგ თუ ასახავდა სინამდვილეს. უმეტესად სამ ცენტრალურ მცველს ვხედავდით (**დემიკელისი, სამუელი, ჰაინცე**) და მათ მხოლოდ დროდადრო უერთდებოდა **გუტიერესი**. მარადონას მისთვისაც თავისუფლება აქვს მინიჭებული, ისევე როგორც ძირითადი შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის. **ხავიერ მასკერანო** ერთადერთი საყრდენი იყო და ეს მთელი მატჩის განმავლობაში კარგად ჩანდა. **ანხელ დი მარია** ტიპური მარცხენა გარემარბია და დიეგოს მისთვის დაცვისთვის მიხმარება არც მოუთხოვია. **ხუან სებასტიან ვერონს** უფრო ნახევრად მემარჯვენე ნახევარმცველი და ამავე დროს გამთამაშებელი ეთქმოდა. ეს უკანასკნელი გარემარბი არ არის და მის ამ „ნაკლს" გუტიერესი (ავად თუ კარგად) აკომპენსირებდა. მესი, **ტევესი** და **იგუანი** კი წინა ხაზზე ყველგან მოძრაობდნენ.

შანსების გამოუყენებლობა, ზედმეტი სიმსუბუქე შეტევების აწყობაში და ხშირად ქაოსური გადაწყობა დაცვაზე - აი, „ალბისელესტეს" მთავარი პრობლემები ნიგერიასთან მატჩში, რომელშიც არგენტინამ მაინც საკმაოდ კარგად ითამაშა და დამსახურებულადაც მოიგო. ზემოთ ხსენებული პრობლემების გამო კი ჯგუფში, არგენტინას პრობლემები, წესით, არ უნდა შეექმნას, მაგრამ ტაქტიკურად უფრო დისციპლინირებულ გუნდებთან რა იქნება, ეს კი აღარ ვიცით.

ნიგერიელებს ზედმეტი ყურადღება ეტყობოდათ. ეს განსაკუთრებით **ლარს ლაგერბაკის** გუნდის დაცვის ხაზზე ითქმის. თუმცა, რამდენიმე მომენტში აფრიკელებმაც გვაჩვენეს, რომ ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. ფაქტია, რომ ნიგერია სამხრეთ კორეასთან და საბერძნეთთან ასე ფრთხილად არ ითამაშებს და არც შიში დაეტყობა. გამოჩნდა ისიც, რომ ნიგერიის ნაკრებს წინა ხაზში ნამდვილად ჰყავს ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ნებისმიერი გუნდისთვის შეუძლიათ პრობლემების შექმნა.

არგენტინამ თამაში თავიდანვე აგრესიულად დაიწყო. მარადონას ბიჭები ორთაბრძოლების უმრავლესობას იგებდნენ და ნიგერიელები პირველი წუთებიდანვე წნეხის ქვეშ მოაქციეს. ნიგერიელმა მცველებმა ვერაფერი გაუგეს მესი-იგუაინ-ტევესის ვარირებად ტრიოს, რომელშიც განსაკუთრებით თავისუფალი მესი იყო.

რამდენადაც იდეებით სავსე და არაპროგნოზირებადი იყო არგენტინა შეტევაში, იმდენად ქაოსური იყო „ალბისელესტეს" დაცვა. ვგონებთ, გუტიერესს თვითონაც გაუჭირდა იმის მიხვედრა, უფრო მცველი იყო, თუ ნახევარმცველი. მას ჯერ **ობასიმ** შეუქმნა ბევრი პრობლემა, მერე კი **ოდემვინგიმ** ანერვიულა.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ მარადონას უცნაურ ცვლილებაზეც, როცა მან ვერონის ნაცვლად, მოედანზე მარჯვენა გარემარბი **მაქსი როდრიგესი** შეუშვა. ვერონს შეეძლო მასკერანოსთვის მიხმარება, მაქსი კი ტიპური გარემარბია და ფაქტია, რომ ბოლოს მარადონამ ნახევარდაცვა მხოლოდ ერთი ჩამშლელის ამარა დატოვა - მაქსი, მესი, ტევესი და დი მარია მხოლოდ შემქმნელები არიან. ამიტომაც იყო, ნიგერიელებს ბოლოს ანგარიშის გათანაბრების შანსი რომ მიეცათ...

**საუკეთესო ფეხბურთელი**

ვინსენტ ენიემა (ნიგერია)

**აფრიკულ ნაკრებებს ძლიერი მეკარეები არც ისე ხშირად ჰყავთ ხოლმე. შაბათს დავრწმუნდით, რომ ნიგერიას ეს პრობლემა არ აქვს. ვინსენტ ენიემამ რამდენიმე მომენტში იმდენად ფანტასტიკურად ითამაშა, რომ თუ ეს მხოლოდ იღბალის დამსახურება არ იყო, მაშინ ენიემა თელ ავივის „ჰაპოელისთვის" აფსუსია. ნიგერიელთა კიპერი ხაზზე იდეალურად თამაშობდა და მხოლოდ ერთხელ დაეტყო ნერვიულობა - გამოსვლაზე თამაშის დროს. ფაქტი ერთია: რომ არა ენიემა, ნიგერია უფრო დიდი ანგარიშით წააგებდა.**

**მატჩის შემდეგ**

დიეგო მარადონა (არგენტინის ნაკრების მწვრთნელი): „ბევრი მომენტი შევქმენით, რაც ძალიან კარგია. მართალია, ყველა ვერ გამოვიყენეთ და ბოლოს ნიგერიას ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ ასეთია ფეხბურთი. მადლობა ღმერთს, რომ ვერ გაგვიტანეს. ნიგერიელების მეკარემ არაჩვეულებრივად ითამაშა. ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია".

ლარს ლაგერბაკი (ნიგერიის ნაკრების მწვრთნელი): „ვამაყობ ჩემი ბიჭებით და იმით, რომ მაგრად იბრძოლეს, მაგრამ მარცხით იმედგაცრუებული ვარ. გაშვებული გოლი იმ უპატიებელი შეცდომის ბრალია, რომელსაც საბედისწერო კუთხური მოჰყვა. ცოტა მეტი იღბალი და არგენტინასთან ქულას ავიღებდით. შეიძლება დღეს ჩვენ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთან წავაგეთ".



გაბრიელ ჰაინცეს გააქვს გამარჯვების გოლი ნიგერიელთა კარში

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

E ჯგუფი

# ჰოლანდია ლიდერის გარეშე

## დანაკლისი დანიელებსაც აქვთ

14 ივნისი. იოჰანესბურგი. სოკერ სიტი. 15:30

**ჰოლანდია-დანია**

სავარაუდო შემადგენლობები

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი - ვან ბომელი, დე იონგი - კუიტი, სნეიდერი, ვან დერ ვაარტი - ვან პერსი.

**დანია:** სორენსენი - ლ. იაკობსენი, კიაერი, აგერი, მტილიგა - რომედალი, დ. იენსენი, ს. პოულსენი, მ. იორგენსენი - ტომასონი, ლარსენი.

**არბიტრი:** სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

მართალია, ჯგუფში ჩასარჩენად სამხრეთ აფრიკაში არც კამერუნელები და იაპონელები ჩასულან, მაგრამ ჰოლანდია-დანიის პაექრობა მაინც ცენტრალურ დაპირისპირებად უნდა მივიჩნიოთ. თუ მუნდიალის დაწყებამდე გამართულ ამხანაგურ პაექრობებს გადავხედავთ, გაცილებით უკეთეს ფორმაში **ბერტ ვან მარვიიკის** შეგირდები არიან და საერთოდაც, დანიური ფეხბურთისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ფავორიტი სწორედ ჰოლანდიის ეროვნული ნაკრებია.

ამხანაგური შეხვედრები ვახსენეთ და ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო, თუ ორიოდე სიტყვით გადავხედავთ ამ პაექრობებს. ჰოლანდიელებმა ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხში გაიმარჯვეს, ერთი კი ფრედ დაასრულეს. 6:1 მოუგეს უნგრეთს, 4:1 - განას, 2:1 კი - მექსიკას და ამერიკას. ფრედ დაამთავრეს შეხვედრა პარაგვაელებთან, თუმცა მთელი 90 წუთის განმავლობაში სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ. ანუ, ჰოლანდია მზადაა და ამის დამტკიცებას პირველსავე შეხვედრაში შეეცდება.

რაც შეეხება დანიას, სკანდინავიელებმა რამდენიმეწლიანი კრიზისი დაძლიეს და როგორც იქნა, მოხვდნენ დიდ საფეხბურთო ფორუმზე. ეს დიდწილად, ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელების გამოჩენამ განაპირობა. ივნისის პირველ რიცხვებში სკანდინაველებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართეს და ორივე ერთი და იმავე ანგარიშით, 1:0 წააგეს - ჯერ ავსტრალიასთან, შემდეგ კი სამხრეთ აფრიკასთან.



ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ დანიელთა გუნდში მთლად ყველაფერი რიგზე ვერაა. მართლაც ასეა, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სკანდინავიელებს მთავარი დამრტყმელი ძალა, **ნიკლას ბენდტნერი** ჰყავთ დაშავებული. წინასწარი პროგნოზით, მისი ჰოლანდიელების წინააღმდეგ თამაში გამორიცხულია. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდნენ **ტომას სორენსენი** და **სიმონ კიაერი**, შესაბამისად, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ძირითად შემადგენლობაში უნდა იასპარეზონ.

ჰოლანდიაში მთავარი სალაპარაკო თემა **არიენ რობენი** და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაა. პირველადი ინფორმაციით, მხოლოდ ჯგუფის მესამე შეხვედრაში თუ მიიღებდა მონაწილეობას, თუმცა შემდეგ უფრო ოპტიმისტური ცნობები გავრცელდა. ჰოლანდიელ ექიმთა თქმით, რობენი მეორე შეხვედრისთვის იქნება მწყობრში და თუ სასწაული მოხდა, შესაძლოა სულაც პირველი მატჩის განაცხადში შეიყვანონ. თუმცა, აქ მხოლოდ სასწაულზეა საუბარი და რომც მოხვდეს, ალბათ შეხვედრის ბოლომდე სკამზევე დარჩება. მოკლედ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰოლანდიელებს პირველ პაექრობაში ლიდერის გარეშე მოუწევთ ფონს გასვლა.

ორიოდე სიტყვა ტაქტიკებზეც ვთქვათ. ბერტ მან ვარვიიკი ევროპაში დღეს ყველაზე პოპულარულ სქემას აირჩევს და შეგირდებს 4-2-3-1 სქემით განალაგებს. რობენის არყოფნაში, გარემარბის ფუნქციებს **დირკ კუიტი** და **რაფაელ ვან დერ ვაარტი** იკისრებენ. ცენტრში **ვესლი სნეიდერი** გაირჯება, ისევე როგორც „ინტერში", გამოკვეთილი ფორვარდის ფუნქციებს კი **ვან პერსი** შეასრულებს. **მორტენ ოლსენი** კლასიკურ 4-4-2-ს აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **ტომასონი-ლარსენის** ტანდემს გაამწესებს. ბენდტნერის დაშავების შემდეგ, ბევრს ეგონა, რომ სკანდინაველები ერთფორვარდიან ტაქტიკაზე გადაერთვებოდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ასე არ მოხდება. დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

F ჯგუფი



# დღეს ჩემპიონი იწყებს...

## ...რიხით თუ ტრადიციულად მძიმედ?

14 ივნისი. კეიპ ტაუნი. გრინ პოინტი. 22:30

**იტალია-პარაგვაი**

სავარაუდო შემადგენლობები

**იტალია:** ბუფონი - ძამბროტა, კანავარო, კიელინი, კრიშიტო - დე როსი, მონტოლივო, მარკიზიო - იაკვინტა, დი ნატალე - ჯილარდინო.

**პარაგვაი:** ვილიარი - ბონეტი, ვერონი, და სილვა, მორელი - ვერა, სანტანა, რივეროსი, ა. ტორესი - სანტა კრუზი, ბარიოსი.

**არბიტრი:** ბენიტო არჩუნდია (მექსიკა)

2010 წლის მუნდიალზე, თავის პირველ შეხვედრას მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები დღეს გამართავენ. **მარჩელო ლიპის** გუნდი ჯგუფური ეტაპის მთავარ კონკურენტს, პარაგვაის ეროვნულ ნაკრებს გაეჯიბრება. დიახ, ერთმანეთის პირისპირ ჯგუფის ორი ფავორიტი წარსდგება და მოპოვებული სამი ქულა, მერვედფინალში გასვლისთვის წინ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იქნება. შეგახსენებთ, რომ F ჯგუფში ასევე ახალი ზელანდიის და სლოვაკეთის ნაკრებები ასპარეზობენ.

იტალიაში ერთი ამბავია - აპენინელები მათი ნაკრების სტარტს ელოდებიან და ცდილობენ ოპტიმისტური განწყობა შეიქმნან. ბევრი აკრიტიკებს „აძურა", მარჩელო ლიპიც კი არ დაინდეს, მაგრამ დადგა დრო, როდესაც მთელი ქვეყანა უნდა გაერთიანდეს და ეროვნულ გუნდს უქომაგოს - გაერთიანდა კიდეც. *„ჩვენი ნაკრები აფრიკის ცის ქვეშ", „თქვენ ეს შეგიძლიათ", „ჩვენ ეს ერთხელ უკვე შევძელით"* - დაახლოებით ასეთი სათაურებით გამოდის იტალიური სპორტული გაზეთები, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი. შესაძლოა, ბევრი ვერ მიხვდა, რა შეძლეს ერთხელ უკვე იტალიელებმა და აქვე განვიმარტავთ, რომ საუბარი შორეული 1934 და 1938 წლების მუნდიალებზეა. იტალიელებმა ხომ ერთხელ უკვე მართლაც შეძლეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაცვა.

ლიპის დანაკლისი აქვს და ამის შესახებ ბოლო ათი დღეა ინტენსიურად ვწერთ. საუბარია **ანდრეა პირლოზე,** რომელიც ვარჯიშზე დაშავდა და ჯგუფური ეტაპის მესამე შეხვედრაში თუ შეძლებს მოედანზე გასვლას. პირლო **რიკარდო მონტოლივომ** უნდა შეცვალოს, რომელიც ძირითად შემადგენლობაში მოიაზრება. ლიპი 4-3-2-1 ტაქტიკას აირჩევს და მოედნის ცენტრში ხსენებულ მონტოლივოსთან ერთად, სავარაუდოდ **დანიელე დე როსის** და **კლაუდიო მარკიზიოს** გაამწესებს. შეტევაში შემდეგი სამეული გაირჯება: **ვინჩენცო იაკვინტა, ანტონიო დი ნატალე** და **ალბერტო ჯილარდინო**. ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ დაცვის მარჯვენა ფრთას **კრისტიან მაჯო** გაამაგრებს, თუმცა უმეტესობა მაინც გამოცდილ **ჯანლუკა ძამბროტას** ანიჭებს უპირატესობას. მარცხნივ **დომენიკო კრიშიტო** უნდა ვიხილოთ და ეს მიუხედავად იმისა, რომ მან ამხანაგური მატჩი მექსიკის წინააღმდეგ პირწმინდად ჩააგდო. ცენტრში **ფაბიო კანავარო** და **ჯორჯო კიელინი** იმოქმედებენ. ლიპი ამბობს, რიხით დავიწყებთო და ვნახოთ, რამდენად გამართლდება მისი პროგნოზი. ისე, იტალიის რიხით დაწყებული არ გაიშვას...

პარაგვაი მხოლოდ ერთ ფეხბურთელს მოისაკლისებს. ვარჯიშისას დაშავდა „ბენფიკას" შემტევი **ოსკარ კარდოზო**, რის გამოც პირველი მატჩის გამოტოვება მოუწევს. არადა, კარდოზო სამხრეთამერიკელთათვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. თუმცა, შეტევაში პარაგვაელები მის გარეშეც მრისხანედ გამოიყურებიან - იტალიელებს **როკე სანტა კრუსისა** და **ლუკას ბარიოსისგან** შემდგარი ტანდემი შეუტევს. სანტა კრუსის შესახებ ვის არ გსმენიათ და აი, ბარიოსი კი შესაძლოა ბევრმა არ იცოდეს - სწორედ მათ მივაწვდით ინფორმაციას და აღვნიშნავთ, რომ გასული სეზონი დორტმუნდის „ბორუსიას" შემადგენლობაში ბრწყინვალედ ჩაატარა. სადებიუტო სეზონში 19 გოლი გაიტანა და გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა. წარმოშობით არგენტინელია და რადგან **დიეგო მარადონამ** „ალბისელესტეში" მოხვედრის ყველანაირი შანსი გადაუწურა, პარაგვაელთა შეთავაზებას დათანხმდა. საქმე იმაშია, ერთი ხანობა სწორედ პარაგვაიში ცხოვრობდა და იქ შემთხვევითი კაცი არ გახლავთ.

სამხრეთამერიკელთა თავკაცი **გერარდო მარტინო** იმედოვნებს, რომ მისი ფეხბურთელები მთელი 90 წუთის განმავლობაში სრული მობილიზებით იასპარეზებენ:

*„პირველივე შეხვედრაში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებს ვხვდებით, რაც ძალიან დიდი წნეხის ქვეშ გვაქცევს. ბევრი თვლის, რომ იტალია გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე 2006 წელს, მაგრამ პირადად მე, ასე არ ვფიქრობ. „აძურაში" ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელების სინთეზია, ასეთ გუნდთან თამაში კი ყოველთვის ურთულესია. ჩვენი შეტევის იმედი ნამდვილად მაქვს, მაგრამ თუ დაცვა არ გავამაგრეთ, ყველაფერს ფასი დაეკარგება".*

იტალიურ პრესაში აქტუალური პერსონაა **ჩეზარე მალდინი**, რომელიც თავის დროზე ორივე ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა. აი, რას ამბობს უფროსი მალდინი:

*„ადრეც არაერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ პარაგვაელთა წინააღმდეგ თამაში ძალიან რთული იქნება. გარდა იმისა, რომ სამხრეთამერიკელთათვის დამახასიათებელი ტექნიკა აქვთ, დისციპლინითაც გამოირჩევიან. ამ მხრივ, ისინი ყველაზე წინ დგანან თავის კონტინენტზე. „აძურას" ცენტრალურ მცველებს მართებთ ყურადღებით ყოფნა, მათ წინააღმდეგ ძალიან სწრაფი, ხისტი და მოძრავი თავდამსხმელები ითამაშებენ".*

ვნახოთ, „ფრი სტეიტ სტადიუმზე", წესით, მართლაც საინტერესო პაექრობა უნდა გაჩაღდეს.

# ეგზოტ სამურაების გარემოცვაში

14 ივნისი. ბლუმფონტეინი. ფრი სტეიტი. 18:00

**იაპონია-კამერუნი**

სავარაუდო შემადგენლობები

**იაპონია:** კავაშიმა - კონო, ნაკაზავა, ტულიო, ნაგატომო - აბე, ენდო - ჰონდა, ჰასებე, ოკუბო - ოკაზაკი.

**კამერუნი:** სულეიმანუ - ბასონგი, მბია, ნკულუ, ასუ-ეკოტო - სონგი, მაკუნი, ენო - ემანა, ეტოო, ვებო.

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)

შავი კონტინენტის წარმომადგენლებს ამ ჩემპიონატზე დიდ შედეგებს უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ ჯერჯერობით, აფრიკის ვერც ერთმა ნაკრებმა ვერ გვაჩვენა ის ფეხბურთი, რომელსაც მწვერვალების დაპყრობა შეუძლია. აფრიკული ფეხბურთის გულშემატკივრებს კამერუნის იმედი აქვთ, მაგრამ თუ ბოლო ამხანაგურ შეხვედრებს გადავხედავთ, ოპტიმიზმის საფუძველი ნაკლებად არის. თუნდაც საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ გამართული პაექრობა გავიხსენოთ, სადაც კამერუნელებმა პრაქტიკულად ვერაფერი გვიჩვენეს. გარდა ამისა, დამარცხდნენ სერბებთან (4:3) და პორტუგალიელებთან (3:1).

ამხანაგურ მატჩებში ვერც იაპონელებმა იმარჯვეს და მიჯრით სამ პაექრობაში დამარცხდნენ: კოტ დივუართან (2:0), ინგლისთან (2:1) და სამხრეთ კორეასთან (2:0). განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი ინგლისელებთან მატჩი გახლდათ - სამურაები დაწინაურდნენ, თუმცა შემდეგ ორი გოლი გაიტანეს საკუთარ კარში და დასანანი მარცხი იწვნიეს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, იაპონელებმა მომდევნო შეხვედრაშიც დალაშქრეს საკუთარი კარის ბადე და კოტ დივუარელებს საქმე გაუიოლეს. მოკლედ, იაპონელთა მეკარეს კამერუნის ფორვარდებზე მეტად, საკუთარი მცველების უნდა ეშინოდეს. ისე კი, სამურაები სწრაფ და ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ. აქცენტს ფლანგიდან შეტევებზე აკეთებენ, რაც მათი ტაქტიკიდანაც ნათლად ჩანს. თუ მთავარმა მწვრთნელმა ახალი ველოსიპედის გამოგონება არ მოისურვა, იაპონია 4-2-3-1 სქემით იასპარეზებს. აქვე ვთქვათ, რომ აზიელებს სერიოზული დანაკლისი არ აქვთ - წელის ტრავმა აწუხებდა **მაკოტო ჰასებეს**, მაგრამ როგორც ექიმები იუწყებიან, მოიშუშა და სრულ მზადყოფნაშია.

ჯანზეა კამერუნელთა მთავარი იმედი **სამუელ ეტოო. პოლ ლე გუენს** ეს ძალიან ახარებს და იქადნება, რომ მისი სამწყსო შემტევ ფეხბურთს ითამაშებს. ტაქტიკაც შესაბამისი შეურჩევია: 4-3-3. არ იფიქროთ, განზოგადებულ 4-3-2-1-ზე გვქონდეს საუბარი ან რაიმე მსგავსზე, აქ სუფთა სამი თავდამსხმელი იგულისხმება. ერთი რომ ეტოო იქნება, ცხადზე ცხადია, მეორე - **ემანა**, მესამე კი - **ვებო**. ამ უკანასკნელმა სერბებთან ამხანაგურ პაექრობაში გამოიჩინა თავი, გაუტანა რა ბალკანელებს ორი გოლი. შესაბამისად, ყველა ლოგიკით სასტარტო შემადგენლობაში უნდა იასპარეზოს. ლე გუენი იმედოვნებს, რომ მისი გუნდი საკუთარ თამაშს მოახვევს თავს მეტოქეს. სანამ კამერუნელთა თავკაცს გადავცემდეთ სიტყვას, აღვნიშნოთ, რომ აფრიკელებს მთავარი კიპერის, დაშავებული **კარლოს კამენის** გარეშე მოუწევთ ასპარეზობა - კარში კი **სულეიმანუ** ჩადგება. აქვე, ლე გუენის დაპირებული წინასამატჩო კომენტარი:

*„გუნდის მომზადებით ძალიან კმაყოფილი ვარ და მჯერა, რომ ჩვენს ძალას პირველივე შეხვედრაში დავამტკიცებთ. დასამალი არ არის, რომ შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ, ეს ჩემი სტილია და მას არასდროს ვუღალატებ. ეტოო თავს კარგად გრძნობს და საბრძოლველად არის განწყობილი, ისევე როგორც მთელი გუნდი. რაც შეეხება მეტოქეს, ძალიან მობილურ და მოძრავ გუნდთან გვექნება საქმე. იაპონელები თითქოს არ იღლებიან და მთელი 90 წუთის განმავლობაში ერთნაირი ტემპით თამაშობენ. თუმცა, ისევე როგორც ნებისმიერ გუნდს, სუსტი მხარეები მათაც აქვთ და ვეცდებით, ეს კარგად გამოვიყენოთ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სავარაუდო რეკორდები

## მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატს შეუძლია ისტორია გადაწეროს

**სამხრეთ აფრიკაში დაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატს შეუძლია ტურნირის რამდენიმე რეკორდი გაიმეოროს და გააუმჯობესოს. ამ საფეხბურო მარათონის ყველანაირი მიღწევისთვის თვალის დევნება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ რამდენიმე ყველაზე თვალსაჩინო მომენტისთვის ღირს ყურადღების მიპყრობა.**

მთავარი კითხვა მეტად ბანალურია: ვინ მოიგებს ჩემპიონატს? ბევრს, მათ შორის ბუკმეიკერებს მიაჩნიათ, რომ გამარჯვების კარგი შანსი აქვს ბრაზილიის ნაკრებს, რომელსაც ოდნავ მაღალი კოეფიციენტი (5.5) აქვს, ვიდრე ესპანეთს (5.0). ასე რომ, თუ ბრაზილია ჩემპიონი გახდება, ის გააუმჯობესებს რეკორდს ტიტულების რაოდენობით, რომლის მფლობელიც თავად გახლავთ - ხუთი გამარჯვება.

მაგრამ არის სხვა ვარიანტიც. მოქმედ ჩემპიონებს - იტალიელებს, რომლებიც ბუკმეიკერებმა მეშვიდე პოზიციაზე დააყენეს (17.0), ამ მომენტისთვის ოთხი ტიტული აქვთ. თუ ისინი თასის შენარჩუნებას შეძლებენ, მაშინ ბრაზილიის ნაკრებს გაუთანაბრდებიან.

არსებობს ერთი მოთამაშის მიერ ჩემპიონატებზე გატანილი გოლების რეკორდის გაუმჯობესების შანსიც. ჯერჯერობით ლიდერი **რონალდოა**, რომელმაც სამ ფინალურ ტურნირზე (ფორმალურად, ბრაზილიელი ოთხი ჩემპიონატის მონაწილედ მიიჩნევა, თუმცა მას 1994 წელს ერთი წუთიც არ უთამაშია) 15 გოლი გაიტანა. სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე ჩემპიონატის ყველა მონაწილიდან ამ რეკორდის გაუმჯობესების რეალური შანსი მხოლოდ ერთ მოთამაშეს აქვს. ლაპარაკია გერმანიის ნაკრების ფორვარდ **მიროსლავ კლოზეზე**, რომლის ანგარიშზე უკვე 11 გოლი მოდის: ხუთ-ხუთი 2002 და 2006 წლების ჩემპიონატებზე და ერთიც გუშინდელ შეხვედრაში. სხვათა შორის, ის ერთადერთი მოთამაშეა ისტორიაში, ვისაც ზედიზედ ორ ფინალურ ტურნირზე მინიმუმ ხუთი გოლი აქვს გატანილი.




ალბათ, არ შეიძლება კატეგორიულად იმის გამორიცხვა, რომ რომელიმე ფეხბურთელი ამ ჩემპიონატში 15 გოლს გაიტანს, მაგრამ ეს ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. წარსულს ჩაბარდა **ჟუსტ ფონტენის** დრო, რომელმაც 1958 წელს 13 გოლის გატანა მოახერხა. დღეისთვის 5-6 გოლის გატანა ბომბარდირთა დავაში გამარჯვების კარგ შანსს იძლევა.

თუმცა ბუკმეიკერებს კლოზესი ნაკლებად სჯერათ. ისინი ბომბარდირთა დავაში ფავორიტებად ესპანელ **დავიდ ვილიას**, არგენტინელ **ლიონელ მესისა** და ინგლისელ **უეინ რუნის** მიიჩნევენ, რომელთა კოეფიციენტები ცხრა-ათის ფარგლებში მერყეობს. კლოზე კი საუკეთესო ათეულის ბოლო ადგილზეა 34.0 კოეფიციენტით, რაც სულ არ არის გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ „ბაიერნის" ფორვარდმა წელს გერმანიის ჩემპიონატის 25 მატჩში მხოლოდ სამი გოლი გაიტანა. ასე რომ, კლოზეს ბომბარდირობა თითქმის გამორიცხულია. თუმცა ასე ამბობდნენ რონალდოზე 2002 წლის ჩემპიონატის წინ. ბრაზილიელს იმ სეზონში ექიმებთან სამი ვიზიტი ჰქონდა და თითქმის არ გააჩნდა სათამაშო პრაქტიკა, ამის მიუხედავად, ბრაზილიელმა რვა გოლი ჩაიწერა აქტივში.

კლოზესა და მისი პარტნიორების მონდომებაზე იქნება დამოკიდებული, შეძლებს თუ არა გერმანია ბრაზილიისთვის კიდევ ორი რეკორდის ჩამორთმევას. ჩემპიონატის დაწყების წინ ეს გუნდები პირველ ადგილს იყოფდნენ ფინალურ ეტაპებზე ნათამაშები მატჩების რაოდენობით - 92-92. აქ ყველაფერი მარტივია: გუნდი, რომელიც უფრო დიდხანს გაჩერდება სამხრეთ აფრიკაში, შესაბამისად, აბსოლუტური რეკორდსმენი გახდება.

ბრაზილიელთა მეორე რეკორდი, რომლის გაუმჯობესება თეორიულად გერმანიას შეუძლია, მსოფლიოს ჩემპიონატებზე გატანილი გოლების საერთო რიცხვში გამოიხატება. ამჟამად ბრაზილიას, რომელიც, ცნობისთვის, ყველა ჩემპიონატის მონაწილეა, 201 გოლი აქვს, გერმანიას - 190 (გუშინდელი მატჩის შედეგი გათვალისწინებული არ არის). ასეთი ჩამორჩენის გაბათილებას ევროპელები იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ ბრაზილია ძალიან ცუდად გამოვა სამხრეთ აფრიკაში. ამის ნაკლებად გვჯერა, მაგრამ მაგალითებიც არსებობს. 2002 წელს საფრანგეთის ნაკრები მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩარჩა ჯგუფურ ეტაპზე.

კიდევ ერთი რეკორდი, რომელიც შეიძლება ამ პირველობაზე გამეორდეს, სამწვრთნელო სამუშაოს განეკუთვნება. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიას მხოლოდ ერთი მწვრთნელი ახსოვს, ვისაც ორ ტურნირზე აქვს მოპოვებული გამარჯვება. ეს არის იტალიელი **ვიტორიო პოცო**, რომელმაც იტალიის ნაკრები 1934 და 1938 წლებში გააჩემპიონა. ხოლო წლევანდელი ტურნირის მონაწილე გუნდების მწვრთნელთაგან ორია ისეთი, ვისაც აქტივში ერთი ტიტული აქვს - იტალიის დამრიგებელი **მარჩელო ლიპი** და სამხრეთ აფრიკის მთავარი მწვრთნელი **კარლოს ალბერტო პარეირა**.

ტურნირის შედეგების მიხედვით გაირკვევა ლიდერი მუდმივ დავაში - ევროპა თუ სამხრეთ ამერიკა? ჯერჯერობით მათ თანაბარი რაოდენობის ტურნირები (თითოს ცხრა) აქვთ მოგებული. ბუკმეიკერები დარწმუნებულნი არიან, რომ გამარჯვება ევროპას დარჩება. „ძველი კონტინენტის" წარმომადგენლის გამარჯვებაზე კოეფიციენტი - 1.44-ს უდრის, სამხრეთ ამერიკისა - 3.0-ს. არადა, ევროპულ გუნდებს აქამდე მხოლოდ საკუთარ კონტინენტზე აქვთ მოგებული ცხრავე ტიტული.

# ყველაზე უგემოვნო ვარცხნილობა

გაირკვა მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილეთა შორის ყველაზე უგემოვნო ვარცხნილობის მქონე ფეხბურთელი. ეს გახლავთ კამერუნის ნაკრების 33 წლის მცველი **რიგობერ სონგი**. ვეტერანმა რატომღაც ქერად გადაწყვიტა თმებისა და წვერის შეღებვა, ბოლოს კი ნაწნავებიც გაიკეთა. საბოლოოდ, სონგი ღრმა მოხუცებულს დაემგვანა და მეტად უცნაურად გამოიყურება თავის პარტნიორებს შორის.

თურქეთის „ტრაბზონსფორის" მოთამაშისთვის ეს მეოთხე ჩემპიონატია კარიერაში. ადრე სონგს ორი საეჭვო რეკორდი ეკუთვნოდა. 1994 წელს, 17 წლის იუნიორი ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა ისტორიაში, ვინც მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე გააძევეს მოედნიდან. 1998 წლის ჩემპიონატში კიდევ ერთი გაძევების შემდეგ, რიგობერი ერთადერთი ფეხბურთელი გახდა, ვინც ორ სხვადასხვა ტურნირზე მიიღო წითელი ბარათი. თუმცა 2006 წელს ეს ანტირეკორდი **ზინედინ ზიდანმა** გაიმეორა.






# ისევ კრიმინალური ამბები

სამხრეთ აფრიკიდან კვლავ უხვად მოდის კრიმინალური ხასიათის ახალი ამბები. გუშინ ქურდებმა ჩემპიონატზე მუშაობის საშუალება მოუსპეს ახალზელანდიურ ტელეჯგუფს - მძარცველებმა 70 ათასი დოლარის ღირებულების ტელეაპარატურა გაიტაცეს.

ქურდობა ქალაქ რუსტენბურგის სასტუმროში მოხდა, სადაც ჟურნალისტები იყვნენ დაბანაკებული. ახალი ზელანდიის ნაკრები ხვალ ეთამაშება რუსტენბურგის სტადიონ „როიალ ბაფოკენგზე" სლოვაკეთის ნაკრებს. ახლა ზელანდიაში ამ მატჩის გაშუქება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. როცა გადამღები ჯგუფი რესტორანში იმყოფებოდა, დამნაშავეებმა ნომრის კარი გატეხეს და კამერა, ხმისა და განათების აპარატურა, ნოუთბუკი და სატელიტური ანტენა მოიპარეს.

ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორების დაპირების მიუხედავად, ტურნირის სტუმრებს სამხრეთაფრიკელი ქურდებისა და ყაჩაღების გაძლება უხდებათ. ამ ქვეყნის მთავრობა გარანტიას იძლეოდა, რომ ჩემპიონატის დროს სიტუაცია კონტროლს დაექვემდებარებოდა. ფიფას გენერალურმა მდივანმა **ჟერომ ვალკემ** ეს დაიჯერა და მუნდიალის წინ სამხრეთ აფრიკა დედამიწაზე ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად გამოაცხადა. ქვეყანაში მუშაობა დაიწყო 56-მა სპეციალურმა სასამართლომ იმ საქმეების გაძლიერებულ რეჟიმში განსახილველად, რომელიც 2010 წლის ჩემპიონატს ეხება. *„კანონის მთელი სიმკაცრე დაატყდება თავს ნებისმიერს, ვინც ჩემპიონატის წარმატებით ჩატარებას შეუშლის ხელს"*, - განაცხადა სამხრეთ აფრიკის იუსტიციის მინისტრმა **ჯეფ ჰადებემ**.

მაგრამ მსგავსმა ზომებმა კრიმინალური სამყარო ვერ დააშინა. ჯერ კიდევ მაისში აგორდა სკანდალი კოლუმბიის ნაკრების გარშემო. ამ გუნდის ფეხბურთელებს იოჰანესბურგის ხუთვარსკვლავიან სასტუმროს ნომრებიდან ფული მოჰპარეს. ამის შემდეგ მძარცველების მსხვერპლნი გახდნენ ესპანელი და პორტუგალიელი ჟურნალისტები, რომლებსაც იარაღის მუქარით წაართვეს ნოუთბუკები, ფოტოაპარატები, პასპორტები და მობილური ტელეფონები. კარგი დღე არც ჩინელ კორესპონდენტებს დაადგათ. მათი მანქანა შეიარაღებულმა პირებმა გააჩერეს და აზიელები უფულოდ დატოვეს. კრიმინალებმა არც საბერძნეთის ნაკრების ფეხბურთელები დაინდეს და დურბანში მათი სასტუმრო ნომრებიდან ფული მოიპარეს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ესპანეთი


ანდრეს ინიესტა ვარჯიშზე

# ინიესტა სასტარტოში

ესპანეთის ნაკრების თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** განაცხადა, რომ **ანდრეს ინიესტა** ოთხშაბათს შვეიცარიის ნაკრების წინაალმდეგ მატჩში სასტარტო შემადგენლობაში იქნება. ინიესტამ პოლონეთის ნაკრებთან 6:0 დასრულებულ სპარინგში კუნთი დაიზიანა და მას მერე მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს. თავიდან ეგონათ, რომ ანდრესი ვერ მოასწრებდა მუნდიალზე „ფურია როხას" პირველი მატჩისთვის გამოჯანრთელებას, თუმცა დელ ბოსკე დარწმუნებულია, რომ „ბარსელონას" ფეხბურთელი ამას შეძლებს.

*„ინიესტა ითამაშებს და ის სასტარტო შემადგენლობაში იქნება ჩავის გვერდით. ორშაბათს ის ბურთთან ერთად პირველად ივარჯიშებს, თამაშამდე ჯერ კიდევ არის დრო და დარწმუნებული ვარ, ანდრესი ითამაშებს"*, - განუცხადა დელ ბოსკემ „ლა სიეტეს".

დელ ბოსკემ მომავალ კონკურენტებზეც ისაუბრა: *„ინგლისის ნაკრების თამაშმა გული დამწყვიტა, აქამდე მეგონა, რომ ეს გუნდი იყო მუნდიალის აშკარა ფავორიტი. აი, არგენტინა კი რეალურად სერიოზული კანდიდატია, თუკი* **ლეო მესი** *ჩვეულ დონეზე თამაშს გააგრძელებს"*.

## სილვა: ჯერ ნაკრები, მერე კლუბები

„ვალენსიას" შემტევ ნახევარმცველ **დავიდ სილვას** ცხელი სატრანსფერო ზაფხული ელის. „ბარსელონა", „რეალი", „ჩელსი", „მანჩესტერ სიტი" და „ინტერი", აი, ჩამონათვალი იმ გრანდებისა, რომლებიც სილვას შეძენით არიან დაინტერესებულნი. თუმცა თავად ფეხბურთელს ახლა არ აინტერესებს, თუ სად ითამაშებს მომავალ სეზონში, როგორც თავად აცხადებს, მთლიანად სამუნდიალო ბატალიებშია ჩაფლული და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ ითამაშებს შვეიცარიის ნაკრების წინაალმდეგ.

*„დღეისათვის ძალიან მშვიდად ვუყურებ სატრანსფერო ციებ-ცხელებას. ერთადერთი რაც თავში მიტრიალებს, ესპანეთის ნაკრებია და რაც შეიძლება კარგი გამოსვლა მუნდიალზე. არ ვფიქრობ საკლუბო საქმეებზე და არც შესაძლო წასვლაზე „ვალენსიადან". ნაკრებში იდეალური სიტუაციაა შექმნილი, რომელიც გვავიწყებს ევროპულ საქმეებსა და პრობლემებს და მთლიანად მომავალ თამაშზე კონცენტრაციის საშუალებას გვაძლევს"*, - განაცხადა დავიდ სილვამ.

სილვას არ მიაჩნია, რომ მას და მის თანაგუნდელებს მუნდიალის ფავორიტობა „თავში აუვარდათ": *„ეიფორიაზე ბევრს საუბრობენ, თუმცა გუნდში ყველას კარგად გვესმის, თუ რა სახის სამუშაო უნდა გავწიოთ მუნდიალზე. თუკი ჩვენ შევძლებთ მხოლოდ საკუთარ თამაშზე კონცენტრაციას, ყველაფერი კარგად იქნება. კარგია, რომ ინიესტაც გვიბრუნდება, ის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია გუნდისთვის"*, - განაცხადა სილვამ.

## პედრიტოდან პედრომდე სწრაფად განვლილი გზა

შემოდგომით, როცა ესპანეთის ნაკრები ტრიუმფით ასრულებდა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს, ერთმა ახალგაზრდა ფორვარდმა, რომელსაც ყველა **პედრიტოს** სახელით მოიხსენიებდა, შეძლო თითქმის შეუძლებელი, თავი „ბარსელონას" ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა. ახლა უკვე ძნელი წარმოსადგენიც კია „ბარსელონა" პედროს გარეშე. ბუნებრივია, საკლუბო წარმატება აისახა მის კარიერაზეც, ვისენტე დელ ბოსკემ სიურპრიზი შესთავაზა ესპანეთის ნაკრების გულშემატკივრებს, პედრო 23-კაციან განაცხადში შეიყვანა, თუმცა თავად 23 წლის ფეხბურთელი არც ამაზე გაჩერებას აპირებს...

*„უბრალოდ, ბედნიერი ვარ, რომ არდადეგები ნაადრევად არ დამეწყო. ძალიან დიდი პატივია ჩემთვის მუნდიალზე ყოფნა და თავის გამოჩენის შანსის ქონა"*, - განუცხადა პედრომ ფიფას ოფიციალურ საიტს. შანსებს კი პედრო მალევე იყენებს, მან კარიერაში პირველი გოლი ეროვნული ნაკრების მაისურით პოლონეთის ნაკრებთან მატჩში გაიტანა, ეს კი მისი მე-3 კეპი იყო მხოლოდ. სხვათა შორის, პედრო პირველი ფეხბურთელია, რომელმაც 6 სხვადასხვა ტურნირში შეძლო გატანა ერთ კალენდარული წლის განმავლობაში - 2009 წელს მან გაიტანა: პრიმერაში, სამეფო თასზე, ესპანეთის სუპერთასზე, ჩემპიონთა ლიგაში, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე და ევროპის სუპერთასზე.

პედროს აქვს შანსი სასტარტო შემადგენლობაშიც მოხვდეს, თუკი **ანდრეს ინიესტა** ვერ შეძლებს ბოლომდე გამოჯანმრთელებას: *„ანდრესი ბრუნდება და მე მოხარული ვარ, რადგან ის დიდი ფეხბურთელია და ნაკრებს ესაჭიროება, თუმცა თუკი ამის შანსი მომეცემა, მე მზად ვარ სათამაშოდ"*, - აცხადებს პედრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## ბრაზილიას უნდა მოვუგოთო...

საკუთარი გუნდის სამუნდიალო პერსპექტივებზე პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველმა **სიმაო საბროსამ** ისაუბრა.

*„პორტუგალიას მთელ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავს. ამბიციაც შესაბამისი გვაქვს, მით უფრო, რომ ძლიერი გუნდი გვყავს. ყოველთვის მნიშვნელოვანია მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებით დაწყება და ეს აუცილებლად უნდა შევძლოთ. ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში კი ბრაზილიას ვხვდებით და ძალიან არ მინდა, იმ დროისთვის ისეთი სიტუაცია იყოს შექმნილი, რომ მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება გვაძლევდეს ხელს. თუმცა თუ საჭირო გახდა, ნამდვილად შეგვწევს ბრაზილიელთა დამარცხების ძალა. ეს ხომ ბოლო წლებში არაერთხელ მოგვიხერხებია. ჯგუფში პირველი ადგილი კი იმისთვის გვჭირდება, რომ მერვედფინალში ესპანეთს ავცდეთ. არა მგონია, ადრეულ ეტაპზე მასთან დაპირისპირება ვინმეს უნდოდეს და გამონაკლისები არც ჩვენ ვართ"*, - ამბობს სიმაო.

გამოცდილი შუახაზელი **ნანის** გამოკლებით გულდაწყვეტილია: *„ძალიან საწყენია, რომ ტრავმის გამო პორტუგალიის ნაკრებს ასეთი დონის ფეხბურთელი ვერ ეხმარება, მაგრამ რას ვიზამთ, ტრავმა ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. საბედნიეროდ, სხვა ძლიერი მოთამაშეებიც მრავლად გვყავს"*.

## კაპიტნობა უდიდესი პატივია



*„უსაზღვროდ ამაყი ვარ, საფრანგეთის ნაკრების კაპიტნობა ხომ, მით უფრო მსოფლიოს ჩემპიონატზე, უდიდესი პატივია. დიდი მადლობა ჩემს თანაგუნდელებს, რომელთა მხრიდანაც ნდობასა და პატივისცემას ვგრძნობ. სწორედ ეს მაძლევს საიმისო ძალას, რომ მოედანზე ბოლომდე დავიხარჯო და გუნდს მაქსიმალური სარგებლობა მოვუტანო"*, - ამბობს საფრანგეთის ნაკრების ახლად დანიშნული კაპიტანი **პატრის ევრა**, რომელმაც სამკლავური **ტიერი ანრისგან** გადაიბარა.

## შეიძლება, ვუვუზელა აკრძალონ

მუნდიალამდე ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ მაინც არაა გამორიცხული, მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა სტადიონებზე ეს სამხრეთაფრიკული საყვირი აკრძალოს.

*„პირადად მე ნამდვილად ვემხრობი იმას, რომ ვუვუზელები აიკრძალოს, ან შემცირდეს მაინც. ყველაზე ცუდი ისაა, რომ გულშემატკივრები მასზე მაშინაც კი უკრავენ, როცა ეროვნული ჰიმნები სრულდება და დიქტორი მოთამაშეთა გვარებს აცხადებს. ვუვუზელას მოსმენას გაცილებით მირჩევნია, ტრიბუნებიდან სიმღერა მესმოდეს. ყველანაირად შევეცდები, ამას მივაღწიო"*, - აცხადებს მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **დენი ჯორდანი**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

კოტ დ'ივუარი

სვენ გორან ერიქსონი

# ჩვენ მზად ვართ!

**შვედმა სპეციალისტმა სვენ გორან ერიქსონმა სულ რაღაც ორი თვის წინათ ჩაიბარა კოტ დივუარის ნაკრები. გუშინ მან ფიფას ოფიციალურ საიტს მისცა ინტერვიუ:**

**- ბევრი მიიჩნევს, რომ კოტ დივუარის ნაკრები აფრიკულ გუნდთაგან ყველაზე შორს წავა. რას ფიქრობთ თქვენ?**

- ვიმედოვნებ, რომ ისინი მართლები არიან. მართლაც კარგი ნაკრები გვყავს სწრაფი, ძლიერი და ტექნიკური ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. ნაკრებს აქვს ყველა ინგრედიენტი, რომ საბოლოოდ წარმატებული პროდუქტი გამოვიდეს, მაგრამ ჩვენს მდგომარეობას ართულებს უძლიერესი ჯგუფი. სადაც ძნელი იქნება იმ ამოცანების გადაჭრა, რაც დავსახეთ. ფეხბურთელების საქმისადმი მიდგომით კი უზომოდ კმაყოფილი ვარ.

**- რა რეაქცია გქონდათ, როცა დიდიე დროგბამ ტრავმა მიიღო?**

- ვიფიქრე, რომ ბედი არაფერში გვაქვს, რადგან ყველამ იცის, რას ნიშნავს დიდიე ეროვნული ნაკრებისათვის. მაგრამ ის ჯერ კიდევ გუნდშია და, ვიმედოვნებ, თამაშსაც შეძლებს. ჯერ ვერ გეტყვით, რომ პირველი მატჩისთვის გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

**- მართალია, თითქოს, დროგბამ დაგირეკათ და გთხოვათ ფედერაციის შემოთავაზებას დათანხმებოდით?**

- არა, ჩემი დანიშვნა კოტ დივუარის ნაკრების მწვრთნელად მთლად მასე არ მომხდარა. ფედერაციის პრეზიდენტმა შემომთავაზა ეს სამუშაო. მას შემდეგ, რაც წინადადებას დავთანხმდი, პირველი რაც გავაკეთე, დიდიეს შევხვდი. მინდოდა გამეგო მისი ხედვა, მონდომება. მას მერე ნაკრების ბევრ ფეხბურთელს დავურეკე და გავესაუბრე, მაგრამ თავიდან დიდიესველაპარაკე, ის ხომ კაპიტანია.

**- თქვენმა წინამორბედმა ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა ერთი მატჩიც არ წააგო, მაგრამ, ამბობენ, მისი ხელმძღვანელობით თამაში თავად ფეხბურთელებს არ სურდათ. ძნელია მწვრთნელობა ვარსკვლავებით დახუნძლულ ნაკრებში?**

- მწვრთნელის სიტყვა კანონი უნდა იყოს ფეხბურთელისთვის. მე ვწყვეტ ტაქტიკის საკითხებს, როგორ დავიცვათ თავი, როგორ შევუტიოთ. კოტ დივუარის გაწვრთნა ამ მხრივ ჩემს სხვა სამუშაოსგან არ განსხვავდება. რა თქმა უნდა, ფეხბურთელი ბევრს ნიშნავს, ბოლო-ბოლო 90-მა წუთმა მხოლოდ მათ მხრებზე უნდა გაიაროს, მაგრამ ახლა ის დრო აღარ არის, თამაშის წინ ფეხბურთელებს მიმართო: „აბა თქვენ იცით ბიჭებოო" და ხელები დაიბანო.

**- შეძლით ფეხბურთელებისთვის თვითრწმენა ჩაგენერგათ?**

- მოდით, ეს თავად ფეხბურთელებს ვკითხოთ. მე მიმაჩნია, რომ შევძელი. მაგრამ სანამ ერთ მატჩს მაინც არ ვითამაშებთ, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. როცა პირველი თამაში ჩაივლის, ყველაფერი სწრაფი ტემპებით ვითარდება. ახლა კი შემიძლია ვთქვა, რომ მომზადების პერიოდი კარგი იყო. კმაყოფილი ვარ ბიჭების შემართებით. მოკლედ, კოტ დივუარი საბრძოლველად და სამუნდიალოდ მზადაა.

**- დროგბამ რომ ვერ ითამაშოს, რა როლი ექნება მას ნაკრებში?**

- სიმართლე გითხრათ, ამაზე არც გვიფიქრია და არც ვაპირებთ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დიდიე ითამაშებს. ის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ის წლებია ეროვნულ გუნდში, კაპიტანი და ნამდვილი ლიდერია, და, რა თქმა უნდა, საუკეთესო მოთამაშე. დიდიეს ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა „ჩელსიში".

**- რა დასკვნა გამოიტანეთ წინა მსოფლიოს ჩემპიონატებიდან?**

- უპირველესად, ეს არის დიდი ზეიმი, ფესტივალი, რომლის ნაწილად თავის გრძნობა უდიდესი სიამოვნებაა. მწვრთნელის უმთავრესი მისიაა, როგორმე ფეხბურთელებს ის უზარმაზარი ზეწოლა მოუხსნას, რასაც ისინი გრძნობენ მუნდიალზე. ფეხბურთელი მოედანზე მშვიდი უნდა გადიოდეს, ყოველგვარი ზედმეტი ემოციის გარეშე, მან უნდა იფიქროს მხოლოდ მის საქმეზე.

**- თქვენ კვლავ გიწევთ პორტუგალიის ნაკრებთან დაპირისპირება...**

- როცა სამუშაოს დავთანხმდი, კენჭისყრა კარგა ხნის ჩატარებული იყო. წინასწარ ვიცოდი, რა ძლიერ ჯგუფზე დავთანხმდი. მაგრამ მე დიდი მოტივაცია მაქვს, ეს რომ არა, ახლა აქ ვერ მნახავდით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


სვენ გორან ერიქსონი ერთ-ერთი ვარჯიშისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## ობამამ ლუდი ვერ მოიგო

ინგლისისა და აშშ-ის მატჩის წინ ამ ქვეყნების ლიდერები თავიანთი გუნდის გამარჯვებაზე დანაძლევებულან. მოგებული სახელმწიფოს ხელმძღვანელს კოლეგისგან ლუდი უნდა მიელო. შეხვედრა ფრედ დასრულდა და შესაბამისად, დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი **დევიდ კამერონი** და ამერიკის პრეზიდენტი **ბარაქ ობამა** ლუდის გარეშე დარჩნენ.

## ფედერერი უკეთესია, შვეიცარია უშანსო

*„კორტზე როჯერ ფედერერი ჩემზე ძლიერია, სამაგიეროდ, საფეხბურთო მოედანზე მის შვეიცარიას ჩემს ესპანეთთან არავითარი შანსი არა აქვს“*, - განაცხადა **რაფაელ ნადალმა**. ესპანეთი და შვეიცარია ერთმანეთს 16 ივნისს შეხვდებიან.

## გეკასს ნიგერიის დამარცხებისა სჯერა



პირველ ტურში სამხრეთ კორეასთან განცდილი მარცხით საბერძნეთის ნაკრები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, თუმცა **ოტო რეჰაგელის** გუნდის ფორვარდი **თეოფანის გეკასი** დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი შემდეგ მატჩში ნიგერიის ძლევას შეძლებს: *„სამწუხაროდ, კორეასთან მატჩის დებიუტი ჩავაგდეთ და შემდეგ მდგომარეობის გამოსწორება ველარ შევძელით. ამის მიუხედავად, ყველაფერი დაკარგული არაა, ნიგერიის დამარცხების ძალა შეგვწევს და ამას აუცილებლად მოვახერხებთ“.*

## ვერონი კორეასთან ითამაშებს

**ხუან სებასტიან ვერონის** თქმით, ნიგერიასთან მატჩში მიღებული ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. შეგახსენებთ, მან მარჯვენა ფეხი იტკინა და ამის გამო 74-ე წუთზე შეცვალეს. ვერონი დარწმუნებულია, რომ მომავალ ტურში სამხრეთ კორეასთან შეხვედრაში მონაწილეობას შეძლებს. თუ გამოჯანმრთელება მაინც ვერ მოასწრო, ამ მატჩში მის ადგილს სავარაუდოდ, **ხავიერ პასტორე** დაიკავებს.

## ჰოვარდი ამაყია

*„ინგლისელთა გოლამდე თამაშის დალაგება ვერ მოვასწარით, საკუთარი თამაში კი მაშინვე ვიპოვეთ, როცა მეტოქემ ანგარიში გახსნა. შეიძლება, ამერიკის ნაკრებს ლამაზად არ უთამაშია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მაღალი დონის ფეხბურთი ვაჩვენეთ და მეტოქის უდიდეს დაწოლას გავუძელით. ჩემი გუნდით ამაყი ვარ“*, - ამბობს აშშ-ის ნაკრების გოლკიპერი **ტიმ ჰოვარდი**.

## მოიესი იაკუბუს აქებს

*„ნიგერიის ნაკრებმა ძალიან ღირსეულად ითამაშა, იაკუბუ კი ამ გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო“*, - ამბობს ინგლისური „ევერტონის“ მთავარი მწვრთნელი **დევიდ მოიესი**. შეგახსენებთ, **იაკუბუ აიეგბენი** სწორედ მისი გუნდის ღირსებას იცავს.

## ეს დომენექს ჰკითხეთო...

ყველასთვის მოულოდნელად, საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა **რაიმონ დომენეკმა** ურუგვაისთან მატჩში **ფლორენ მალუდა** სასტარტო შემადგენლობაში არ გაამწესა და გამოცდილი ნახევარმცველი მოედანზე ბოლო 15 წუთითღა შეუშვა.

ბუნებრივია, ამ ფაქტით მალუდა ნაწყენი დარჩა, მაგრამ ხმამაღალი განცხადებების გაკეთებას მაინც მოერიდა: *„მე ერთი ის ვიცი, რომ ჩემი გუნდის დახმარება შემიძლია, მწვრთნელის გადაწყვეტილებაზე კი კომენტარს ვერ გავაკეთებ. თუმცა არ დავმალავ, რომ სათადარიგოთა სკამზე დარჩენით გაკვირვებული დავრჩი. ნამდვილად არაა იოლი საკუთარი შესაძლებლობების 15 წუთში წარმოჩენა“.*

სალვატორე სკილაჩი

# მამაჩემს რომის პაპივით ექცეოდნენ

### ტოტო 1990 წლის მუნდიალს იხსენებს და რაც მაშინ თავად დაემართა, წელს იმავეს დი ნატალეს უსურვებს

**მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა. იმ მუნდიალის სახე კი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონი გერმანია გახდა, იტალიელი სალვატორე „ტოტო“ სკილაჩია. მან ექვსი გოლის გატანა შეძლო, საუკეთესო ბომბარდირი და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. დღეს ტოტო 45 წლისაა, პალერმოში ცხოვრობს და საკუთარი სკოლა აქვს. გამოცემა „სპოქსთან“ ინტერვიუში 20 წლის წინანდელი მუნდიალის გმირი მაშინდელ სიგიჟეებზე, რობერტო ბაჯოსა და „მომავალ სკილაჩიზე“ საუბრობს.**

**- ტოტო, რას გრძნობთ ხოლმე, როცა რადიოში „ნოტი მაჯიკეს“, 1990 წლის მუნდიალის ოფიციალურ საუნდტრეკს უშვებენ?**

- რა თქმა უნდა, მაშინვე 1990 წლის ზაფხული მახსენდება. მსოფლიოს ყოველი ჩემპიონატის წინ მთელი მსოფლიოდან მირეკავენ და ინტერვიუებს მთხოვენ. ჩვენთან კი, იტალიაში, ყოველი მუნდიალის წინ 1990 წლის მუნდიალის კადრებს აჩვენებენ ხოლმე. 2006 წელს ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით, მაგრამ ხალხს „იტალია 90“ უფრო დაამახსოვრდა, რადგან ეს იყო ყველა დროის საუკეთესო მუნდიალი. მას მერე 20 წელი გავიდა და ხალხს მაინც უჭირთ იმ გრანდიოზული ტურნირის დავიწყება. მეც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ის ყველაფერი გუშინ მოხდა. 1990 წლის მუნდიალი პირადად ჩემთვის საუკეთესო რამ იყო. მაშინ ხომ მთელმა მსოფლიომ გამიცნო...

**- იმ ზაფხულს თქვენ მთელი იტალიის სიმბოლო გახდით. უშუალოდ მუნდიალის დროს ამას გრძნობდით?**

- სიმბოლო მხოლოდ მაშინ გავხდი, როცა გოლების გატანა დავიწყე. ტიფოზები ყველგან დაგვყვებოდნენ. განსაკუთრებით პალერმოში იყო ხოლმე ნამდვილი საგიჟეთი: ჩემი სახლის წინ ათასობით ქომაგი იკრიბებოდა და როცა მამაჩემი აივანზე გამოვიდოდა, ისე ხვდებოდნენ, როგორც რომის პაპს. მოკლედ, ფანტასტიკა იყო და იმ განცდების სიტყვებით გადმოცემა ძალიან ძნელია.

**- როგორ მოხდა ის ყველაფერი, როგორ ახსნით იმ ზღაპარს, რაც 1990 წლის ზაფხულში თქვენს თავს დატრიალდა?**

- მე მქონდა ბედნიერება და ძალიან გამიმართლა, რომ მართლაც გენიალური გუნდის ერთ-ერთი ფეხბურთელი ვიყავი. ჯანლუკა ვიალი, რობერტო ბაჯო, ფრანკო ბარეზი, პაოლო მალდინი, ჟუზეპე ბერგომი - მე ხომ უდიდესი ფეხბურთელების მხარდამხარ ვთამაშობდი. მართალია, უმძიმესი წნეხის ქვეშ ვიყავით მოქცეულები, მაგრამ არ დაიჯერებთ და მთელი გუნდი მშვიდად იყო. ვიცოდით, რომ უმნიშვნელოვანესი ამოცანა გვქონდა. პირადად მე ზოგადად ძალიან მშვიდი ადამიანი ვარ და ზედმეტი ფიქრით თავს არ ვიწუხებდი. მუნდიალამდე ერთი წლით ადრე სერია B-ში ვთამაშობდი და ვერ წარმოვიდგენდი, რომ ერთი წლის შემდეგ ყველასათვის ცნობილი და საყვარელი ფეხბურთელი გავხდებოდი.

**- შეგიძლიათ გაიხსენოთ ის მომენტი, როცა „სკუადრა აძურას“ მთავარმა მწვრთნელმა აძელიო ვიჩინიმ დაკირეკათ და გითხრათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებო?**

- მე ვიყავი უკანასკნელი ფეხბურთელი, რომელსაც მწვრთნელმა დაურეკა და გამოიძახა. რა თქმა უნდა, ძალიან გამიკვირდა, რადგან ამას ნამდვილად არ ველოდი. მანამდე, იტალიის ნაკრების მაისურით მხოლოდ ერთი თამაში მქონდა ჩატარებული. უბედნიერესი ადამიანი ვიყავი, როცა გავიგე, რომ ვიჩინიმ განაცხადში შემიყვანა.

**- ეს იმიტომ მოხდა, რომ „იუვენტუსში“ სეზონი შესანიშნავად ჩაატარეთ...**

- 1989 წლის ზაფხულში მე ჯერ კიდევ „მესინაში“ ვთამაშობდი და მეორე ლიგის ფეხბურთელი ვიყავი, მაგრამ რაკი სერია B-ს საუკეთესო ბომბარდირი გავხდი, „იუვენტუსმა“ მაშინვე მიყიდა. ყველასათვის და პირველ რიგში ჩემდა გასაკვირად, „იუვეს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ძალიან სწრაფად დავიმკვიდრე და ტურინულ გრანდთან ერთად, უეფას თასი და იტალიის თასი მოვიგე. მთელ სეზონში კი, საერთო ჯამში, 21 გოლის გატანა მოვახერხე. შესაბამისად, პრესა მუდმივად წერდა, სკილაჩი იტალიის ნაკრების თავდამსხმელი უნდა იყოსო. ასეც მოხდა.

**- მერე იყო მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი მატჩი ავსტრიასთან და თქვენი პირველი გოლი...**

- იცით, მე ბევრ რამეზე ვოცნებობდი, მაგრამ იმაზე ნაღდად არ მიოცნებია, რომ მუნდიალზე ნაკრების პირველ მატჩში გოლი გამეტანა. თავიდან ვფიქრობდი, რომ იტალიის ნაკრების 18-კაციან განაცხადშიც ვერ მოვხვდებოდი და მატჩებისთვის თვალის დევნება ტრიბუნებიდან მომიწევდა. ვიალი, კარნევალე და ბაჯო იერარქიაში ჩემზე წინ იდგნენ და მე, ასე ვთქვათ, რეზერვის რეზერვი ვიყავი. მაგრამ ვარჯიშებზე იმდენად კარგად გამოვიყურებოდი, რომ ვიჩინიმ გადაწყვიტა, სათადარიგოთა სკამზე დავესვი. შეხვედრის 75-ე წუთზე კი მწვრთნელმა მოედანზე შემიშვა! სამი წუთის შემდეგ, თავით გოლი გავიტანე და ანგარიში გავხსენი. ეს იყო გოლი, რომელმაც ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა.

**- თქვენ თავდასხმაში ბაჯოსთან ერთად თამაშობდით, ვიალი და ანდრეა კარნევალე კი სკამზე დასხდნენ. როგორი იყო ბაჯო და მის გვერდით თამაში?**

- რობისთან ერთად არა მარტო ვთამაშობდი, არამედ ჩვენ ერთ ოთახში გვეძინა. ბაჯო შესანიშნავი სპორტსმენი, უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება და სანდო ადამიანი იყო. რობის ფეხბურთი, ანუ თავისი პროფესია, ყველაზე და ყველაფერზე მეტად უყვარდა. ვფიქრობ, ახლა საჭირო არაა იმაზე საუბარი, თუ რამდენ დიდი ფეხბურთელი იყო ბაჯო და რამდენ კარგი ტექნიკა ჰქონდა. მოედანს მიღმა კი, ყველა დროის ერთ-ერთი უგენიალურესი ფეხბურთელი ძალიან მშვიდი და ცოტათი ჩაკეტილიც კი იყო. მეც ზუსტად ასეთი ვიყავი. ჩვენ ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებდით და დღესაც საუკეთესო მეგობრები ვართ.


სალვატორე სკილაჩი

**- იტალიის ოცნება, საკუთარი პუბლიკის თვალწინ მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარიყო, ნახევარფინალში, არგენტინასთან დაიმსხვრა...**

- მესმის, რომ ეს ძალიან ცუდად ჟღერს, მაგრამ ასე ვფიქრობ და რა ვქნა: ის მატჩი რომში რომ ჩატარებულიყო, აუცილებლად მოვიგებდით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ რომის მოედნის თითოეული სანტიმეტრი ზეპირად ვიცოდით და ესეც რომ არ იყოს, ნეაპოლში ტიფოზების გარკვეული ნაწილი არგენტინისკენ იყო, რადგან იქ მათი გმირი დიეგო მარადონა თამაშობდა. მაშინაც ვერ გავიგე და ახლაც არ მესმის, რატომ გვათამაშეს არგენტინასთან მაინცდამაინც ნეაპოლში.

**- რატომ არ დაარტყით პენალტი?**

- იმიტომ, რომ ძალიან დაღლილი ვიყავი. ველარ დავრბოდი...

**- როგორი იყო მომდევნო დღე?**

- პენალტების სერიაში წაგება ყოველთვის ძალიან მტკივნეულია და მით უმეტეს მაშინ, როცა საუბარია მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალზე, რომელიც შენს ქვეყანაში ტარდება. მე ვფიქრობ, რომ ფინალში გერმანიას დავამარცხებდით. წაგებიდან ორი სამი დღის შემდეგ უკვე ნორმალურად ვიყავით, რადგან გავაანალიზეთ და მივხვდით, რომ მუნდიალზე ძალიან კარგად ვითამაშეთ. რაც არ უნდა იყოს, ძირითად დროში არც ერთი თამაში არ წავაგეთ.

**- მიუხედავად ნახევარფინალში განცდილი მარცხისა, თქვენთვის ის მუნდიალი ძალიან წარმატებული იყო, რადგან ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს...**

- ჰო და თან, ყველასათვის მოულოდნელად, საუკეთესო ბომბარდირიც გავხდი. მსოფლიოს ჩემპიონებიც რომ გავმხდარიყავით, ნაღდად ევროპის საუკეთესო მოთამაშედ მაღიარებდნენ. სინამდვილეში კი ეს წოდება ლოთარ მათეუსმა დაიმსახურა, მე მეორე ადგილზე გავედი. არასდროს დამავიწყდება იმ ადამიანების, ტიფოზების სახეები, რომლებიც ჩვენს ავტობუსს ძალიან დიდხანს მოსდევდნენ ხოლმე, როცა ადგილიდან დავიძრებოდით.

**- როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ?**

- ძალიან რთულად, რადგან უკვე გმირი ვიყავი და ჩემგან მხოლოდ გმირობებს ითხოვდნენ, არც ერთ შეცდომას აღარ მპატიობდნენ. მცველები ჩემ წინააღმდეგ განსაკუთრებული მოტივაციით თამაშობდნენ - ცხოვრება მართლა ძალიან გართულდა.

**- ამიტომაც იყო, რომ მუნდიალის შემდეგ „იუვენტუსში“ სეზონი ძალიან ცუდად ჩაატარეთ და მერე არც „ინტერში“ ივარგეთ?**

- მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, „იუვენტუსში“ ძალიან ქაოსური სეზონი მქონდა. „იუვეს“ ბევრ ფეხბურთელს შეექმნა პრობლემები და განსაკუთრებით ჩვენ, ვინც უკვე სახელოვანი ბიჭები ვიყავით. „ინტერში“ კი სხვა სიტუაცია დამხვდა. „ნერაძურიში“ ასპარეზობა კარგად დავიწყე: პირველ სამ მატჩში ოთხი გოლი გავიტანე, მერე კი ტრავმა მივიღე და ნახევარი წელი გამიცდა. ამ ტრავმის შემდეგ, ფეხბურთი ხეირიანად აღარც მითამაშია. ჩემთვის უკვე ცნობილი იყო, რომ კარიერა მალე უნდა დამემთავრებინა. ამიტომაც წავედი იაპონიაში.

**- რას აკეთებს ტოტო სკილაჩი დღეს?**

- მშობლიურ პალერმოში სპორტული ცენტრი მაქვს. როგორც იტყვიან, ფესვებს დავუბრუნდი და ვცხოვრობ პალერმოში, სადაც 35 წლის წინ ფეხბურთის თამაში დავიწყე. მაშინ პალერმოში მხოლოდ ერთი სტადიონი იყო. ჩემს სკოლაში დღეს 400-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს.

**- როგორ ფიქრობთ, წელს რომელი ქვეყანა გახდება მსოფლიოს ჩემპიონი?**

- ვფიქრობ, რომ როგორც ყოველთვის, ეს მუნდიალიც გაწონასწორებული იქნება. ფავორიტები ესპანეთი, ინგლისი, გერმანია, ბრაზილია და არგენტინა არიან. ცხადია, მათთან ერთად იტალიაც უნდა ვახსენო - როგორც ყოველთვის, ჩვენც ერთ-ერთი ფავორიტები ვართ. მართალია, ისეთი ძლიერი გუნდი აღარ გვყავს, როგორიც 2006 წელს გვყავდა, მაგრამ ხომ იცით, იტალიის ნაკრები ყოველთვის კარგად თამაშობს.

**- როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება 2010 წლის „ტოტო სკილაჩი“?**

- იმედი მაქვს, რომ ვინმე იტალიელი.

**- მაგალითად?**

- ანტონიო დი ნატალე. მასაც ვუსურვებ, რომ შეძლოს იგივე, რაც მე 20 წლის წინ მოვახერხე.

**- დაბოლოს: მართალია, თუ არა, რომ თითქოს არასდროს გსიამოვნებდათ, ტოტოს რომ გეძახდნენ?**

- 17 წლის ვიყავი, ტოტო რომ შემარქვეს. სალვატორე ძალიან გრძელი სახელია და ყველას ტოტო ერჩივნა. ნეაპოლში ანტონიოს მეძახიან, სახლში კი სალვოს. როგორც ხედავთ, რამდენიმე მეტსახელი მაქვს.

**გოტფრიდ ლენცი**

ბიბლიოთეკა

ამბები

## ინტერი ტევესში 35 მილიონს იხდის

იტალიელი ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ინტერის“ ახალი მთავარი მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** უკვე შეუდგა სატრანსფერო საკითხებზე მუშაობას. როგორც ირკვევა, მისი მთავარი სამიზნე **კარლოს ტევესი** ყოფილა და ეცდება, არგენტინელი „მანჩესტერ სიტის“ გამოსტყუოს. ტევესის გადაბირება რაფას ჯერ კიდევ „ლივერპულში“ მუშაობისას უნდოდა, მაგრამ მაშინ „სიტიმ“ იძალა და თანაქალაქელს, ანუ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 25 მილიონი ევრო გადაუხადა. მოკლედ, მაშინ ესპანელს ხელი მოეცარა და მიზნის მიღწევას ამ ზაფხულს კიდევ ერთხელ შეეცდება. თუ მერსისაიდული კლუბის მესვეურებმა თანხა ვერ გამონახეს, მილანში ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ შეექმნება. თუ „გაძეტა დელო სპორტს“ დავუჯერებთ, **მასიმო მორატის** უკვე გამზადებული აქვს 35 მილიონი ევრო, რომელსაც მანჩესტერელებს შესთავაზებს.

მიუხედავად თანხის სოლიდურობისა, ინგლისელთა დათანხმება იოლი არ იქნება. ტევესი „სიტის“ ლიდერი და მთავარი დამრტყმელი ძალაა. შესაბამისად, მასთან განშორება მანჩესტერელთა ინტერესებში არ უნდა შედიოდეს. მით უმეტეს, ქალაქელებს ფინანსურად ისედაც არ უჭირთ და წესით, 35 მილიონს არ უნდა დახარბდნენ. ალბათ, მთავარ სიტყვას **რობერტო მანჩინი** იტყვის - თუ მის გეგმებში ტევესი კვლავაც ფიგურირებს, დიდია შანსი, ბენიტესი ამჯერადაც ხელმოცარული დარჩეს.

„ინტერთან“ დაკავშირებით კიდევ არაერთი ინფორმაცია ვრცელდება და ბუნებრივია, უმეტესი მათგანი ტრანსფერებს ეხება. უკვე არაერთხელ დაიწერა იმის შესახებ, რომ ბენიტესს თავისთან **ფერნანდო ტორესის** და **ხავიერ მასკერანოს** წაყვანა სურს. მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე ეს თემები ალბათ მხოლოდ საუბრის დონეზე იქნება. „ინტერის“ სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა** აცხადებს, რომ ყველაფერი ახალ მწვრთნელთან მოთათბირების შემდეგ უნდა გადაწყდეს, ეს კი უახლოეს დღეებში მოხდება. მასკერანოსი რა მოგახსენოთ და, ბრანკამ ტორესზე ეს თქვა: *„რაც არ უნდა ძლიერი შემადგენლობა გყავდეს, ასეთ ფორვარდზე უარს უბრალოდ ვერ იტყვი. ვნახოთ, შეიძლება ვცადოთ კიდეც ბედი“.*

**ლაშა წიკლაური**

## რეალმა დი მარიას აფრიკაში ჩააკითხა

პორტუგალიური „რეკორდი“ ამტკიცებს, რომ **ანხელ დი მარიამ** სამხრეთ აფრიკაში სამედიცინო შემოწმება გაიარა. დი მარიას ტრავმა არ აწუხებს და მას არც არგენტინის ნაკრების ექიმები აკვირდებოდნენ, საქმე იმაშია, რომ არგენტინის ნაკრების ბანაკს აფრიკაში მადრიდის „რეალის“ ექიმთა ჯგუფი ეწვია. დი მარია სულ მალე „რეალის“ ფეხბურთელი იქნება და რადგან ის მუნდიალზეა, ასე „საველე პირობებში“ მოუხდა „რეალს“ იმაში დარწმუნება, რომ „ბენფიკას“ ნახევარმცველი მწყობრშია.

დი მარიას ტრანსფერი „რეალს“, სავარაუდოდ, 40 მილიონი ევრო უჯდება, თუმცა შესაძლოა გუნდმა „ბენფიკას“ თანხის ნაწილის ნაცვლად „რეალ კასტილიას“ ფეხბურთელი **მარკოს ალონსო** დაუთმოს. დი მარიამ უკვე ითამაშა მუნდიალზე, ნიგერიის ნაკრების წინაალმდეგ მან თავი ვერაფრით გამოიჩინა, თუმცა ამის გამო „რეალის“ ინტერესი არგენტინელის მიმართ არ გამქრალა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მოურინიო პირად მცველს დაიქირავებს

მადრიდის „რეალის“ ახალ მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოს** დაუსრულდა შვებულება, რომელიც მან ოჯახთან ერთად გაატარა, დღეს ის მადრიდში ჩავა მუშაობის დასაწყებად. ესპანეთში მუშაობისას მას ეყოლება 24-საათიანი პირადი დაცვა. მოურინიოს თვალს არ მოაცილებენ და მარტოს მაშინაც არ დატოვებენ, როცა ის ოჯახთან ერთად შოპინგზე წავა. ბოლო ექვსი წელიწადია, მოურინიო პირადი დაცვით სარგებლობს, ასე იყო „პორტუში“ მუშაობისას, „ჩელსიში“ და „ინტერში“.

პორტუგალიელი გიჟი არ არის და არც აკვიატებული იდეები აწუხებს, რომ დევნიან, ფაქტია, რომ მას და მის ოჯახს ჯერ კიდევ პორტუგალიაში მუშაობისას ემუქრებოდნენ. შარშან იტალიის პოლიციამ დააკავა ოთხკაციანი მაკედონიური ჯგუფი, რომელიც მილანში მოურინიოს სახლზე თავდასხმას აპირებდა. მათ აღმოუჩინეს ტელეფონის ნომრები, მისამართები, ყველაფერი, რაც მოურინიოს პერსონას უკავშირდებოდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლივერპული

# დაანიეთ სიტყვა ჰოჯსონს...


როი ჰოჯსონი

ამ კვირაში **როი ჰოჯსონი** მსოფლიოს ჩემპიონატზე მიემგზავრება და უნდა მანამდე გარკვევით იცოდეს, უპირებს „ლივერპულის“ შეფობა სამსახურის შეთავაზებას თუ არა. ამის შესახებ მან დაუფარავად განაცხადა კიდეც. 62 წლის სპეციალისტმა, რომელმაც გასულ სეზონში „ფულჰემი“ ევროლიგის ფინალში გაიყვანა, კარგად იცის, რომ მისი კანდიდატურა „ენფილდზე“ სამარქაფოდ ჰქონდათ - უპირველეს ყოვლისა რეკლამირებულ **ლუის ვან გაალთან, მარჩელო ლიპისა** და **გუუს ჰიდინკთან** შეეცდებოდნენ საქმის გაჩარხვას. მაგრამ დღეს, როდესაც გაირკვა, რომ ეს სამეული უარსაა, ჰოჯსონი მკაფიო პასუხს ითხოვს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მას მერე, რაც „ლივერპულის“ შესაძლო თავკაცად ამ გუნდის ლეგენდა, შოტლანდიელი **კენი დალგლიში** დაასახელეს, გულშემატკივარში ერთი ამბავი ატყდა. დალგლიშის გამწვრთნელებას ახლა უკვე უამრავი მერსისაიდელი მოითხოვს და „ლივერპულის“ დირექტორატი ერთგვარი უსიამოვნო ზეწოლის ქვეშაც კი მოექცა - მწვრთნელის შერჩევა დიდ დაკვირვებას მოითხოვს და ამ დროს ზეწოლა სასურველი არ უნდა იყოს.

ასეა თუ ისე, ცნობილი გახდა, რომ „წითლები“ როი ჰოჯსონთან ლაპარაკს დღესვე აპირებენ, თუმცა ცნობილი გახდა ისიც, რომ შესაძლოა პარალელურად „ასტონ ვილას“ თავკაც **მარტინ ონილთანაც** მოსინჯონ ნიადაგი. ჰოჯსონი სამხრეთ აფრიკას ხვალ, ოთხშაბათს მიემგზავრება. მას კომპანია BBC-სთან აქვს კონტრაქტი და მუნდიალის სტადიონებიდან მიმომხილველის რანგში წარდგება ბრიტანული საზოგადოების წინაშე. „ფულჰემს“ კი ამასობაში დიდი იმედი აქვს, რომ „ლივერპული“ ყოყმანს გააგრძელებს და ეს მწვრთნელის შენარჩუნების საშუალებას მისცემს. ლონდონელებს არაფრით არ სურთ იმ ადამიანის დაკარგვა, რომელმაც სამ წელიწადში პრემიერლიგის აუტსაიდერიდან ევროთასის ფინალისტად აქცია.

საინტერესოა, რომ ჰოჯსონს „ლივერპულის“ სათავეში ჩადგომას არ ურჩევენ მეგობრები. აი, რა თქვა „ფულჰემის“ თავკაცთან დაახლოებულმა ერთ-ერთმა ადამიანმა: *„რად უნდა როის რეორგანიზაციის წინაშე მდგომი „ლივერპულის“ ჩაბარება? ამ გუნდიდან ხომ შესაძლოა ერთად წავიდნენ ფერნანდო ტორესი, ხავიერ მასკერანო და თვით სტივენ ჯერარდიც კი. როდესაც „ლივერპული“ ლეგენდარულმა ბილ შენკლიმ ჩაიბარა, ის 42 წლისა იყო, როიზე მთელი 20 წლით უმცროსი. ასეთ ყულფში თავის გაყოფას ნამდვილად სჯობს სადმე სამხრეთში, თბილ ადგილას დასახლდეს და რომელიმე გუნდს ამხანაგური თამაშები შეურჩიოს ხოლმე“.*

იმასაც ამბობენ, რომ ჰოჯსონი „ენფილდ როუდზე“ გადასვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ იგრძნობს, რომ ის კლუბის დირექტორთათვის ერთადერთი კანდიდატურაა. რასაკვირველია, გასული სეზონის ინგლისის საუკეთესო მწვრთნელისთვის კვლავ დიდი გუნდის ჩაბარება უდიდესი ცდუნებაა, თუმცა თუ ეს საქმე გამოვიდა პრობლემებიც მრავლად დახვდება. და კიდევ, ის გრძნობს, რომ „ლივერპულს“ შესაძლოა მის გარდა სხვა გზა მართლა არ დარჩეს, რადგან „წითლებს“ ამ სეზონში ერთი უდიდესი მინუსი აქვთ - ჩემპიონთა ლიგაში არ მონაწილეობენ და მსოფლიოს ყველაზე პოპულარული მწვრთნელები ასეთ კლუბში მისვლას ერიდებიან.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ მდგომარეობას დალგლიშის ფაქტორი ართულებს. ლივერპულში ადამიანი, რომელიც მათ გუნდში 1977-89 წლებში თამაშობდა, ხოლო 1985-1991 წლებში „წითლებს“ სათავეში ედგა, ძალიან უყვართ და გარდა იმისა, რომ მას ფანები უჭერენ ხმას, ვეტერანი ფეხბურთელებიც ერთბაშად მის გარშემო გაერთიანდებიან, ვეტერანებს კი ნებისმიერ კლუბში, მოგეხსენებათ, დიდი წონა აქვთ.

და როგორი კონტრაქტი აქვს როი ჰოჯსონს „ფულჰემთან“? „ლივერპულს“ აქ გაუმართლა. თუ მერსისაიდელები ჰოჯსონის გადაბირებას მართლა გადაწყვეტენ, ლონდონელებისთვის დიდძალი საკომპენსაციო თანხის გადახდა არ მოუწევთ, რადგან მას „ფულჰემთან“ მხოლოდ და მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ეს კონტრაქტი ჰოჯსონმა ახლახან, მარტში გააფორმა და ასეთი ხანმოკლე ხელშეკრულების გამოსყიდვა, ბუნებრივია, ძნელი საქმე არ იქნება.

შეგახსენებთ „ლივერპულის“ მდგომარეობასაც. ამერიკელ მეპატრონეებს **ჯორჯ ჯილეტსა** და **ტომ ჰიკსს** 350-მილიონიანი ვალის დასაფარავად შესაძლოა კლუბის გაყიდვა დასჭირდეთ. არის კიდევ ერთი ვარიანტი: გაყიდონ არა მთლიანად კლუბი, არამედ მისი საუკეთესო ფეხბურთელები და ცოტა ამოისუნთქონ, მაგრამ ეს შედეგებისა და ჩემპიონთა ლიგის პერსპექტივისთვის არის ძალიან ცუდი.

საქმეში ცუდად ერევა „წითლების“ ყოფილი თავკაცი **რაფა ბენიტესიც,** რომელიც იტალიის ჩემპიონს, თასის მფლობელსა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს „ინტერს“ ჩაუდგა სათავეში. მას „ენფილდიდან“ რამდენიმე კაცის გადაბირებაც სურს. კერძოდ, ლაპარაკია არგენტინის ნაკრების კაპიტან მასკერანოზე, ჰოლანდიელ **დირკ კუიტსა** და სერბ ნახევარმცველ **მილან იოვანოვიჩზე,** რომელმაც ლიეჟის „სტანდარდიდან“ „ლივერპულში“ გადასვლის საქმე უკვე ოფიციალურად გააფორმა.

თუმცა... ისევ ზემოთ ნახსენებს რომ დავუბრუნდეთ: ლივერპულში მაინც არის ხალხი, რომელსაც დალგლიშს ჰოჯსონი ურჩევნია. ამ ხალხის აზრით, არეული სეზონის შემდეგ „წითლებს“ სიმშვიდესა და სტაბილურობას უმალ წარმატებათა ტალღაზე მყოფი, გამოცდილი მწვრთნელი მოუტანს, ვიდრე ლეგენდა, რომელიც გუნდს ბოლოს 2000 წელს ედგა სათავეში - ბოლოს დალგლიში „სელტიკის“ თავკაცი იყო.

მაგრამ კარგა ხანია მას მერეც, რაც ჰოჯსონი მართლა დიდ გუნდს წვრთნიდა - 1999 წელს ის ცოტა ხნით კვლავ „ინტერს“ ხელმძღვანელობდა...

**ილია ბაბუნაშვილი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქე მუნდიალიდან

## რევაზ ძოძუაშვილი
# ბერძნებმა გვაჩვენეს, როგორ არ უნდა ითამაშო ფეხბურთი

**მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატი დაიწყო და ახალ რუბრიკას გთავაზობთ, რომელიც ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი ნაკრების მეტოქე საბერძნეთის შეფასებას მიეძღვნება. რუბრიკის პირველი სტუმარი ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილია. ის დეტალურად გვარკვევს ბერძნების სისუსტეებში და არც იმას მალავს, თუ რა ცვლილებებს ელოდება უახლოეს მომავალში ამ გუნდში.**

**- ბატონო რევაზ, მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე რამდენიმე მატჩი ჩატარდა. რამდენად მოგწონთ სტარტი და რას ელოდებით ამ მუნდიალისგან?**

- თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ცივილიზაციის განვითარებამ, მათ შორის ფეხბურთში, იქამდე მიგვიყვანა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს აფრიკა მასპინძლობს... კონტინენტი, რომელსაც ნაკლებად განვითარებულად მიიჩნევდნენ. რაც შეეხება ჩემს მოლოდინს, ველოდები, რომ ამ მუნდიალზე თანამედროვე ფეხბურთი უფრო გამდიდრებული სახით წარმოჩნდება. მსოფლიო ფეხბურთში ყველაზე დიდი სიმდიდრის, სიახლის ექსპორტიორი ბრაზილიაა... სხვა ნაკრებებიდანაც, მაგრამ პირველ რიგში ბრაზილიელებისგან ველოდები სიახლეებს, ტაქტიკა-სტრატეგიის და სხვა ნიუანსების თვალსაზრისით. რამდენიმე მატჩი ჩატარდა და აშკარად ჩანს, რომ გუნდები (ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც) კარგად არიან მომზადებულნი, როგორც ფიზიკურად, ისე ტაქტიკა-სტრატეგიის მხრივ. სისწრაფე და კომბინაციური ფეხბურთი მეტია. სწორედ ეს და სხვა ელემენტებია, რაც ფეხბურთს ამდიდრებს და პროგრესს განაპირობებს. ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ნაკრების თავკაცი თემურ ქეცბაია სამხრეთ აფრიკაშია და მოვლენებს ეპიცენტრიდან ადევნებს თვალს. ეს მის ცოდნა-გამოცდილებას კიდევ უფრო გაამდიდრებს.

**- ფეხბურთელებისა და მწვრთნელების მომზადების დონე გასაგებია, მაგრამ მსაჯობა რამდენად მოგწონთ?**

- ჯერჯერობით ერთადერთი სადავო ეპიზოდი ჩემპიონატის გახსნით მატჩში მექსიკის მიერ გატანილი და არჩათვლილი გოლია. ახლა მწვრთნელი ვარ, ფეხბურთელიც ვიყავი და მსაჯიც და რაც ტელეეკრანზე ვნახე, მექსიკელთა ის გოლი არ უნდა ჩათვლილიყო. ჯერჯერობით მსაჯობაზე საპრეტენზიო არ უნდა გვქონდეს. მართალია, მსაჯებსაც ჰქონდათ პატარ-პატარა შეცდომები, მაგრამ ამას რომელიმე მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. ჯერჯერობით ასეა და იმედი მაქვს, მსაჯები არ გააფუჭებენ იმ დიდ სანახაობას, რომელიც გულშემატკივარს წინ ელის.

**- ვის გულშემატკივრობთ?**

- მსოფლიოს ჩემპიონატზე ყოველთვის ბრაზილიას ვქომაგობ და ამჯერადაც ასეა.

**- გულშემატკივრობა გვერდით რომ გადავდოთ, მსოფლიოს თასისთვის ბრძოლაში ფავორიტებად რომელ ნაკრებებს მიიჩნევთ?**

- ბრაზილიის გარდა ფავორიტად მივიჩნევ ინგლისს. ფაბიო კაპელოს გუნდი მაღალი დონის ფეხბურთელებით, ტაქტიკურ-სტრატეგიული მარაგით და სხვა ნიუანსებით გამოირჩევა. შესაძლოა ზოგს ეჭვი ეპარებოდა, რომ ლეგენდარული დიეგო მარადონა მწვრთნელობის თვალსაზრისით, არ არის იმ დონეზე მზად, რომ მუნდიალზე გაუძღვეს გუნდს. თუმცა ეს ასე არ არის. მარადონას მწვრთნელობის მხრივ არაფერი რომ არ ესწავლა, დიდ ფეხბურთში ისეთი გზა გაიარა, რომ შემატების გარეშეც შეუძლია გუნდს უხელმძღვანელოს... თანაც ისეთ ნაკრებს, რომელიც ამდენი ვარსკვლავითაა სავსე. ბრაზილიის, არგენტინისა და ინგლისის გარდა, ფავორიტებში ესპანეთი აუცილებლად უნდა ჩავთვალოთ. იტალია ყოველთვის დაფარული ჯინივით არის და ისე მიიპარება ხოლმე ნახევარფინალამდე, თითქოსდა თვალში საცემი არ არის. ასე რომ, იტალია არ უნდა დაგვავიწყდეს, გენიალური მარჩელო ლიპის თავკაცობით.

**- ჩვენი რუბრიკა მუნდიალზე მოასპარეზე მეტოქეს, საბერძნეთის ნაკრებს ეძღვნება და ახლა ელადელებზე ვისაუბროთ. ერთი თამაშით გადამწყვეტი დასკვნების გაკეთებისგან ბევრი თავს იკავებს, მაგრამ მაინც რა წარმოდგენა შეგექმნათ ოტო რეჰაგელის გუნდზე?**

- მოდი, პირდაპირ ვიტყვი, ოტო რეჰაგელის გუნდი პირველ მატჩში ძალზე ცუდად წარმოჩნდა. სამხრეთ კორეასთან მატჩში ბერძნებმა გვაჩვენეს, როგორ არ უნდა ითამაშო ფეხბურთი. კოლექტიური თამაშის დაბალი დონე, ცუდი ინდივიდუალური ოსტატობის დონე, არასაიმედო დაცვის ხაზი ერთმანეთში შეუთანხმებელი თამაშით, დაბალი სისწრაფე, მთლიანობაში ორთაბრძოლებში ფიასკო... ეს და სხვა ფაქტორები შეგვიძლია გამოვყოთ საბერძნეთის ნაკრების თამაშში. კორეელებმა სწრაფი, კომბინაციური თამაშით გააბრუეს ელადელები. ვფიქრობ, ბერძნებმა სათანადოდ არ შეაფასეს მეტოქე. ალბათ, იფიქრეს, სამხრეთ კორეას უეჭველად მოვუგებთო და როცა სტარტზე სწრაფი გოლი მიიღეს, შეცბნენ, მაგრამ კორეა არ დაცხრა, კიდევ უფრო გააძლიერა მეტოქეზე ზეწოლა, რამაც ბერძნების დემორალიზება გამოიწვია. ისე აღარ არის, როგორც უწინ, აზიაშიც ამაღლდა ფეხბურთის დონე, მათაც განიცადეს პროგრესი. კორეელთა ეს პროგრესი ჩვენთვის სამაგალითო უნდა იყოს. ქართული ფეხბურთის მესვეურებმა უნდა გაითავისონ, რომ ფეხბურთში ფულის ჩადება და სწორად მუშაობა შედეგს აუცილებლად მოიტანს.

**- ბერძნები ევროპის ჩემპიონები ოტო რეჰაგელმა გახადა და მისი გუნდის ასეთი სუსტი თამაში ბევრს გაუკვირდა. რატომ ვერ შეძლო რეჰაგელმა გუნდის გადაწყობა და მატჩის გადარჩენა?**

- რეჰაგელი კარგი სპეციალისტია, მაგრამ უკვე იმდენი ხანია საბერძნეთში მუშაობს, რომ ვფიქრობ, მან ამ ქვეყანაში თავისი შესაძლებლობები ამოწურა. ახლა საბერძნეთი განახლებისა და თაობათა ცვლის აუცილებლობის წინაშე დგას. გერმანელი მწვრთნელის გუნდი ძალზე „გადამწიფებულია"... გადამწიფებულ ხილზე გემრიელი მკვახეა და სწორედ ეს გამოჩნდა კორეა-საბერძნეთის მატჩში... ჩემი აზრით, უპრიანი იქნებოდა, რეჰაგელს თაობათა ცვლის პროცესი თვეების წინ დაეწყო. მას საამისოდ მინიმუმ 7 თვე მაინც ჰქონდა, მაგრამ ეტყობა, არ გარისკა. ჩემი აზრით, რეჰაგელი იმაშიც შეცდა, რომ მარტივი და ყველასათვის კარგად ნაცნობი 4-4-2 სქემა აირჩია, ყოველგვარი სიახლის გარეშე. თამაშის მსვლელობისას კი შეეცადა გადაწყობას, მაგრამ ბევრი ვერაფერი შეცვალა.

**- როგორ ფიქრობთ, სწორედ ეს არის საბერძნეთის ნაკრების რეალური სახე, თუ ეს გუნდი მომდევნო მატჩებში უკეთ წარმოჩნდება?**

- ბერძნები კორეასთან შეხვედრაშიც შეეცადნენ თამაშის გამოსწორებას, მაგრამ ბევრი არაფერი გამოუვიდათ. წლების წინ ლატვიის ნაკრებს ვხელმძღვანელობდი და ელადელებს ათენში 2:1 მოვუგეთ, შინ კი 1:1 ფრე ვეთამაშეთ. საბერძნეთის მაშინდელი ნაკრები ახლანდელზე გაცილებით უკეთესი იყო... ბერძნები მომდევნო შეხვედრებში უკეთ კი წარმოჩნდებიან, მაგრამ ეს გუნდი ჯგუფიდან ვერ გავა.

**- ამას რა მოჰყვება?**

- ვფიქრობ, ოტო რეჰაგელი ნაკრებს დატოვებს და გუნდში თაობათა ცვლა მოხდება. გულს ნუ დავიმშვიდებთ იმით, რომ იმ მეტოქესთან მოგვიწევს თამაში, რომელიც შაბათს სამხრეთ კორეასთან მატჩში იხილეთ. ვფიქრობ, ბერძნებს რამდენიმე კვირაში ახალი მწვრთნელი ეყოლებათ, რომელიც სექტემბრამდე გუნდს შეცვლის.

**- დაბოლოს, ჩვენს ნაკრებზეც ვთქვათ. თბილისში ესტონეთთან ამხანაგურ მატჩში 2:1 მოგების შემდეგ, თემურ ქეცბაიას გუნდი მუნდიალის მონაწილე კამერუნს, ფრედ 0:0 ეთამაშა. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეროვნული პროგრესს განიცდის?**

- მართალი გითხრათ, კამერუნთან თამაში არ მინახავს, მაგრამ გაზეთებიდან და ტელევიზიით ამ მატჩზე რაც გავიგე, სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ დადებითი ძვრები მართლაც საგრძნობია. კამერუნთან სათამაშო უპირატესობა, თუნდაც ეს ეპიზოდურად ყოფილიყო, ჩინებულია. ჩვენთვის რომ ვთქვათ, ქეცბაიას გუნდს 4 ქულა აქვს, ჯერ არ წაუგია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბევრი წაგებული მატჩის შემდეგ, ჩვენს ნაკრებს წაგებულის ფსიქოლოგია აღარ აქვს. სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე მხოლოდ სამი მატჩი აქვს ქეცბაიას მოსამზადებლად. კარგი იქნებოდა, მეტი ამხანაგური შეხვედრის გამართვა ყოფილიყო შესაძლებელი. ასე არ მოხდა და შესაბამისად, ნაკრების თავკაცს მოუწევს საკვალიფიკაციო ეტაპის წლევანდელი მატჩებიც გუნდის ჩამოსაყალიბებლად გამოიყენოს.



რევაზ ძოძუაშვილი

სფფ



მიხეილ ყაველაშვილი

# ყაველაშვილს დღეს ფედერაციაში ელიან

ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **მიხეილ ყაველაშვილი** მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ფეხბურთში დარჩა. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ყაველაშვილს ქართულ ფეხბურთზე გული შესტკივა, ჩვენი ფეხბურთის განვითარების თავისებური ხედვა აქვს და თანამოაზრეც არაერთი ჰყავს. მიხეილ ყაველაშვილმა **გოჩა ჯამარაულთან, ლევან ყიფიანთან** და სხვა თანამოაზრეებთან ერთად ორგანიზაცია „ჩვენი ფეხბურთი" ჩამოაყალიბა და ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილიც გამოთქვა, მაგრამ საბოლოოდ ამ პროცესში არ ჩართულა. მიხეილ ყაველაშვილი მასმედიასთან საუბრისას კრიტიკას არასდროს ერიდება. მან არაერთხელ ახსენა, რომ აქვს ქართული ფეხბურთის განვითარების 4-წლიანი პროგრამა, რაზეც 12 ივნისს ტელეკომპანია „იმედის" ეთერში სტუმრობის დროსაც ისაუბრა.

ყაველაშვილის სატელევიზიო გამოსვლას ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა საპასუხო ნაბიჯი მოჰყვა. ფედერაციის ხელმძღვანელები, პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** გუშინ დაბრუნდნენ სამხრეთ აფრიკიდან, სადაც ფიფას კონგრესსა და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალსა და მატჩებს დაესწრნენ.

ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები მიხეილ ყაველაშვილს დღეს, 14 ივნისს ფედერაციაში ელიან. ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ ყაველაშვილი ფედერაციას ქართული ფეხბურთის განვითარების ხსენებულ 4-წლიან პროგრამას წარუდგენს, რომელიც მან 12 ივნისს ტელეკომპანია „იმედის" ეთერში საუბრისას კიდევ ერთხელ ახსენა, - ნათქვამია ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამხანაგური მატჩი

# ზესტაფონი ტატანაშვილმა დაამარცხა
## ხვალ სპალეტის ზენიტთან

ავსტრიაში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა" გასულ შაბათს პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. საკონტროლო შეხვედრა მიუნხენის მახლობლად, პატარა ქალაქ ელინგში, „ვილი ვიდჰოფის" სტადიონზე გაიმართა. **გია გეგუჩაძის** გუნდის მეტოქე ჩეხეთის თასის მფლობელი პლზენის „ვიქტორია" იყო. აღსანიშნავია, რომ ჩეხეთში მოასპარეზე ქართველი ფორვარდი **დიმიტრი ტატანაშვილი** „კლადნოში" განათხოვრების წესით ასპარეზობდა, გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდა და ჩვენებურიც ისევ „ვიქტორიაში" დაბრუნდა. ტატანაშვილმა იმერლების წინააღმდეგ შეცვლაზე ითამაშა და გამარჯვების გოლის ავტორად მოგვევლინა. აქვე გაცნობებთ იმასაც, რომ ჩეხური წყაროების მტკიცებით, ქართველი თავდამსხმელი, რომელიც 250 ათას ევროდ არის შეფასებული, ჩეხურ „ბრნოს" უნდა. გასულ სეზონში „ბრნომ" მე-11 ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი გუნდის საგულშემატკივროდ გერმანიაში მცხოვრებმა ქართველებმა მიუნხენში მოიყარეს თავი.

როგორც ავსტრიაში დაკავშირებისას, „ზესტაფონის" პრესატაშე **სერგო ფუტკარაძემ** გვითხრა, შეხვედრა ამხანაგური იყო, მაგრამ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. მეტოქეებმა პირველ ტაიმში მთავარი, ხოლო შესვენების შემდეგ გადახალისებული შემადგენლობები გაიყვანეს მოედანზე. იმერელთა გუნდში არ უთამაშიათ ახალწვეულებს, ნახევარმცველ **შოთა ბაბუნაშვილსა** და თავდამსხმელ **გოგი ფიფიას**. ზესტაფონელები აშკარად სჯობდნენ მოწინააღმდეგეს, განსაკუთრებით პირველ ტაიმში და დამაგვირგვინებელ ფაზაში რომ ეყოჩაღათ, შესვენებამდე სოლიდური ფორით დაწინაურდებოდნენ. მხოლოდ **ჯაბა დვალს** სამი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ მას ხან მიზანი ღალატობდა და ხანაც ჩეხთა გუნდის მეკარე **მიხაელ დანეკმა** თამაშობდა თავგანწირვით. ბურთის გატანა **თორნიკე გორგიაშვილსა და ნიკოლოზ გელაშვილსაც** შეეძლოთ, მაგრამ ჩინებული მომენტები ვერც მათ გამოიყენეს. იმერელთაგან ერთადერთი გოლი სწორედ გელაშვილმა გაიტანა. 21-ე წუთზე **შოთა გრიგალაშვილის** გამოზომილი პასის შემდეგ, ზესტაფონელთა ბომბარდირი ფლანგიდან შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმოში და მახვილი კუთხიდან ანგარიში გახსნა. ჩეხებიც არ იყვნენ უქმად, მიღებული გოლის შემდეგ არ დაბნეულან - შეტევები გაამწვავეს. 38-ე წუთზე პლზენელთა პირველივე სახიფათო შეტევა გოლით დასრულდა - წონასწორობა **იან რეზეკმა** აღადგინა.

მეორე ნახევარში იმერლები კვლავ ჯობდნენ ჩეხებს, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ისევ მოიკოჭლებდნენ. **ნიკოლოზ ჩიხლაძესა** და **ერეკლე ფილიას** შეეძლოთ „ზესტაფონის" დაწინაურება, მაგრამ კარგი შანსები ქარს გაატანეს. ტატანაშვილი მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში, 75-ე წუთზე თავური დარტყმით დალაშქრა **ზურაბ მამალაძის** კარი.

ზესტაფონელებმა პლზენის „ვიქტორიას" წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

**I ტაიმი: მამალაძე, ბენაშვილი, ხიდეშელი (39. კობახიძე), გ. ონიანი, ელიავა, ძარია, გორგიაშვილი, გრიგალაშვილი, აფციაური, გელაშვილი, დვალი.**

**II ტაიმი: მამალაძე, დაუშვილი, ცხადაია, კობახიძე, მაკარიანი, მიქაბერიძე, ჭანკოტაძე, ფილია, გორგიაშვილი (72. გენაძე), ს. ლომია, ჩიხლაძე.**

დაბოლოს, გია გეგუჩაძის გუნდმა გუშინ ჩვეულ რიტმში გააგრძელა ვარჯიშები. ასე იქნება დღესაც, ხვალ, 15 ივნისს კი ზესტაფონელები ავსტრიაში მეორე საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ - ამჯერად რუსეთის თასის მფლობელსა და 2008 წლის უეფას თასის გამარჯვებულ სანკტ პეტერბურგის „ზენიტს" ეთამაშებიან, რომელსაც იტალიელი მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტი** ხელმძღვანელობს.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაგაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# საუკეთესო დებიუტი: დუბლი პირველივე მატჩში

## თორნიკე ოქრიაშვილი ნახევარი წლით ზენიტში



გუშინ „გაგრას" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების პლეიმეიკერი **თორნიკე ოქრიაშვილი** პეტერბურგის „ზენიტს" შეუერთდა, მანამდე კლუბთან პირადი კონტრაქტი შეათანხმა და პირველივე ვარჯიშზე თავის გამოჩენა მოახერხა.

კონტრაქტის ამბავი „გაგრას" ვიცე-პრეზიდენტმა **გოდერძი ჩიხრაძემ** გაგვიმხილა: *„ალბათ, მნიშვნელოვანი სიახლეა თორნიკე ოქრიაშვილი პეტერბურგის „ზენიტში" ჩაირიცხება.* თორნიკე უკრაინაში ჩაფრინდა (რუსეთის ვიზის აღებამდე, ეს ყველაზე მოსახერხებელი ადგილი იყო), „ზენიტის" ხელმძღვანელობას დაელაპარაკა და პირადი კონტრაქტი იანვრამდე გააფორმა. ამის შემდეგ, „ზენიტთან" ერთად ავსტრიაში გაფრინდა. ჩვენ ყველანაირად ვზრუნავთ, რომ თორნიკეს არ მოუვიდეს ის, რაც მოსკოვის „სპარტაკში" ჯანო ანანიძეს მოუვიდა, თუ ცდილობენ რომ მოუვიდეს. მე როგორც ვიცი, რამდენიმე ევროპულ გრანდს ჯანო ანანიძის ყიდვა სურს, მაგრამ მოსკოვის „სპარტაკი" არ უშვებს და საკმაოდ დიდ თანხას ითხოვს. მოსკოველების გვესმის, მაგრამ ჩვენთვის უპირველესად გასაგები და მისაღები ქართული ფეხბურთის და ჩვენი მოთამაშის ინტერესებია. ეს „ზენიტთან" გაფორმებულ კონტრაქტში გათვალისწინებულია. ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს თანხა, რომელსაც „გაგრა" პეტერბურგელებისგან ითხოვს. ჩვენ კი ოქრიაშვილი მხოლოდ ფულის გასაკეთებლად არ გაგვიშვია. ჩვენ პეტერბურგელებზე მეტი უფლება გაგვაჩნია თუკი ფეხბურთელით შემდგომში ვინმე დაინტერესდება, ანუ, დაინტერესებული გუნდი მხოლოდ პეტერბურგელებს არ დაელაპარაკება. იანვრამდე დააკვირდებიან, კარგად შეისწავლიან და 2011 წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ ხელახლა დავილაპარაკებთ. მთავარია, ამ პერიოდში პეტერბურგელებმა ვალდებულება შეასრულონ და ფეხბურთელს განვითარების საშუალება მისცენ. ეს ამ გარიგებაში უმთავრესი პუნქტია. თორნიკეს მიმართ ინტერესი არა მხოლოდ „ზენიტმა", კიდევ ბევრმა ევროპულმა გრანდმა გამოავლინა და არა მგონია, ეს ბავშვი დაიკარგოს. დარწმუნებული ვარ, მალე თორნიკე ქართული ფეხბურთისთვის განსაკუთრებული ფეხბურთელი გახდება. წინასწარ არ თქმულა, ოქრიაშვილი მთავარ „ზენიტში" ითამაშებს თუ დუბლებში, ტრანსფერი სწორედ ამ პერსპექტივით შედგა, სამომავლოდ თორნიკეს ადგილს მთავარ გუნდში ხედავენ და ეიმედებათ. სხვათა შორის, „ზენიტმა" 19-წლამდელების ფეხბურთელი კვირკველიაც აიყვანა, მაგრამ მასზე ვერაფერს მოგახსენებთ".

ჩვენი საუბრის შემდეგ კი დამაიმედებელი ინფორმაცია შევიტყვეთ: ოქრიაშვილის ზენიტურ დებიუტზე სიახლე „გაგრას" ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.

როგორც შევიტყვეთ, თორნიკე ოქრიაშვილი ავსტრიის საკურორტო ქალაქ პიტცბულში შეკრებაზე მყოფ „ზენიტს" გუშინ, 13 ივნისს შეუერთდა. 17 წლის ფეხბურთელმა პირველ ორმხრივ შეხვედრაში თავი გამოიჩინა - ჩინებულად ითამაშა და ორი გოლის გატანაც მოახერხა, რამაც რუსები მოხიბლა და კლუბის წარმომადგენლებს ემოციები არ დაუმალავთ.

რუსების იტალიელმა მთავარმა მწვრთნელმა **ლუჩანო სპალეტიმ** „ზენიტის" ფეხბურთელები ჯერ მოედნის გარშემო სირბილსა და აჩქარებებზე ამუშავა, შემდეგ კი ფეხბურთელები „წითლებად" და „ლურჯებად" დაჰყო და პრესინგზე მაქსიმალურ ტემპში ავარჯიშა.

ბოლოს იყო „ორკარა", სადაც ოქრიაშვილმა თავი გამოიჩინა, რაც შედეგიდანაც თვალნათლივ გამოჩნდა. თორნიკეს გუნდი პირველ ტაიმში 0:2 დამარცხდა. მეორე ნახევარში მოედანზე ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ეს უპირველესად, ქართველის დამსახურებაა: ოქრიაშვილმა დუბლი შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა, რასაც მისიანებმა კიდევ ორი დაუმატეს და საბოლოოდ, „ორკარა" 4:2 მოიგეს.

მართალია, პეტერბურგის „ზენიტის" ოფიციალურ ვებგვერდზე მატჩის შესახებ ასეთი დეტალური ინფორმაცია არ იყო მოწოდებული, მაგრამ ავსტრიაში იმყოფება „გაგრას" პრეზიდენტი **ბესიკ ჩიხრაძე** და კლუბის პრესსამსახურმა ამბავი მისგან შეიტყო.

„ზენიტი" უახლოეს საკონტროლო მატჩს გია გეგუჩაძის გაწვრთნილ „ზესტაფონთან" 15 ივნისს კიცბულში გამართავს და ოქრიაშვილს თავის გამოჩენის მორიგი შანსი მიეცემა.

**მერაბ მამულაშვილი**

გაგრა

# უმაღლესისა და... თბილისის ზღვის იმედით

**17 ივნისს პროფესიული ფეხბურთის ლიგის კონფერენციაზე გაირკვევა, ახალ სეზონში უმაღლეს და პირველ ლიგაში რამდენი კლუბი ითამაშებს. წინასწარ გამოცხადდა, რომ უმაღლესი ლიგის გაფართოებაზე ლაპარაკი გამორიცხული იყო. თუმცა, ბოლო დღეებში კატეგორიული უარი აღარ ისმის და რაც მთავარია, ლიგიდან გავარდნილი თბილისის „ლოკომოტივი" და „გაგრა" ფეხბურთელებს უმაღლესში დარჩენის იმედად არ უშვებენ.**

**ჩვენ ამ ყველაფრის მიზეზის გარკვევას შევეცადეთ. ბოლო დროს პროფლიგიდან გაკეთებულმა განცხადებებმა დაგვაფიქრა, კლუბების დაიმედება იქნებ სულაც არაა უსაფუძვლო? ლიგის პრესატაშე მიხეილ აბაიშვილისგან ასეთი პასუხი მივიღეთ: „არ ვიცი, კონფერენციაზე ამ საკითხს განიხილავენ თუ არა. ყველაფერი კლუბების ნებაზეა დამოკიდებული, მოისურვებენ თუ არა და თუ მოისურვებენ, მერე როგორ გადაწყვეტენ".**

**როგორც კულუარებში გვიმტკიცებენ, კლუბები, ფედერაცია და პროფლიგა ამ ორი კლუბის უმაღლესში დაბრუნების და ლიგის 12 გუნდამდე გაფართოების წინააღმდეგი არაა, რადგან გუნდები წინა სეზონში ვიღაც-ვიღაცების ფარულ გარიგებებს შეეწირა.**

**„როდესაც კლუბის წარმომადგენელი კოლეგას „მეგობრობას" სთავაზობს, ეს მეგობრობა, საჭიროების შემთხვევაში, ქულების სასურველი მიმართულებით გადანაწილებას გულისხმობს - „ლოკომოტივი" და „გაგრა" ამ სქემებში არ ჩაჯდნენ, ფარულ გარიგებებზე არ წავიდნენ და ლიგიდან ამიტომაც გავარდნენ. პროფლიგისა და ფედერაციის თავკაცებზე უკეთ ეს არავინ იცის, მომხდარს განიცდიან და ლიგაში მათ დაბრუნებაზე ფიქრობენ", - ასეთი გახლავთ გავრცელებული ვერსიის შინაარსი.**

**„გაგრას" ვიცე-პრეზიდენტ გოდერძი ჩიხრაძეს კიდევ ერთხელ დავუკავშირდით, რადგან მოვლენები კალეიდოსკოპური ტემპებით იცვლება.**

**- ბატონო გოდერძი, ადრე ლიგის გაზრდაზე კატეგორიული უარი ისმოდა, ახლა კი უმაღლესში თქვენი დარჩენის წინაპირობად გუნდების თანხმობას ასახელებენ.**

- როგორც ვიცით, კლუბები წინააღმდეგი არ არიან. თუმცა, არ ვიცი, საბოლოოდ რა მოხდება.

**- აქ ლაპარაკია დებულების შეცვლაზე, რაც საერთოდ მიუღებელია.**

- ვფიქრობ, ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი კლუბის და მასთან დაკავშირებული პროექტების შენარჩუნებაა. „გაგრა" კი ქართული ფეხბურთისთვის რიგითი კლუბი არაა. ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ ბევრი არასასიამოვნო მომენტებიც იყო. თუმცა, ახლა ამაზე ლაპარაკი არ ღირს. ჩვენ მხოლოდ გაბედავასა და ოქრიაშვილის გაზრდით არ დავკმაყოფილდებით.

**- კი მაგრამ, ეს ხომ პირველ ლიგაშიც შესაძლებელია.**

- დიახ, თუმცა, უმაღლესში ბევრად უფრო ეფექტურად ვიმუშავებთ და „გაგრას" ამის პოტენციალი გააჩნია. ჩვენთან მხოლოდ ოქრიაშვილი არაა ნიჭიერი, კიდევ ბევრი საინტერესო ფეხბურთელი გვყავს და წლების განმავლობაში საქმით ვამტკიცებდით, რომ ქართულ ფეხბურთს ვემსახურებით. იმედია, პროფლიგა და ფეხბურთის ფედერაცია კიდევ მოგვცემენ შანსს, ეს მომავალ წელსაც გავაკეთოთ. „გაგრა" იძლევა გარანტიას, რომ სერიოზული გუნდი გვეყოლება.

**- ათასგვარი მითქმა-მოთქმაა თქვენი გავარდნის შესახებ და გულახდილად გვითხარით - წელს „გაგრა" და „ლოკომოტივი" კლუბებმა გაწირეს?**

- კლუბებს ვერ დავადანაშაულებ, ჩვენს ფეხბურთში არის რაღაცები, რასაც ვერ ვიგებთ. მე ასე ვიტყოდი, ახლა პროფლიგისა და ფედერაციის თანადგომას ვგრძნობთ, მაგრამ კლუბებიც თანხმა უნდა იყვნენ, მათზეა დამოკიდებული, „გაგრა" და „ლოკომოტივი" დარაბებს მიღმა რომ არ აღმოჩნდნენ.

**- ფაქტია, რომ ლიგაში დარჩენის იმედი გაქვთ - ვინ გაიმედებთ?**

- სამართლიანობის განცდა, რომ არ გავიწირებით. 17 ივნისს პროფლიგის კონფერენცია გაიმართება და გვჯერა, კლუბები ჩვენ კი არა, სიმართლის მხარეს დაიჭერენ. „გაგრა" და „ლოკომოტივი" არ უნდა ჩაიძირონ.

**- ამბობენ, თბილისის ზღვაზე „გაგრა" საკუთარი ბაზის აშენებას აპირებსო?**

- ეს გეგმა არახალია, მისი განხორციელება 2008 წელს გვსურდა და საქმე გადაწყვეტილიც გვეგონა, მაგრამ გეგმები რუსეთის აგრესიამ ჩაგვიშალა.

**- რა გეგმები გქონდათ?**

- ჩვენმა პრეზიდენტმა ბესო ჩიხრაძემ 2008 წლის 25 ივლისს რამდენიმე ევროპულ კომპანიასთან დაასრულა მოლაპარაკება, რომლის მიხედვითაც თბილისის ზღვაზე თანამედროვე ბაზა აშენდებოდა. ქართველი, უკრაინელი და ებრაელი ინვესტორები თანხმა იყვნენ, „გაგრასთვის" მოეწყოთ ბაზა და პლუს საფეხბურთო სკოლა-ინტერნატი. ბუნებრივია, რუსეთის აგრესიის შემდეგ ინვესტორები დაფრთხნენ, რადგან გაურკვეველ ვითარებაში ფულს არავინ აბანდებს. თუმცა, პროექტის განხორციელებაზე მოლაპარაკება ახლახან განახლდა და ინვესტორებისთვის კვლავ საინტერესო პროექტი აღმოჩნდა. სხვათა შორის, მისი განხორციელება „გაგრას" უმაღლესში დარჩენაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. ჩანაფიქრის მიხედვით, სკოლა-ინტერნატი და სპორტული კომპლექსი უზარმაზარ ტერიტორიას დაიკავებს და ჩვენი მიზანი ნიჭიერი ბავშვების გამოვლენა გახდება. ნიჭიერების დიდი ნაწილი კი, ხშირად, გაჭირვებული ოჯახებიდანაა და მათ ყველანაირად ხელს შევუწყობთ. ვფიქრობ, ბესო ჩიხრაძესაც უნდა მიეცეს შანსი, ქართულ ფეხბურთში დარჩეს და თავისი კავშირები მოახმაროს. თორემ, რა დასამალია, ბევრჯერ გული ისე ატკინეს, ფიქრობდა, რომ მისი ყოფნა რატომღაც არ აწყობდათ და ერთი ხანობა გულაცრუებული იყო. კონკრეტულ გვარ-სახელებს არ დავასახელებ, მაგრამ ამ პროექტის განხორციელებით დაინტერესებული უნდა იყვნენ ფედერაცია, პროფლიგა, აფხაზეთის რეგიონალური ფედერაცია, კლუბები და ასეც არის. უნდა აშენდეს სკოლა-ინტერნატი და ბაზა, მოეწყოს ორი სტანდარტული მოედანი, დახურული მანეჟი ხელოვნურსაფარიანი სტადიონით, ექვსი მინი-მოედანი, რამდენიმე გუნდის მისაღებად საკმარისი სასტუმრო, ტრენაჟორების დარბაზი და ა.შ. დახურული მანეჟი კიევის „დინამოს", „ზენიტის" და სხვა ევროპული ანალოგების გათვალისწინებით აშენდება. დარწმუნებული ვარ, პროექტი მალე განხორციელდება. მანეჟი „გაგრას" და სურვილის შემთხვევაში, მთლიანად ქართულ ფეხბურთს მოემსახურება, რადგან ჩვენთან დახურული დარბაზი არ არსებობს. ასეთ ბაზაზე უამინდობისას შეიძლება ნაკრების ვარჯიში, გუნდების მოსამზადებელი ეტაპის და ამ პერიოდში ოთხთა ტურნირის მოწყობა. ბევრი გუნდი ჩამოდის, მაგრამ მათთვის ტურნირი არ ეწყობა. არადა, ამით ჩვენს გულშემატკივარს სიამოვნება აკლდება და მკვდარი სეზონი გამოცოცხლდება. ქართულ გუნდებს კი შელავათიან პირობებში მივილებთ და ძვირადღირებულ უცხოურ შეკრებებზე უარს ბევრი იტყვის.

**- ადრე ხომ იგივეს მუხრანში აპირებდით?**

- არც მუხრანის მიტოვებას ვაპირებთ, ბაზა იქაც მშვენიერ მდგომარეობაშია. თუმცა, თბილისში სტადიონისა და ბაზის მოწყობას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან თბილისში ბევრი სტადიონი გაუქმდა, ან სხვა საჭიროებებს გადაეცა და ფეხბურთში ინფრასტრუქტურის სერიოზული პრობლემაა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# 6 ქართული გოლი ფინეთსა და ლატვიაში

ქართველებს მუნდიალის მსვლელობისასაც გააქვთ გოლები - რამდენიმე ქვეყანაში საფეხბურთო სეზონი მიმდინარეობს იმის მიუხედავად, რომ საფეხბურთო სამყაროს მთელი ყურადღება სამხრეთ აფრიკისკენაა მიმართული. დუბლით გამოიჩინა თავი ფინური „როვანიემის" შუახაზელმა **პავლე ხორგუაშვილმა**, ერთი ჩემპიონატის ბომბარდირმა **ირაკლი სირბილაძემ** შეაგდო, გოლები გაიტანეს ლატვიაში „დაუგავას" ლეგიონერმა **ჯემალ ჯალიაშვილმა**, „ოლიმპელებმა" **დავით ჯანელიძემ** და **ლაშა ლონლაძემ**. მოკლედ, ამდენი გოლი ქართველებს ხშირად გაგანია სეზონში არ გააქვთ ხოლმე.

ფინეთის რანგით მეორე დივიზიონ, იკონენის ერთპიროვნულმა ლიდერმა „როვანიემიმ" მე-8 ტურშიც დაამტკიცა თავისი სიძლიერე. ძმები ხორგუაშვილების გუნდმა ტამპერეს ტპვ მინასთან გაასწორა - 8:0. ბოლოადგილოსანის კარში დუბლით გამოირჩა ნახევარმცველი პავლე ხორგუაშვილი, მან 54-ე წუთზე პენალტი გაიტანა, 72-ეზე კი თამაშიდან შეაგდო. 22 წლის ქართველმა 8 თამაშში 4 გოლი გაიტანა. გუნდშია მისი ტყუპისცალი **ვალტერი**, რომელიც უფრო მცველია. სასტარტო შემადგენლობაში სწორედ ვალტერი იყო, რომელმაც შესვენებაზე ადგილი ძმას დაუთმო. 8 თამაშიდან „როვანიემიმ" 6 მოიგო და 2 ფრედ ითამაშა, გუნდი 20 ქულით ერთპიროვნული ლიდერია იკონენლიგაში.

ამ ტურამდე მე-2 ადგილზე მყოფმა კპვ-მ შინ 2:2 ითამაშა „კემისთან". არადა, ირაკლი სირბილაძის გუნდი სულაც წააგებდა, რომ არა ქართველი ფორვარდის მიერ 75-ე წუთზე გატანილი გოლი. სირბილაძემ კპვ-ს ქულა მაინც შეუნარჩუნა. ქალაქ კოკოლას გუნდი 14 ქულით მესამე ადგილზეა. სირბილაძის ანგარიშზე იკონენლიგაში 5 გოლია. **ანზორ კალაძის** ოპს-ს და **გიორგი ოსიტაშვილის** „კოტეპეს" დაპირისპირება დღეს გაიმართება. „კოტეპე" 12 ქულით მე-6 ადგილზეა, ხოლო ოპს 9 ქულით მეათეა.

ყაზახურ პრემიერლიგაში **გიორგი ფეიქრიშვილის** „ატირაუმ" ქართველი ლეგიონერის გარეშე 2:1 მოუგო „ლოკომოტივს". 15 ტურის შემდეგ 23 ქულით მე-6 ადგილზეა.

სომხეთის ჩემპიონატის მე-11 ტურში ქართველთა „განძასარი" სტუმრად 0:3 დამარცხდა „ბანანცთან". **დავით ხანიშვილმა** და ყოფილმა „სამტრედიელმა" **ლაშა ჯანგიძემ** შეუცვლელად ითამაშეს. „განძასარი" 9 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. მესამე ადგილზე მყოფმა „ულისმა" კი მეორეადგილოსანი „პიუნიკი" 3:1 დაამარცხა და უშუალო კონკურენტს მხოლოდ 3 ქულითღა ჩამორჩება. „ულისში" 4 ქართველია: **თენგიზ უგრეხელიძე, გიორგი კრასოვსკი, გაგა თიბილაშვილი** და **შოთა ჯიქია**.

ბელარუსის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მე-14 ტურში ბრესტის „დინამო" „ბელშინას" 1:1 დაუზავდა. მასპინძელთა შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა **ზაზა ჭელიძემ**. ბრესტელები 19 ქულით მე-7 ადგილზე იმყოფებიან. ჭელიძეს სეზონში 2 გოლი აქვს გატანილი და ორი საგოლე პასი გადაცემული.

დანიის ვიასატდივიზიონში **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგმა" 1:0 მოუგო კოპენჰაგენის აბ-ს. ქართველი მცველი ბოლო წუთზე შეცვალეს. სეზონის დასრულებამდე ტურით ადრე „ვიბორგი" მეშვიდე ადგილზეა 42 ქულით.

ლატვიურ ვირსლიგაში **თამაზ პერტიას** „დაუგავა" 1:1 დაუზავდა „იელგავას". მატჩის 21-ე წუთზე **ჯემალ ჯალიაშვილმა** დააწინაურა მასპინძლები. ეს მისი მეორე გოლია ჩემპიონატში. შაბათს რიგის „ოლიმპსი" „ჟაუნიბას" ესტუმრა და 9:0 გაანადგურა. მასპინძელთა რბევა 20 წლის ტანმაღალმა მცველმა (190 სმ) ლაშა ლონლაძემ დაიწყო (მე-6 წუთი). 73-ე წუთზე რიგელთა მე-8 გოლიც ქართულია, მისი ავტორია დავით ჯანელიძე. გუნდში კიდევ ერთი ქართველია, თუმცა 17 წლის **კოტე ზარნაძეს** ამჯერად არ უთამაშია. ეს „ოლიმპსის" პირველი მოგება იყო ჩემპიონატში, თანაც როგორი!

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო | პრობლემა ახლო ხედით

ინტერვიუ ნიკო ზაუტაშვილთან


ნიკო ზაუტაშვილი

# ვინ არიან მსაჯები საქართველოში?

**ამას წინათ** თბილისში გამართულ საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მომხდარი ცემა-ტყეპის და აურზაურის თაობაზე „ლელო" უკვე წერდა. სამწუხაროა, რომ მსგავსი რამ იშვიათობა არ არის და საყოველთაო მოსაზრებით, მნიშვნელოვანი პრობლემაა. გამოსავალის ძიების თაობაზე ევროპის „ბ" კატეგორიის ლიცენზიანტს, ახალგაზრდა ქართველ არბიტრს ნიკო ზაუტაშვილს ვესაუბრეთ, თუმცა მასთან ინტერვიუსას სხვა საკითხებიც წამოიჭრა, რაც, ვფიქრობთ, ძიუდოს ქომაგს დააინტერესებს.

**— პირველ ყოვლისა, საინტერესოა თქვენი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა გახდა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატისას იმ სამარცხვინო აურზაურის მიზეზი, რომელმაც ლამის შეჯიბრების ჩაშლა გამოიწვია?**

— მიზეზი იყო ძიუდოს წესებში მომხდარი ცვლილებები, რასაც მსაჯების და მწვრთნელების უმრავლესობა ჯერ დაწვრილებით არ იცნობს. ადრე საქართველოშიც ტარდებოდა სემინარები სიახლეების დაწვრილებით გასაცნობად. გაუგებრობები სწორედ მას შემდეგ დაიწყო, რაც ასეთი სემინარები აღარ ჩატარებულა. შეჯიბრებებზე ყველაზე მეტ ალიაქოთს ისინი ტეხენ, ვისაც ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებთან აქვთ შეხება და ძიუდოს სამყაროში მიმდინარე სიახლეებს უშუალოდ ეცნობიან, თუმცა ხშირად მათ არ ითვალისწინებენ.

**— ჩემპიონატზე მსაჯების გადაწყვეტილებები იცვლებოდა, შეცდომებიც, ცხადია, იყო...**

— ერთ-ერთი ორთაბრძოლისას განსაკუთრებული ხმაური სწორედ მსაჯის შეცდომას მოჰყვა. ფანდი, რომელიც მან სათანადოდ ვერ შეაფასა, მთავარმა მსაჯმა მერაბ ლოსეურაშვილმა ვიდეოგამეორებაზე ნახა. აღმოჩნდა, რომ იპონი იყო და საბოლოოდ ეს შედეგი დააფიქსირა, მაგრამ აქ უკვე ამით უკმაყოფილო მოჭიდავის მწვრთნელი გალიზიანდა, მას ამ ფალავნის ახლობლები აჰყვნენ და...

**— მსაჯების დაცვასა და უსაფრთხოებაზე არავინ ზრუნავდა?**

— სპეციალურად შევხედე დაცვის სამსახურის თანამშრომელთა გულსაკიდებს, რომელზეც ეწერა „გიგანტი". სამწუხაროდ, „გიგანტები" იმ აურზაურის დროს საკუთარი თავის დაცვას ძლივს ახერხებდნენ.

**— უცხოეთში, საერთაშორისო ტურნირებზე ვიდეოგამეორებებით ცვლიან მსაჯების გადაწყვეტილებას?**

— მეტწილად ამისი საჭიროება არ არის, კომისარი ჭიდაობას კომპიუტერში ოთხი წამის დაგვიანებით ადევნებს თვალს. შეცდომასაც მყისიერად ამჩნევს და მის აღმოსაფხვრელად დიდი დრო აღარაა საჭირო. თუმცა, დროის ფაქტორზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენთან ვიდეოგამეორების სანახავად მონიტორთან თავს იყრის უამრავი(!) ადამიანი, უმრავლესობას კი წარმოდგენაც არ აქვს ძიუდოში მოქმედ წესებზე! ასეთი ადამიანების მთელი ჯგუფი რომ ატეხს ალიაქოთს, რა უნდა მოიმოქმედოს საქმეში ჩახედულმა კომპეტენტურმა პირმა - ფალავნებს გააგრძელებინოს ჭიდაობა თუ ამ ხალხის დაწყნარებას და წესების ახსნას შეუდგეს? ამასთან, ჩვენი ძიუდოისტების თავხედური საქციელი ტატამზე ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ზოგიერთი თავისი საქციელით სპორტის ამ შესანიშნავ სახეობასაც შეურაცხყოფს. მსაჯს ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არა აქვს გამოტანილი, ძიუდოისტი კი უკვე ჩხუბობს და იგინება ან ტატამზე კიმონოს იხდის და აფრიალებს! ჩემმა სომეხმა კოლეგამ, საერთაშორისო არბიტრმა დავით დავითიანმა მითხრა, რომ ტატამზე შეუფერებელი საქციელისთვის სპორტსმენი ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით ისჯება, ადგილობრივი ჩემპიონატისას კი მსოფლიოს პრიზიორი ფალავანი რამდენიმე წუთით აწონვაზე დაგვიანებისთვის შეჯიბრებიდანაც მოუხსნიათ! მეზობელი ქვეყნის მაგალითი სპეციალურად მოვიყვანე, აღარაფერს ვამბობ ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა იაპონია, კორეა, საფრანგეთი...

**— ალბათ დაგვეთანხმებით, რომ საქართველო მსაჯობის დონითაც ვერ უტოლდება უცხოეთს.**

— გეთანხმებით, თუმცა ცალკე საკითხავია, ვინ არიან მსაჯები საქართველოში?! ლიცენზიის მფლობელები სულ რამდენიმე მსაჯი ვართ. მწვრთნელებს, რომლებმაც არბიტრის ფორმა გადაიცვეს, ცხადია, კვალიფიციურ მსაჯებად ვერ ჩავთვლით. წესით, მათ არც უნდა განსაჯონ ორთაბროლა ტატამზე, იგი ხომ ვერასოდეს იქნება ობიექტური! არადა, ვის უნდა სურდეს ჩვენში ამ პროფესიის დაუფლება, როდესაც ვინც ვართ, ისინიც წასვლას ვაპირებთ... მსაჯს არა აქვს ფორმა, გასამრჯელო (თუნდაც მინიმალური), კვალიფიკაციის ასამაღლებლად უცხოეთში სემინარებზე წასვლის საშუალება... წარმოგიდგენიათ ასეთი გზით საქმის წინსვლა?

**— კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებზე თქვენც ვერ ახერხებთ გამგზავრებას?**

— 17 ივნისს სლოვენიაში უნდა წავსულიყავით, მაგრამ ვერ დამაფინანსეს. იმავე მიზეზით საეჭვოა ჰამბურგში სავალდებულო გამგზავრებაც. ასე თუ გაგრძელდა, თბილისში მსოფლიოს თასისას ტატამზე ქართველ არბიტრს ვერ ვიხილავთ! მინდოდა, მანქანა გამეყიდა სლოვენიისთვის, მაგრამ გადავიფიქრე. ვერ ვხედავ, ჩვენი კვალიფიკაციის ამაღლება და, სართოდ, ჩვენი შრომა ვინმეს აინტერესებდეს! არადა, საერთო საქმე ზარალდება!

**— როგორც ევროპის „ბ" კატეგორიის ლიცენზირებულ არბიტრს უცხოეთში, რამდენ ტურნირზე მოგიწიათ მსაჯობამ?**

— ერთი წელიწადია, ლიცენზიანტი ვარ და ოთხი საერთაშორისო შეჯიბრება ვიმსაჯე უცხოეთში. რასაკვირველია, მეტი სჯობს, მაგრამ ესეც ნორმალურია. თუმცა, ჩემ მიერ ზემოთ ნახსენები მიზეზები მაიძულებს, თავის დანებებაზე ვიფიქრო.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჭიდაობა | მსო[illegible]ობა

# გოზიუმოვმა, შესაძლოა, მოსკოვი გამოტოვოს

- **აზერბაიჯანი ნატურალიზებულებით ძლიერდება...**
- **რატომ არ არიან დამოუკიდებელნი ჩვენი მწვრთნელები?**
- **ნაკრებში ნათლიმამობაც მოსულა...**

**თავისუფალ** ჭიდაობაში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, ევროპის ზედიზედ ორჯერ მომგებმა აზერბაიჯანელმა **ხეტაგ გოზიუმოვმა** (96) შესაძლოა, მონაწილეობა ვერ მიიღოს 6-12 სექტემბერს მოსკოვში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში. ამის შესახებ აზერბაიჯანულ მედიას იქაური ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **მაგომედ ალიომაროვმა** განუცხადა, მიზეზად კი ვარჯიშზე მიღებული ტრავმა დაასახელა. აზერბაიჯანელები ჯერ ექიმების საბოლოო ვერდიქტს ელოდებიან, მაგრამ უკვე შიშობენ, რომ გოზიუმოვი ჭიდაობას ვერ შეძლებს და მისი შემცვლელიც დაასახელეს - ალი ალიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული **ჯამალეტდინ მაგომედოვი**. გოზიუმოვის ჭიდაობა საეჭვოა აზერბაიჯანის ჩემპიონატშიც, რომელიც 15-18 ივნისს ბაქოში გაიმართება. ორივე მოჭიდავე ნატურალიზებული აზერბაიჯანელია - გოზიუმოვი ოსია და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის, ოლიმპიურ ჩემპიონ **ჰაჯიმურატ გაცალოვთან** ერთად ვარჯიშობს ვლადიკავკაზში, მაგომედოვი კი დაღესტნელია. გოზიუმოვი თუ გაზიუმოვი? ევროპის წლევანდელ პირველობაზე გამარჯვების შემდეგ თავად ჩემპიონმა განუცხადა რუსულ მედიას, რომ მისი გვარის მართებული ფორმაა გოზიუმოვი, ხოლო გაზიუმოვად რუსული პრესის გავლენით იქცა...

ქართველი ფალავნები რამეს რომ მოიგებენ, მერე ლამის იკარგებიან სპორტიდან. ყოველ შემთხვევაში, ერთი სეზონით მაინც. ძნელად თუ გავიხსენებთ ქართველს, რომელმაც ზედიზედ რამდენიმე სეზონი ჩაატარა წარმატებულად, ერთ ტიტულს მეორე დაუმატა და ასე შემდეგ... დაუმატა კი არა, წარმატების შემდეგ ლამის საშუალო დონის ათლეტობამდე ჩამოლაბორანტდებიან ხოლმე.

შეგახსენებთ, რომ გოზიუმოვმა ბაქოში გამართული კონტინენტის წლევანდელი პირველობის ფინალში **გიორგი გოგშელიძე** დაამარცხა, თუმცა საკითხავია, რამდენად სამართლიან ბრძოლაში. პირველი პერიოდის ბოლოს იყო მომენტი, როცა ჩვენებურს ქულა ეკუთვნოდა, მაგრამ მსაჯებმა სხვანაირად განსაჯეს...

...ალიომაროვმა სამსოფლიოჩემპიონატოდ მოსალოდნელ სხვა ცვლილებებზეც ილაპარაკა. კერძოდ, კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მოსკოვში ვერ იჭიდავებს დისკვალიფიცირებული ევროპის ჩემპიონი **მაჰმუდ მაგომედოვი** (55). შეგახსენებთ, რომ ისიც დაღესტნელია და რუსეთის ფედერაციისგან უნებართვოდ გადმოვიდა აზერბაიჯანში, რის გამოც ახალი ქვეყნის სახელით გამოსვლის უფლება ორი წლის განმავლობაში არ ჰქონდა. ალიომაროვმა განაცხადა, აზერბაიჯანის ნაკრებში იქნება ცვლილებებიო და ერთი მინიშნებაც გააკეთა **შაიბულა ხაალოვზე**, რომელმაც 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში წლეულს ალი ალიევის ტურნირი მოიგო. იქაურ ფინალში მან მონეტის დახმარებით რუსთა ტუველი ევროპის ჩემპიონი **ოპან სატი** დაამარცხა. ამ წონაში ბაქოში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე აზერბაიჯანელთა დაღესტნელმა მთავარმა მწვრთნელმა, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **საიპუდინ აბსაიდოვმა** ახალგაზრდა **ჰაჯი ალიევი** აჭიდავა, მაგრამ უშედეგოდ. ამ წონაზე საუბრისას ალიომაროვს არ უხსენებია კიდევ ერთი ნატურალიზებული ფალავანი, ჩეჩენი **ზელიმხან ჰუსეინოვი**, რომელმაც შარშან ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მსოფლიოზე კი ფინალში დამარცხდა. წლეულს მას საკონტროლო შეხვედრებში ჰაჯი ალიევმა აჯობა.

ალიომაროვმა ევროპის წლევანდელ პირველობაზე მძიმეწონოსან ალი ისაევის ჩავარდნის მიზეზად ტურნირის წინ სპორტსმენის მამის გარდაცვლება დაასახელა. სამაგიეროდ, მაისში ტრიუმფით მოიგო ალი ალიევის ტურნირი - ფინალში **დავით მოძმანაშვილის** წამქცევი თანაგუნდელი, ოღონდ ესეც რუსეთიდან გადაბირებული ოსი **ტოხტარ ტემრეზოვი** ბეჭებით გააკრა ლეიბს.

აზერბაიჯანელებს გოზიუმოვის მოსკოვში ჭიდაობის რაღაც იმედი თუ ჯერ კიდევ შერჩათ, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ფარიდ მანსუროვის** (66) არყოფნა კარგა ხნის წინ გადაწყდა. უფრო სწორად - ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას. მაშინ მანსუროვმა ყბა გაიტეხა და ტურნირზე ჭიდაობა ვერ შეძლო. ტრავმა იმდენად სერიოზული იყო, რომ მაშინვე ითქვა, ის მსოფლიოს პირველობაზე ვერ იჭიდავებდა, ახლა კი სულაც იმაზეა ლაპარაკი, რომ, შესაძლოა, საერთოდ წავიდეს სპორტიდან.

იქაურ ბერძენ-რომაელთა უახლოეს გეგმებზე პრესას ალიომაროვის კოლეგა **მაგომედ ჯაფაროვი** ესაუბრა, რომელიც, პარალელურად, ნაკრების თავკაციცაა - ამ პოსტზე ის ადრეც მუშაობდა, შარშან კი **ოთარ ტატიშვილმა** შეცვალა, ხოლო მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგ კვლავ უხმეს ძველ პოსტზე. *„ფარიდ მანსუროვის გარდა, ქვეყნის ჩემპიონატში ყველა უძლიერესი ფალავანი იჭიდავებს, მათ შორის, ევროპის წლევანდელი მედალოსნებიც. პრიზიორები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადებიან. ჩვენი უმთავრესი მიზანი ლონდონის ოლიმპიადაა, პოტენციურ გუნდს მომზადებაც სათანადო სჭირდება, კონკურენცია კი ნაკრებში უმაღლეს დონეზეა"* - განაცხადა მან. მწვრთნელმა ევროპის წლევანდელი ახალგაზრდა ჩემპიონების - **ელჩინ ალიევისა** (55) და **ჰასან ალიევის** (60) მისამართით თქვა, ის წარმატება უკვე ისტორიაა, ახლა მათ წინაშე ახალი ამოცანები დგასო. ჯაფაროვი პეკინის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონების - **როვშან ბაირომოვისა** (55) და **ვიტალი რახიმოვის** (60) თემასაც შეეხო და აღნიშნა, აზერბაიჯანის პირველობა მათ ახალ შანსს აძლევს ნაკრებში დასაბრუნებლადო. შეგახსენებთ, რომ ალიევებმა ოლიმპიური ვერცხლის პრიზიორები ევროპის წინ საკონტროლო შეხვედრებში დაამარცხეს. ბერძენ-რომაელთა ჭიდაობაც „თავისუფალთა" პარალელურად ჩატარდება ზუსტად იმ დარბაზში, ოღონდ რახიმოვი უკვე 66-ში იჭიდავებს.

მკითხველის ნებართვით, აქ ერთს დავამატებთ. ბოლო ხანებში ხშირად ვწერთ იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანული „ატა ჰოლდინგისა" და მის მიერ საერთაშორისო ფედერაციის დასაფინანსებლად გაღებული შვიდი მილიონი დოლარის დამსახურებით, რუსეთის შემდეგ იქაური ფედერაცია მეორე მონსტრად იქცა საერთაშორისო ჭიდაობაში - გასდით ყველაფერი, ნებისმიერი უკანონობა. სამწუხაროდ, რამდენჯერმე ეს ჩვენს თავზეც ძალიან მწარედ ვიწვნიეთ - გოგშელიძის ზემოთ მოყვანილი მაგალითი, მსოფლიოს შარშანდელი პირველობის ფინალში მანუჩარ ცხადაიას უმოწყალოდ დაჩაგვრა იმავე მანსუროვთან... აზერბაიჯანელების თავგასულობის მაგალითია ე.წ. „მაგომედოვის საქმე" - შეუძლებელია, არ სცოდნოდათ, რომ იმ შემთხვევაში მოქალაქეობის შესახებ არსებულ რეგლამენტს არღვევდნენ, მაგრამ მაინც წაიყვანეს და მერე იმდენს მიაღწიეს, დისკვალიფიკაცია თუ ვერ აცილეს თავიდან, სამაგიეროდ, ჯილდო მაინც შეუნარჩუნეს. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს, ჰოდა, ვიყოთ გულახდილები და ვთქვათ, რომ ის სიმკაცრე და მომთხოვნელობა, რაც ჯაფაროვის სიტყვებიდან ჩანს, ქართული რეალობისთვის უცხოა. მათ შორის, საჭიდაო ნაკრებებისთვისაც. ჩვენს მწვრთნელებს სწორედ ასეთი სიმკაცრე აკლიათ და ამიტომაცაა, ქართველი ფალავნები რამეს რომ მოიგებენ, მერე ლამის იკარგებიან სპორტიდან. ყოველ შემთხვევაში, ერთი სეზონით მაინც. ძნელად თუ გავიხსენებთ ქართველს, რომელმაც ზედიზედ რამდენიმე სეზონი ჩაატარა წარმატებულად, ერთ ტიტულს მეორე დაუმატა და ასე შემდეგ... დაუმატა კი არა, წარმატების შემდეგ ლამის საშუალო დონის ათლეტობამდე ჩამოლაბორანტდებიან ხოლმე.

ის აზერბაიჯანელები რეალურად ძლიერები არიან, ვერ ვიტყვით, რომ თავიდან ბოლომდე ეხმარებიან. მსაჯები ხელს კრიტიკულ მომენტებში წააშველებენ, თუმცა დიდწილად მაინც ალალად იგებენ. ვფიქრობთ, იმიტომაც, რომ შელავათს არავის აძლევენ და მუდმივად შრომას აიძულებენ. ვისურვებდი, რომ ჩვენი მწვრთნელებიც ასე პრინციპულები, ასე მომთხოვნები იყვნენ, მაგრამ ისინი თავიანთ მუშაობაში დამოუკიდებელნი არ არიან და ამიტომ ვფიქრობ, ვერც ასეთ პრინციპულობას ვიხილავთ.

საქართველოს ჩემპიონატებში ლამის მუდმივად პრობლემაა უძლიერესი შემადგენლობის შეკრება. საბედნიეროდ, მდგომარეობა სასიკეთოდ იცვლება, მაგრამ უფრო მეტი სიმკაცრეა საჭირო. კარტოზია-ბალავაძის ტურნირებზე ვერც წლეულს მოხერხდა უძლიერესი გუნდის გაყვანა, ხოლო ვინც იჭიდავა, ლამის პირველწყაროდან ვიცით, დააძალეს ასპარეზობა, თორემ სიკვდილივით არ სურდათ. არადა, ზოგიერთმა მათგანმა არც ისე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ვფიქრობ, ასეთებს თუ ერთი შეკრებიდან გააგდებენ, ერთხელ არ წაიყვანენ ევროპის ან მსოფლიოს პირველობაზე, მერე ვერც თვითონ გაბედავენ რეჟიმის დარღვევას და სხვებიც დაშინდებიან, მაგრამ ამაზე პასუხად მივიღე, მწვრთნელებმა რომც გავაგდოთ, ვილაცას დაარეკინებენ და მაინც დააბრუნებენ ნაკრებშიო. სამწუხაროდ, მართლაც ასეა - მწვრთნელები არ არიან თავისუფლები მუშაობაში.

პასუხად მივიღე, მწვრთნელებმა რომც გავაგდოთ, ვილაცას დაარეკინებენ და მაინც დააბრუნებენ ნაკრებშიო. სამწუხაროდ, მართლაც ასეა - მწვრთნელები არ არიან თავისუფლები მუშაობაში.

ამის კლასიკური მაგალითი ევროპის ჩემპიონატის წინაც ვიხილეთ, რაზეც, სამწუხაროდ, ყველა დუმს. ჩვენ კი ვაპირებთ დაწერას, მაგრამ არა გვგონია, ფედერაციამ პრესასთან ითანამშრომლოს...

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი



უტევს ვლადიმერ რუსია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

*თბილისის სპორტის სასახლე. ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. 12-13 ივნისი.*

# მასპინძლების სუსტმა თამაშმა სტუმრებიც კი გააკვირვა

იტალიის ნაკრებთან მარცხის შემდეგ ქართველი ხელბურთელები ლატვიელებს დაუპირისპირდნენ. როგორც უკვე გაცნობეთ, ამ დონის შეჯიბრებებზე ეს გუნდები აქამდე ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 1999 წელს ქართველებმა ორივე მატჩი მოიგეს, სამი წლის წინათ კი მსგავს წარმატებას ბალტიისპირელებმა მიაღწიეს. მასპინძლები რევანშის წყურვილით გავიდნენ სარბიელზე, მაგრამ პირველი წუთებიდანვე მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. შესვენებაზე გუნდები თანაბარი ანგარიშით წავიდნენ (11:11). მეორე ტაიმის ოცი წუთის განმავლობაში სტუმრები დომინირებდნენ, თუმცა დიდი სხვაობით დაწინაურება ვერც მათ მოახერხეს. საფინალო სასტვენამდე ათი წამით ადრე ტაბლოზე ორი 21 ენთო. სწორედ ამ დროს **შოთა თევზაძემ** მოიგერია ბურთი, რომელსაც მისი თანაგუნდელები დაეუფლნენ და ელვისებურ იერიშზე გადავიდნენ, მაგრამ არბიტრებმა შეტევისას მოულოდნელად **ვლადიმერ რუსია** დააჯარიმეს. ლატვიელებმა დარჩენილ ხუთ წამში ბურთის გათამაშება და გადამწყვეტი გოლის გატანაც მოახერხეს.

**12 ივნისი**

**საქართველო–ლატვია**

**21:22 (11:11)**

საქართველო: **შოთა თევზაძე, გაგა სამყურაშვილი, შოთა გრიშიკაშვილი, ილია გოგალაძე, აკაკი ტალახაძე (1), ირაკლი ჩიქოვანი (1), სერგო დათუკაშვილი (8), ვლადიმერ რუსია (7), სერგეი კირილოვი, ამირან ყიფიანი (1), რატი მსხვილიძე, უჩა მაისურაძე (2), მამია კობახიძე, რევაზ ჭანტურია (1), მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი.**

ლატვია: **ჰელმუტს ტიჰანოვსი, დმიტრის ბრაუნიკოვსი, ანდრეის კუზმინსი (6), ედვინს ლატკოვსკისი, მარგოტს ვალკოვსკისი, მარის ვერშაკოვსი (9), ინგარს დუდე (1), ოსკარს არაისი, არტის კურმენსი, აივის იურდსი (4), ერიკს ბლემსი (1), ელვის ბოროდოვსკისი, ულდის ლიბერგსი, იანის გრემზე (1), მთავარი მწვრთნელი ვალდის ლობანოვსკისი.**

სიხარულს ვერ მალავდა სტუმართა მთავარი მწვრთნელი **ვალდის ლობანოვსკისი.** *„მას შემდეგ, რაც ტურნირის პირველ დღეს საქართველო-იტალიის მატჩი ვნახე, ერთი გავიფიქრე კიდეც, თბილისში ჩამოსასვლელად ტყუილად ხომ არ გავისარჯეთ, ჯგუფის აშკარა აუტსაიდერებად ვჩანვართ-მეთქი, — მითხრა ლობანოვსკისმა. — თანაც პირველი ორთაბრძოლა ფინელებთან დავთმეთ. ყოველივეს მიუხედავად, დღეს მოედანზე მაინც იმედიანად გამოვედით. ქართველები მძიმედ თამაშობდნენ. გამაკვირვა თქვენი ლიდერების სუსტმა თამაშმა. მეორე ტაიმში მეც და ჩემს შეგირდებსაც იმედი მოგვეცა და აკი გავიმარჯვეთ კიდეც“...*

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებისგან შევიტყვე, რომ ლეგიონერთა ერთი ნაწილი ტრავმამოუშუშებელი გამოვიდა სათამაშოდ: ჩიქოვანს ხელის კუნთი აქვს გაწყვეტილი, რატი მსხვილიძეს მხრის ტრავმა აწუხებს, დათუკაშვილმა რამდენიმე თვის წინათ წვივის კუნთი გაიწყვიტა. სამწუხაროდ, კლუბში სრული რეაბილიტაციის საშუალება არ მისცეს. ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე სამი დღით ადრე ივარჯიშა თბილისში. მან და ტალახაძემ ლატვიელებთან მუხლის ტრავმაც დაიმატეს და ფინელებთან არ უთამაშიათ. რაც შეეხება თევზაძეს, იგი სამივე მატჩზე ტკივილგამაყუჩებლებით გაბრუებული გამოვიდა საასპარეზოდ. ამგვარ მდგომარეობაში წარმატების მიღწევა, მართლაც წარმოუდგენელია.

შეჯიბრების მეორე დღეს დრამატული გამოდგა ფინელებისა და იტალიელების პაექრობა. პირველი ტაიმი სუომელებმა ერთი ბურთით დათმეს. შესვენების შემდეგ ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან — მეორე. შეხვედრის ბოლო წამზე, თანაბარი ანგარიშისას (34:34), ფინელებმა უხეში შეცდომა დაუშვეს. ცხრამეტრიანი საჯარიმო უნაკლოდ და ელვისებურად შეასრულა იტალიელმს **ვოლპიმ** და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

**ფინეთი–იტალია**

**34:35 (18:19)**

ფინეთი: **ტომი კურპაა, პეტერ ფორსტრიომი, ვილე კანგასი (1), იაკ კარისონი (5), რობინ კარისონი (1), სემ კიჰსტედი, ვილე ვილანენი (3), ოსკარ კიჰსტედი (2), ტეემი ტამინენი (13), ტომი სილნპაა, ანდრეას რიონბერგი (4), ანტი ვალო, ბენი ბრომანი, ჯოონა ჰერტოლა (5). მთავარი მწვრთნელი მიკაელ კალმანი.**

იტალია: **ლუჩანო ბრანკოფორტე, იან რადოიკოვიჩი, პასკუალე მაიონე (3), ედუარდო არკორი, ჯანკარლო კოსტანცო (5), ადრიანი დი მაჯიო (1), დემის რადოვჩიჩი (5), ჯანბატისტა კარმინანი, პიერლუიჯი დი მარცელო, ვალერიო სამპაოლო, მიკელე სკატარი (11), ალესიო ბისორი (3), ტინი ტოკიჩი (5), ფრანჩესკო ვოლპი (2), მთავარი მწვრთნელი ფრანჩესკო ეკვისუაინ აზანზა.**

გუშინდელი პაექრობებიდან უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლატვიელთა და იტალიელთა დაპირისპირებას, რადგან ამ მატჩში გამარჯვებული მომდევნო ეტაპზე გასვლის უფლებას მოიპოვებდა. ამოცანა პირნათლად შეასრულეს ბალტიისპირელებმა, რომლებმაც 36:32 აჯობეს აპენინელებს და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს.

**ლატვია–იტალია**

**36:32 (19:16)**

ლატვია: **ჰელმუტს ტიჰანოვსი, დმიტრის ბრაუნიკოვსი, ანდრეას კუზმინსი (5), ედვინს ლატკოვსკისი (4), მარის ვერშაკოვსი (2), ინგარს დუდე (4), ოსკარს არაისი, არტის კურმენსი (5), აივის იურდსი (6), ერიკს ბლემსი (5), ელვის ბოროდოვსკისი (2), ულდის ლიბერგასი, იანის გრემზე (3). მთავარი მწვრთნელი ვალდის ლობანოვსკისი.**

იტალია: **ლუჩანო ბრანკოფორტე, გრაციანო ტუმბარელო (7), პასკუალე მაიონე (4), ედუარდო არკორი, ჯანკარლო კოსტანცო (1), ადრიანო დი მაჯიო, დემის რადოვჩიჩი (5), ჯანბატისტა კარმინანი, პიერლუიჯი დი მარცელო, ვალერიო სანპაოლო, მიკელე სკატარი (7), ალესიო ბისოპი (3), ტინ ტოკიჩი (4), ფრანჩესკო ვოლპი (1). მთავარი მწვრთნელი ფრანჩესკო ეკვისუაინ აზანზა.**

ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ ფინელები, რომლებიც ბოლო მატჩში მასპინძლებს დაუპირისპირდნენ. წლეულს იანვარში ეს გუნდები „ჩელენჯ ტროფის“ ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ სუომელებმა აჯობეს ჯვაროსნებს. რევანშის შანსი სტუმრებს არც გუშინ მიუციათ ქართველებისთვის: პირველი ტაიმი მათ ორი ბურთის სხვაობით (12:10) მოიგეს, შესვენების შემდეგ კი ანგარიში კიდევ უფრო გაზარდეს და საბოლოოდ 26:21 გაიმარჯვეს. მესამე ადგილი იტალიელებს ხვდათ.

**საქართველო–ფინეთი**

**21:26 (10:12)**

საქართველო: **შოთა თევზაძე, გიგა ტორონჯაძე, გაგა სამყურაშვილი, ვლადიმერ რუსია (5), რატი მსხვილიძე (8), რევაზ ჭანტურია, ირაკლი ჩიქოვანი (1), უჩა მაისურაძე (2), ამირან ყიფიანი, მამია კობახიძე (4), შოთა გრიშიკაშვილი, სერგეი კირილოვი, ირაკლი ლალანიძე. მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი.**

ფინეთი: **ტომი კურპაა, პეტერ ფორსტრიომი, ვილე კანგასი (5), იაკ კარლსონი (3), რობინ კარლსონი (1), ოლი-პეკი კორპიმიაკი, ვილე ვილანენი (4), ოსკარ კიჰსტედი (1), ტეემი ტამინენი (3), ტომი სილნპაა, ადრეას რიონბერგი (8), ანტი ვალო, ბენი ბრომანი, ჯოონა ჰერტოლა (1). მთავარი მწვრთნელი მიკაელ კალმანი.**

ჭადრაკი

# მეშვიდე–მეცხრე რა გასაყოფია...

პოიკოვსკში დამთავრდა მსოფლიოს მე-12 ჩემპიონის **ანატოლი კარპოვის** სახელობის მე-11 საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 7 ქვეყნის 12 დიდოსტატი მონაწილეობდა ერთ წრედ. ქართველი მოჭადრაკე **ბაადურ ჯობავა** ბოლო ორ პარტიაში **ივან სოკოლოვთან** და **ნიკიტა ვიტიუგოვთან** ყაიმებს დასჯერდა, მოაგროვა 5 ქულა და მეშვიდე-მეცხრე ადგილები გაიყო.

გუშინდელი დასკვნითი ტურის დარჩენილი პარტიები ასე დასრულდა: **სერგეი კარიაკინი-ემილ სუტოვსკი** 1:0, **ვიორელ ბოლოგანი-ალექსანდრ მოტილევი** 1:0, **ივან სოკოლოვი-არკადი ნაიდიჩი** 1:0, დაზავდნენ: **ალექსანდრ რიაზანცევი-ალექსანდრ ონიშჩუკი, დმიტრი იაკოვენკო-სერგეი რუბლიოვსკი.**

საბოლოო შედეგები: კარიაკინი, ბოლოგანი - 7-7, იაკოვენკო, ვიტიუგოვი - 6,5-6,5, რიაზანცევი - 6, ონიშჩუკი - 5,5, ჯობავა, სოკოლოვი, სუტოვსკი - 5-5, ნაიდიჩი - 4,5, რუბლოიოვსკი - 4, მოტილევი - 3,5 ქულა.

ათლეტიზმი

# ოთხი რეკორდით

ქართველ ათლეტებს ძალისმიერ სამჭიდში არაერთხელ უსახელებიათ თავი. მსოფლიოს ჩემპიონატებიდანაც მედლებით დახუნძლულნი ბრუნდებიან. რეკორდებსაც ხშირად აუმჯობესებენ. ახლაც ასე იყო - საქართველოს თასის გათამაშებაზე, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზმა უმასპინძლა, ორი მსოფლიოს და ამდენივე საქართველოს ახალი მიღწევა დაფიქსირდა.

ბიცეპსებით წონის აწევისას ქუთაისელმა **დათა სანაიამ** (82 კგ) 100 კილოგრამი დაიმორჩილა, რაც მსოფლიოს რეკორდს 15 კილოთი აღემატება. ამდენივე დაძლია **ლევან ციციშვილმა** (თსუ, 90), რაც მსოფლიოს მიღწევას 2,5 კილოთი აჭარბებს. 75 კილოგრამში **დავით გაბელაიამ,** ასევე, ბიცეპსებით 82,5 კილო ასწია. საქართველოს რეკორდთან ერთად საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. წოლჭიმში სპეციალური ეკიპირებით ყველას აჯობა **ზაურ ჯავახიშვილმა** (თსუ, 67,5). მან 192,5 კილოგრამით საქართველოს რეკორდი დაამყარა.

ძალისმიერ სამჭიდში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: **გიორგი ფურცელაძე** (თსუ, 60) - 425, **შალვა აკოფაშვილი** (თსუ, 67,5) - 470, **ზურაბ ჩხეტიანი** (ქუთაისი, 75) - 565, **ნიკა ფერაძე** (თსუ, 82,5) - 505, **ალექსანდრე ფეიქრიშვილი** (დაცვის პოლიცია, 90) - 640, **ალექსი ორკოდაშვილი** (თსუ, 100) - 555 კილოგრამი.

შეჯიბრებაში 10 ნაკრების 150 სპორტსმენი მონაწილეობდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თსუ, 2. სიღნაღი, 3. ქუთაისი.

ქართველი ათლეტები ახლა ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადებიან, რომელსაც 12 აგვისტოდან სლოვაკეთი უმასპინძლებს.

უნივერსიადა 2010



# ჩემპიონობა შეინარჩუნეს

საქართველოს უნივერსიადის ბოლო დღეებში გამარჯვებულები და პრიზიორები ჭადრაკსა და ფრენბურთში გამოვლინდნენ. 64-უჯრიან დაფებთან 14 გოგონა და 17 ვაჟი ცდიდა ძალებს. შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად გამართულ შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გოგონები. 1. **სოფიო გურამიშვილი** (თბილისის ჭავჭავაძის უნივერსიტეტი), 2. **სალომე ხაჟომია** (თსუ), 3. **მერი ჟორჟოლიანი** (ილიას უნივერსიტეტი). ვაჟები. 1. **შოთა აზალაძე** (ილიას უნივერსიტეტი), 2. **ვახტანგ თევდორაშვილი** (სტუ), 3. **ალექსანდრე მიქაძე** (სამედიცინო).

ფრენბურთელ ქალთა პირველობაში უძლიერესი იყო აგრარული უნივერსიტეტის გუნდი. მეორე-მესამე ადგილები საქართველოს და სამედიცინოს ხვდათ. ვაჟებში ყველას რუსთავის უნივერსიტეტის ფრენბურთელებმა აჯობეს. ვერცხლი და ბრინჯაო აგრარულმა და სამედიცინომ გაინაწილეს.

უნივერსიადა მინიფეხბურთელთა ფინალურ პაექრობას უნდა დაეგვირგვინებინა. სამწუხაროდ, ზეიმი არ შედგა. ილიას სახელმწიფო და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტების გუნდების შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა. პენალტების სერიისას მსაჯის გადაწყვეტილებას ფეხბურთელთა უკმაყოფილება და აყალმაყალი მოჰყვა. საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ ამ ინციდენტთან დაკავშირებით ილიას უნივერსიტეტის საფეხბურთო გუნდი მოხსნა შეჯიბრებიდან და უნივერსიადა 2011-ში თამაშიც აუკრძალა.

ამ გადაწყვეტილებას უნივერსიადის საბოლოო შედეგებზე ზეგავლენა არ მოუხდენია, რადგან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებმა 40 მედლით (16 ოქრო, 13 ვერცხლი, 11 ბრინჯაო) საერთო გუნდურ ჩათვლაში, როგორც შარშან, პირველი ადგილი დაიკავეს. 33 მედლით მეორე ადგილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრები (15, 9, 9) გავიდა. მართალია, აგრარულმა უნივერსიტეტმა 36 მედალი მოიხვეჭა, მაგრამ საერთო მესამე ადგილს ვერ ასცდა, რადგან თსუ-ს 3 ოქროთი ჩამორჩა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

კალათბურთი

# ზაზას დრიუ გაწვრთნის

## ლარი ჯერჯეროვბით 1 მილიონი დოლარი ღირს

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსს“ ახალი თავკაცი ჰყავს - **ლარი დრიუ**. ამ სპეციალისტმა მთავარი მწვრთნელის პოსტზე **მაიკ ვუდსონი** შეცვალა. პლეი ოფში „ორლანდოსთან“ 0:4 წაგების შემდეგ, კლუბის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ვუდსონი მთავარი მწვრთნელის პოსტზე აღარ დარჩებოდა. მომდევნო ერთ თვეში „ჰოქსის“ მესვეურებმა რამდენიმე სპეციალისტთან ილაპარაკეს, **დუეინ კეისისთან, მარკ ჯექსონთან, ეივერი ჯონსონთან**... თუმცა საბოლოოდ ლარი დრიუს დაწინაურება გადაწყვიტეს. იგი გასულ სეზონში მაიკ ვუდსონის თანაშემწედ მუშაობდა „ატლანტაში“. დრიუს NBA-ს გუნდებში ასისტენტობის 14-წლიანი გამოცდილება აქვს. მანამდე კი პროფესიონალი კალათბურთელი იყო - 1980-91 წლებში „დეტროიტის“, „საკრამენტოს“, კლიპერსისა“ და „ლეიკერსის“ ღირსებას იცავდა.



ლარი დრიუ

„ატლანტას“ ახალ დამრიგებელს NBA-ს მწვრთნელებს შორის ყველაზე დაბალი ანაზღაურება ექნება - 1 მილიონი დოლარი, თუმცა მომდევნო სეზონში 1.5 მილიონს მიიღებს. ორწლიანი კონტრაქტი 2+1 სისტემისაა.

- დაბალანაზღაურებადი მწვრთნელის დანიშვნით დაზოგილ თანხას „ჰოქსის“ ხელმძღვანელობა რომელიმე ვარსკვლავის დამატებას მოახმარს და „ატლანტა“ იმ სიმაღლემდე უნდა ავიდეს, სადამდე მიღწევაც მაიკ ვუდსონმა ვერ შეძლო, - ვარაუდობენ ამერიკელი ჟურნალისტები. სხვათა შორის, ვუდსონი მომავალ სეზონში შეიძლება სოლიდურ კლუბში ვიხილოთ: მისი გადაბირება „კლივლენდ კავალიერსის“ უფროსობას სურს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ტრანსფერების მოლოდინში

# ალექსანდრ კონრადი: პრიორიტეტი მარკოიშვილია

„კანტუში“ ჩატარებული წარმატებული სეზონის შემდეგ **მანუჩარ მარკოიშვილის** სატრანსფერო ღირებულებამ იმატა. მისი გადაბირებით არაერთი იტალიური კლუბია დაინტერესებული. შესაბამისად, სატრანსფერო საკითხებზე მსჯელობისას ჟურნალისტებიც ხშირად ახსენებენ მანუჩარის გვარს. მანუს ბედი იტალიელებზე არანაკლებად ჩვენც გვაინტერესებს. ამიტომ უცხოური პრესიდან მიღებულ ახალ-ახალ ამბებს ჩვენც ხშირად ვთარგმნით.

დღეს მანუს შესახებ ბოლონიური და კანტუური გამოცემების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს გაგაცნობთ. „კანტუმ“ კონტრაქტი გააფორმა სერბ **ვლადიმირ მიკოვთან** და იქვე დაიწერა: შემდეგი, ვისთანაც კანტუელები ახალი ხელშეკრულების დადებას აპირებენ, მანუჩარ მარკოიშვილი იქნებაო. ამას გუნდის პრეზიდენტი **ალექსანდრ კონრადი** ადასტურებს:

*- უკანასკნელ მარკოიშვილთან აქტიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და ვცდილობთ, მიკოვის შემდეგ მასთან გავაფორმოთ ხელშეკრულება.*

თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ქართველის მხარე „კანტუსთან“ კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს. ამის მიზეზი მარტივია: მანუს გადაბირებით კიდევ არაერთი იტალიური კლუბია დაინტერესებული და მალე საუკეთესო ვარიანტსაც შეარჩევენ...

ჩვენი გაზეთის მუდმივმა მკითხველმა შეიძლება გაიხსენა „ვირტუსის“ პრეზიდენტის, **საბატინის** ნათქვამი - ჩვენი მთავარი მიზანი მარკოიშვილის გადაბირებააო. თუმცა, „ვირტუსი“ ისეთივე „რიგითი“ ვარიანტია, როგორიც კიდევ რამდენიმე გუნდი. მაგრამ ბოლონიელები მიზნის მისაღწევად დღემდე მუშაობენ. აი, რა წერია გამოცემა „სპორტანდოში“: *„ბოლონიური კლუბის ხელმძღვანელობა პირველ რიგში ოთხი ევროპელის დამატებას ესწრაფვის (სერია A-ში თითო კლუბს 4 არაიტალიელის დამატების უფლება აქვს). სწორედ მას შემდეგ იზრუნებს ამერიკელებზე. სამი ადგილი შევსებულია: სანიკიძე, კოპონენი და გაილიუსი. მეოთხე ადგილის შევსებას მარკოიშვილით ცდილობენ, თუმცა ჯერაც უცნობია, როგორ წარიმართება მოლაპარაკებები. თუ ქართველის დამატება ვერ მოხერხდა, ვირტუსელები სათადარიგო ვარიანტებად თურქ აკიოლს და სერბ ერცეგს განიხილავენ.“*

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# უიმბლდონამდე ნახევარფინალი იმყოფინა

**მაკა ჩახნაშვილმა** (193) იტალიურ კამპობასოში (25 ათასი დოლარი) ნახევარფინალში დაასრულა ასპარეზობა. 27 წლის ქართველის მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი არგენტინელი **მარია ირიგოიენი** (194) იყო, თავად მაკა მე-3 ნომრად განთესეს ტურნირზე. რეიტინგში ორივე ჩოგბურთელი ერთადაა, ამიტომაც თანაბარ ორთაბრძოლას მოველოდით, მაგრამ ეს მხოლოდ პირველ სეტში გამართლდა, პირველი სეტის ტაი-ბრეიკში წაგების შემდეგ ქართველმა ინიციატივა მთლიანად 22 წლის მეტოქეს გადაულოცა - 6:7 (3), 3:6. შარშან კამპობასოში მაკა მერვედფინალში დამარცხდა, წლეულს კი მან 24 სარეიტინგო ქულა დაიბევა, თუმცა შარშან გალატინაში (იტალია) ფინალში გასვლისთვის დარიცხული 34 ქულა ორშაბათს მოაკლდება. ასე რომ, ჩახნაშვილს ორასეულიდან გავარდნა ემუქრება.

მოწინავე ქართველ ჩოგბურთელთა სამეულის შემდეგი გამოცდა უიმბლდონის ტურნირია. **ანა ტატიშვილი** (146), **ოქსანა კალაშნიკოვა** (154) და მაკა ჩახნაშვილი „დიდი სლემის“ ტურნირის საკვალიფიკაციო ბადიდან იწყებენ. ჩახნაშვილი ორი ჩოგბურთელის გამოკლების წყალობით მოხვდა საკვალიფიკაციოში. ლონდონური ტურნირის შესარჩევი ეტაპის ბადე დღეს გამოქვეყნდება.



მაკა ჩახნაშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

1999-წელს დაბადებულთა ფესტივალი

# აქაც ორბი

A ჯგუფი: „აკადემია“, „ორბი“, „მართვე“, „ბასტიონი“,

B ჯგუფი: „რუსთავი“, „ზესტაფონი“, „სამედიცინო“, „ჯვაროსნები“

| | |
|---|---|
| **7 ივნისი** | |
| აკადემია-ბასტიონი | 35:10 |
| ორბი-მართვე | 43:20 |
| ზესტაფონი-სამედიცინო | 16:15 |
| რუსთავი-ჯვაროსნები | 25:43 |
| **8 ივნისი** | |
| ორბი-ჯვაროსნები | 46:7 |
| აკადემია-მართვე | 33:22 |
| ზესტაფონი-რუსთავი | 22:37 |
| ჯვაროსნები-სამედიცინო | 33:7 |
| **9 ივნისი** | |
| აკადემია-ორბი | 16:27 |
| მართვე-ბასტიონი | 26:16 |
| რუსთავი-სამედიცინო | 31:13 |
| ჯვაროსნები-ზესტაფონი | 38:10 |
| **10 ივნისი** | |
| VII ადგილისთვის | |
| ბასტიონი-სამედიცინო | 21:24 |
| **V ადგილებისთვის** | |
| ზესტაფონი-მართვე | 13:25 |
| **III ადგილებისთვის** | |
| რუსთავი-აკადემია | 16:27 |
| **ფინალი** | |
| ორბი-ჯვაროსნები | 32:22 |

ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის დარბაზში დასრულდა 1999 წლამდე დაბადებულთა ფესტივალი, რომელიც „ორბმა“ მოიგო. საინტერესოა, რომ 5 ივნისს დასრულებულ 1998–წლამდელთა შეჯიბრებაშიც „ორბმა“ იმარჯვა.

1999 წელს დაბადებულთა ტურნირში მონაწილეობდა 8 გუნდი, რომლებიც 2 ჯგუფში იყვნენ გადანაწილებულნი.

გადამწყვეტ მატჩებში გუნდები იმ ადგილების მიხედვით დაწყვილდნენ, რომელიც ჯგუფში დაიკავეს: ფინალში პირველ ადგილზე გასულები შეხვდნენ ერთმანეთს, მესამე ადგილისთვის მეორე ადგილებზე გასული გუნდები შეერკინენ და ასე შემდეგ.

„ორბმა“ და „ჯვაროსნებმა“ ჯგუფებში წაუგებლად იასპარეზეს და ერთმანეთს ფინალში დაეჭიდნენ. მატჩი საინტერესოდ წარიმართა და გამარჯვებული ბოლო წუთებზე გამოვლინდა. „ჯვაროსნები“ საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე 21:19 იგებდნენ, თუმცა დარჩენილ დროში „ორბის“ კალათბურთელებმა სიმტკიცე გამოიჩინეს და საბოლოოდ 32:22 გაიმარჯვეს.

მესამე ადგილისთვის მატჩში „აკადემიამ“ „რუსთავს“ მოუგო. მეხუთე ადგილზე „მართვე“ გავიდა, ხოლო მეშვიდეზე - „სამედიცინო“.

ფესტივალის მსვლელობისას გაიმართა ესტაფეტა, რომელშიც გუნდები ერთმანეთს დრიბლინგსა და ფარქვეშ შესვლებში შეეჯიბრნენ. ესტაფეტაში რუსთაველებმა იმარჯვეს, მეორე ადგილი კი „მართვეს“ ერგო.

ტურნირის ყველა მონაწილეს დაურიგდა 23–25 ივლისს თბილისში გასამართი ოთხთა საერთაშორისო ტურნირის მოსაწვევები (საქართველო, უკრაინა, რუმინეთი, ბელარუსი).

**ვაჟა სიმონიშვილი**



პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# გეორ-გია მოსკოვიდან გაისტუმრეს

მოსკოვში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქართული წყვილი **გეორ-გია** გათამაშებას მერვედფინალში გამოეთიშა. მეთექვსმეტედფინალში ჩვენმა ფრენბურთელებმა იტალიელები **ინგროსო** და **ნიკოლა** ორ სეტში დაამარცხეს - 26:24, 21:19.

გეორ-გია მერვედფინალში ვერას გახდა რუსთა დუეტ **პროკოფიევ-ბოგატოვთან** - 0:2 (16:21, 17:21).

ამრიგად, ქართულმა წყვილმა მოსკოვში მე-14 ადგილი დაიკავა, რისთვისაც 320 სარეიტინგო ქულა ერგო.

**ბესიკ ჯანგავაძე**



გეორ-გია

ძიუდო

ლისაბონის ტურნირი

# მხოლოდ ერთი: მონაწილეც და შეხვედრაც

ლისაბონის მსოფლიოს თასზე მხოლოდ ერთი ქართველი გამოვიდა, გორელი მძიმეწონოსანი **იოსებ მსხალაძე** და წილისყრამ არც მას გაუმართლა - პირველივე წრეში ფრანგი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ტედი რინერი** შეხვდა. მოლოდინისამებრ, ფრანგმა იპონით მოიგო, თუმცა მანამდე მსხალაძემ ორჯერ გააფრთხილებინა და იუკო აართვა. ეს მისი ერთადერთი მიღწევა აღმოჩნდა ამ შეხვედრაში.

წინასწარი მონაცემებით, ამ ტურნირში ჩვენი სახელით ევროპაში მცხოვრებ **შალვა ყალაბეგაშვილსაც** (81) უნდა ეჭიდავა, მაგრამ არ ჩასულა ლისაბონში. ასე დავრჩით პორტუგალიაში ერთი მონაწილის და ერთი შეხვედრის ამარა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ეს ტურნირი ჩვენი ნაკრების მოსამზადებელ გეგმაში არ შედიოდა და მსხალაძე იქ საკუთარი ხარჯით წავიდა.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსათხოვარი მატჩი

# გია რაფავა რაგბის დაემშვიდობა

ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე რაგბის ქართულმა თემმა აქტიური სპორტიდან ლეგენდარული ქართველი მორაგბე, საქართველოს ნაკრების ყოფილი მეორეხაზელი **გია რაფავა** გააცილა.

ქართული რაგბის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მორკინალის გასაცილებლად თბილისის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „აიას“ ვეტერანი მორაგბეები შეიკრიბნენ. ბურთაობა ისეთი ვერ გამოდგა, როგორიც თითოეულ მათგანს ჯეელობაში შეეძლო, მაგრამ დროდადრო ვეტერანები უბადლო ოსტატობის დემონსტრირებას მაინც ახერხებდნენ.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გუნდებმა თითო ლელო გაცვალეს. მეორე ნახევრში გია რაფავამ თბილისელთა გუნდიდან „აიას“ შემადგენლობაში გადაინაცვლა. ნელ-ნელა ქუთათურთა უპირატესობაც გამოიკვეთა. მალე „აიამ“ მეორე ლელო მიითვალა და ანგარიშში დაწინაურდა. მატჩის მიწურულისკენ „ლოკომოტივმა“ მაინც შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა. თბილისელებმა ბოლო წამებზე ლელო გაიტანეს და მატჩი ფრედ 10:10 დამთავრდა.

გია რაფავა: „დღეს რაგბის ზეიმია. ძველი დრო გავიხსენეთ. ვინც დღეს მოედანზე იყო, ბევრთან ერთად მითამაშია, ბევრისგან მისწავლია. თამაშს თავი დიდი ხანია, დავანებე, მაგრამ დღეიდან მამების სიაში, როგორც ჩვენს ვეტერანებს ვუწოდებთ, ოფიციალურად ჩავეწერე.

ვეტერანების შემდეგ მოედანზე ახალგაზრდა მორაგბეები გამოვლენ. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებები ჩემ მიერ დაწესებული თასისთვის ითამაშებენ. ამ გუნდებს შორის შეხვედრა ტრადიციული გახდება და თასი ყოველ წელს გათამაშდება. ვფიქრობ, ეს კარგი შანსია ახალგაზრდა მორაგბეებისთვის თავიანთი შესაძლებლობების წარმოსაჩენად“.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებების დაპირისპირება უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. მატჩი „ბარბაროსული“ წესით ჩატარდა, ანუ გუნდები საჯარიმოებსა და გარდასახვებს კარში არ ურტყამდნენ და მხოლოდ ლელოს გატანას ცდილობდნენ.

მატჩის ძირითადი დრო ფრედ, 5:5 დასრულდა. დაინიშნა ორი დამატებითი ათწუთიანი ტაიმი. გუნდებმა ამჯერადაც თითო ლელო გაიტანეს და გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო გახდა არეკნების დარტყმა. აქ უკეთ აღმოსავლელები გაისარჯნენ, რომლებმაც არეკნებში მეტოქეს 2:0 აჯობეს და გია რაფავას სახელობის თასიც ირგუნეს.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



შვიდკაცა რაგბი. ევროპის სერია

# პაფოსიდან მოსკოვისკენ

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა კვიპროსის ქალაქ პაფოსში გამართულ ევროპის სერიის ბოლო ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა და მოსკოვში ფინალურ სტადიაზე თამაშის უფლება მოიპოვა.

შეჯიბრების პირველ დღეს შვიდკაცა „ბორჯღალოსნებმა“ ჯგუფურ ტურნირში ოთხიდან სამი მატჩი მოიგეს და მეორე ადგილი დაიკავეს. ჩვენმა მორაგბეებმა მშრალი ანგარიშით სძლიეს ხორვატიას - 38:0, მალტას - 58:0, სერბეთს - 64:0 და უშელავათო ბრძოლაში წააგეს პორტუგალიასთან - 26:35.

ჩვენი გუნდის მეტოქე ნახევარფინალში A ჯგუფის გამარჯვებული საფრანგეთის ნაკრები იყო. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრები 5:26 დამარცხდა. მესამე ადგილისთვის მატჩში კი ჩვენებმა ისრაელის ნაკრებს მოუგეს - 33:7.

ამრიგად, საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა რეიტინგში 14 ქულა ირგუნა. ორი ეტაპის ჯამში კი 26 ქულით მე-9 ადგილი დაიკავა და 11-12 ივლისს მოსკოვში, ფინალურ ეტაპზე ითამაშებს.

ჩვენს გუნდს ევროპის წლევანდელი სერიის საუკეთესო გუნდის ტიტულს ესპანეთის, იტალიის, რუსეთის, რუმინეთის, მოლდოვის, ჰოლანდიის, პორტუგალიის, საფრანგეთის, უკრაინის, ლიტვისა და პოლონეთის ნაკრებები შეეცილებიან.

**საქართველოს ნაკრები**

**დავით ჩიტიძე, რატი ხუციშვილი, ვახტანგ კავთიძე (სამივე-ლოკომოტივი), ალექსანდრე ნიჟარაძე, შალვა მახარაშვილი, გიორგი კალმახელიძე, ირკალი გეგენავა (ყველა-ვისოლი\ყოჩები), ლექსო გუგავა (ლელო), გიორგი შკინინი (ხულიგანა), ბესიკ ხამაშურიძე (აია)**

**ევროპის რეიტინგი**

1. ესპანეთი - 36 ქულა, 2. პორტუგალია - 36, 3. საფრანგეთი - 34, 4. იტალია - 32, 5. რუსეთი - 32, 6. რუმინეთი - 28, 7. მოლდოვა - 28, 8. ჰოლანდია - 28, **9. საქართველო - 26**, 10. უკრაინა - 26, 11. ლიტვა - 24, 12. პოლონეთი - 24, 13. ჩეხეთი - 18, 14. ანდორა - 18, 15. დანია - 16, 16. გერმანია - 14, 17. ბელგია - 14, 18. შვეიცარია - 14, 19. ისრაელი - 14, 20. ხორვატია - 8, 21. კვიპროსი - 8, 22. ლატვია - 8, 23 საბერძნეთი - 4, 24. სერბეთი - 4, 25. უნგრეთი - 4, 26. ნორვეგია - 4, 27. ბოსნია - 2, 28. ბულგარეთი - 2, 29. ლუქსემბურგი - 2, 30. მალტა - 0

ივნისის ტესტები



არგენტინა-შოტლანდია

# ჩრდილოელთა შავი დღე

ივნისის ტესტების შავი დღე ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ბობოლა სარაგბო ქვეყნებისთვის ოდნავ გაანათა შოტლანდიის ნაკრებმა, რომელმაც სტუმრად შეძლო არგენტინის ეროვნული გუნდის დამარცხება - 24:16.

აღსანიშნავია, რომ ორივე ნაკრები 2011 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაში ჩვენი გუნდის მეტოქეა ჯგუფურ ეტაპზე. ამდენად, „ბორჯღალოსნების“ მოწინააღმდეგეთა დაპირისპირება ჩვენში ორმაგ ინტერესს იწვევდა. შოტლანდიამ ამ გამარჯვებით რვამატჩიანი წაგებების სერია შეწყვიტა. არგენტინის ნაკრებს კი შინ აქამდე შვიდი თამაში არ წაეგო.

სკოტების გამარჯვება მნიშვნელოვანწილად მგეზავის **დენ პარქსის** ფეხჩუბინობამ განაპირობა. ყველა, ოცდაოთხივე ქულა მის ანგარიშზეა. პარქსმა, რომელიც გუნდში ლამის ყველაზე ხანდაზმულია, ექვსი საჯარიმო და ორი არეკნი გაიტანა.

პირველი ტაიმი მასპინძლების უპირატესობით წარიმართა. შუამარბმა **გონსალო ტიესმა** და მესამეხაზელმა **მანუელ ლეგუსამონმა** სტუმრებს ორი ლელო გაუტანეს. არგენტინელთა მგეზავმა **ფელიპე კონტეპომმა** ვერც ერთი გარდასახა. თუმცა ერთი საჯარიმო მაინც გაიტანა. სამაგიეროდ, როგორც უკვე ვთქვით, უზადოდ თამაშობდა ფეხით „სკოტების“ მგეზავი დენ პარქსი. მან სამი საჯარიმო და ერთი არეკნი გაიტანა. საგრძნობი უპირატესობის მიუხედავად, „პუმებმა“ ტაიმი მინიმალური სხვაობით - 13:12 მოიგეს.

მეორე ტაიმში შოტლანდიელთა შერკინებამ იმძლავრა. სკოტების მორკინალებმა თავისი აქტიური თამაშით მეტოქეს უამრავი შეცდომა დააშვებინეს. პარქსმა პირველი ტაიმის შედეგი გაიმეორა. მის სამ საჯარიმოს და არეკნს კონტეპომმა მხოლოდ ერთი ზუსტი საჯარიმოთი უპასუხა და ივნისის ტესტების პირველი სენსაციაც გამოცხვა — სტუმრებმა ყველასთვის მოულოდნელად 24:16 მოიგეს.

ცხოველ ინტერესს იწვევდა კეიპთაუნში სამხრეთ აფრიკისა და საფრანგეთის ნაკრებების მატჩი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის საუკეთესო გუნდების დაპირისპირებაში სამხრეთაფრიკელებმა იმძლავრეს - 42:17.

ფრანგები დამღლელი სეზონის შემდეგ არაქათგამოცლილები ჩანდნენ. „ლე ბლე“ ასე უნიათოდ წლეულს არ გარჯილა. 23-ე წუთისთვის „ბოკე“ უკვე 20:0-ს იგებდა. რვა ნომერმა **პიერ სპისმა** მე-2 წუთზე მასპინძელთა პირველივე შეტევისას გაიტანა. ხუთ წუთში თავი გარემარბმა **ხიო ეპლონმა** გამოიჩინა. მგეზავმა **მორნი სტეინმა** ორივე ლელო გარდასახა და ორი საჯარიმოც მიაყოლა.

ფრანგებმა მხოლოდ ამის შემდეგღა გამოიღეს ხელი. **ორელიან რუჟერის** ლელოსა და **მორგან პარას** ფეხჩუბინობის წყალობით მათ პირველ ტაიმში ანგარიშის 15 ქულამდე შემცირება შეძლეს. მასპინძელთაგან კიდევ ერთი ლელო პირველხაზელმა **ხუთრო სტენკამპმა** გაიტანა - 25:10.

მეორე ტაიმში „ბოკემ“ კიდევ ორი ლელოს გატანა შეძლო, რაზეც ფრანგებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს. მსოფლიოს ჩემპიონებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს - 42:17.

საინტერსო გამოდგა პერთში ავსტრალიისა და ინგლისის ნაკრებების დაპირისპირება. „ვოლაბებს“, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, უდიდესი ძალისხმევა დასჭირდათ „პომების“ დასამარცხებლად - 27:17

თამაშმა აჩვენა, რომ ავსტრალიელებს პირველ ხაზში ისევ სერიოზული პრობლემები აქვს. თავად განსაჯეთ, ინგლისელებმა ორი საჯარიმო ლელო მიითვალეს. არბიტრმა მასპინძლები ორივეჯერ მათი ლელოდან ხუთ მეტრში დანიშნული შერკინებისას წესების დარღვევის გამო დასაჯა.

სხვა მხრივ „ვოლაბებს“ თამაშში პრობლემა არ ჰქონიათ. ბრწყინვალედ ითამაშა მათმა მგეზავმა **ქუადე კუპერმა**, რომელმაც ორი ლელო გაიტანა და მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო. ერთი ლელო მესამეხაზელ **როკი ელსომის** ანგარიშზეა.

უხვლელოიანი გამოდგა ახალი ზელანდიისა და ირლანდიის ეროვნული გუნდების მატჩი. „ოლ ბლექსმა“ მეტოქე დიდი ანგარიშით — 66:28 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ „სამყურები“ მე-15 წუთიდან მოყოლებული, მატჩის ბოლომდე კაცნაკლულები თამაშობდნენ. არბიტრმა მოედნიდან მესამეხაზელი **ჯიმი ჰისლიპი** გააძევა. ამ გარემოებამ, ცხადია, შეხვედრაზე დიდი გავლენა იქონია.

**არგენტინა-შოტლანდია 16:24**

**არგენტინა (15-9) როდრიგესი, ბორხესი (გონსალესი 47), ტიესი, ფერნანდესი, აგულა, კონტეპომი, ლალანე (ფიგუორელა 67) (1-8) რონკერო, ლედესმა, სკელსო (აიერსა 44), კარისა, ალბასეტე, ფესია, ლეგუსამონი, ლობე**

*2ლ: ტიესი, ლეგუსამონი. 2ს: კონტეპომი*

**სინბინი: ლეგუსამონი**

**შოტლანდია (15-9) საუთვილი, ევანსი, დე ლუკა, მორისონი, ლამონტი, პარქსი, რ.ლაუსონი (ბლერი 60) (1-8) ჯაკობსენი, ფორდი (სლაუსონი 78), ლოუ, ჰემილტონი, კელოკი, ბრაუნი, ბარკლი, ბითი (სტროკოში 60)**

*6ს,2ა: პარქსი*

**მსაჯი: დეივ პერსონი (ინგლისი)**

**ს.აფრიკა-საფრანგეთი 42:17**

**საფრიკა (15-9) კირშნერი (დე იონგი 61), ეპლონი, ფური, ულიფიე (დე ფილიერსი 61), ჰაბანა, სტეინი (პინარი 65), იანუარი (1-8) სტენკამპი, სმიტი (რელეპელე 41), ბრ.ბოთა (დუ პლესი 60), როსუ (ფან დერ მერვე 61), მეტფილდი, ბურხერი (პოტხიტერი 57), ლოუ, სპისი**

*5ლ: ეფლონი (2), სპისი, სტენკამპი, ლოუ. 4გ,3ს: სტეინი*

**სინბინი: ფან დერ მერვე**

**საფრანგეთი (15-9) პუატრენო (სკრელა 71), კლერი, მარტი (ანდრო 64), მერმოსი, რუჟერი, ტრინ-დუკი, პარა (იაშვილი 66). (1-8) დომინგო (პუ 41), სყარჟევსკი (ყირადო 64), მასი, ნალე, მიო-შლუსკი (პიერი 53), დუსოტუარი, ლორე (პიკამოლი 53), ბონერი**

*2ლ: რუჟერი, ანდრო. 2გ: პარა, სკრელა. ს: პარა*

**სინბინი: იაშვილი**

**მსაჯი: ბრის ლოურენსი (ახალი ზელანდია)**

**ავსტრალია-ინგლისი 27:17**

**ავსტრალია (15-9) ოკონორი (ბეილი 74), იოანი, ჰორნი, ბარნსი, მიტჩელი, კუპერი, ბარჯესი (1-8) დელეი (სლიპერი 65), ფაინგაა (ედმონდსი 79), მააფუ, მამი (ჩისლომი 69), შარფი, ელსომი, პოკოქი (ჰოჯსონი 74), ბრაუნი**

*3ლ: კუპერი (2), ელსომი. 3გ: ოკონორი. 2ს: ოკონორი, კუპერი*

**ინგლისი (15-9) ფოდენი, კეიტო, თინდოლი, ჰეპი, ეშტონი, ფლუდი (ვილკინსონი 74), კერი (იუნგზი 58) (1-8) პეინი (ვილსონი 68), თომპსონი (ჩატერი 69), კოლი, შოუ (ლოუისი 59), პელმერი, კროფტი, მუდი (ჰესკელი 66), ისთერი**

*2ლ: საჯარიმო (2). 2გ,ს: ფლუდი*

**მსაჯი: ნაიჯელ ოუენსი (უელსი)**

**ახ.ზელანდია-ირლანდია 66:28**

**ახ.ზელანდია (15-9) დაგი, ჯეინი, სმითი, სტენლი, როკოთოკო, კარტერი, ქოუანი (1-8). ბ.ფრენქსი, მეალამუ, ო.ფრენქსი, თორნი, ბორიჩი, კაინო, მაკქოუ, რიდი**

***შემცვლელები: დე მალმანში, ტიალატა, ვაითლოქი, ვიტო, ვეეპუ, კრუდენი, გუილდფორდი.***

*9ლ: ბ.ფრენქსი, რიდი, ქოუანი (2), სმითი (2), ვაითლოქი (2), ტიალატა. 9გ,პ: კარტერი*

**ირლანდია (15-9) კირნი, ბოუი, ბ.ოდრისკოლი, დარსი, ტრიმბლი, ოგარა, ოლირი (1-8) ჰილი, კრონინი, ჰეისი, ოკალაჰანი, მ.ოდრისკოლი, მალდუნი, ვოლესი, ჰისლიპი**

***შემცვლელები: ფოგარტი, ბაკლი, ტუოჰი, ჯენინგსი, რედანი, სექსტონი, მერფი.***

*4ლ: ბ. ოდრისკოლი, ბოუი, დარსი, ტუოჰი. 4გ: სექსტონი (3), ოგარა*

**გაძევება: ჰისლიპი**

**სინბინი: ოგარა**

**მსაჯი: უეინ ბარნსი (ინგლისი)**

**19 ივნისი**

**ახ. ზელანდია-უელსი**
**ს. აფრიკა-იტალია**
**ავსტრალია-ინგლისი**
**არგენტინა-შოტლანდია**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ფორმულა 1

კანადის გრან-პრი

# მაკლარენი დუბლებს დაეჩვია



„მაკლარენის" პილოტებმა **ლუის ჰემილტონმა** და **ჯენსონ ბატონმა** ზედიზედ მეორე დუბლი შეასრულეს, ხოლო მათმა მთავარმა კონკურენტებმა „რედ ბულიდან" განსხვავებული ტაქტიკა აირჩიეს და პოდიუმამდე ვერ მიაღწიეს.

შაბათს, ჰემილტონმა დაარღვია საკვალიფიკაციო რბოლებში „რედ ბულის" ჰეგემონია და პირველად ამ ჩემპიონატში ავსტრიულმა საჯინიბომ პოული ვერ მოიგო. **მარკ უებერი** და **სებასტიან ფეტელი** მეორე და მესამე პოზიციებით დაკმაყოფილდნენ, თუმცა რბოლის წინ ავსტრალიელის ბოლიდზე გადაცემათა კოლოფი შეცვალეს და ამის გამო მოქმედი ლიდერი სტარტზე ხუთი პოზიციით დააქვეითეს.

სტარტზე ჰემილტონმა შეინარჩუნა ლიდერობა, ფეტელმა კი **ფერნანდო ალონსოს** შეტევებს გაუძლო და ლუისს გამოედევნა. ლიდერთა უმრავლესობას რბილი ტიპის საბურავი ჰქონდა არჩეული და დანინაურებულებმა უკვე საწყისი წრეების გავლის შემდეგ დაიწყეს ტემპის დაკარგვა. ჰემილტონს მალე დაეწია ფეტელი, უებერი კი ბატონის გასწრების შემდეგ, ალონსოს მიუახლოვდა - „რედ ბულის" პილოტებმა თავიდან ხისტი ტიპის საბურავი აირჩიეს. მე-7 წრის ბოლოს ლუისი და ფერნანდო ერთად გაეშურნენ ბოქსებისკენ და „რედ ბულის" პილოტები რბოლას სათავეში ჩაუდგნენ. პიტ-ლეინზე ალონსომ საკუთარი მექანიკოსების უკეთესი მუშაობის წყალობით ჰემილტონი უკან ჩამოიტოვა.

მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ხისტი ტიპის საბურავი სავსე ავზებით დიდი ხანი ვერ გაძლებდა. ერთიმეორის მიყოლებით გაემართნენ ბოქსებისკენ **კუბიცა, შუმახერი**, უებერი და ფეტელი. რბოლის ლიდერი კი... **სებასტიან ბუემი** გახდა. „ტორო როსოს" კვალში ედგნენ ალონსო და ჰემილტონი. ერთ-ერთ მოსახვევში ფერნანდომ უშედეგოდ სცადა ბუემის გასწრება, შეყოვნდა და ამით კარგად ისარგებლა ჰემილტონმა, რომელმაც ამ გასწრებით კანადის გრან-პრიზე ლიდერობაც დაიბრუნა, რადგან ბუემი მალე ბოქსებისკენ გაეშურა.

პირველი პიტ-სტოპების შემდეგ სიტუაცია სტაბილური გახდა - ლიდერობდა ჰემილტონი, მას უკან ალონსო და ბატონი მიჰყვებოდნენ. რაც შეეხებათ ფეტელსა და უებერს, პირველი პაუზის შემდეგ ისინი შესაბამისად მეოთხე და მეხუთე პოზიციებზე დაუბრუნდნენ რბოლას.

ლიდერთა ჯგუფს მესამედი დისტანცია ჰქონდა გავლილი, როცა მეორე პიტ-სტოპების სერია დაიწყო. საბურავების შესაცვლელად ყველა შევიდა უებერის გარდა. ავსტრალიელმა კონკურენტებისგან განსხვავებული ტაქტიკა აირჩია, მაგრამ ამან არ გაამართლა. ყოველი წრის შემდეგ მარკის საბურავები ცვდებოდა და ფინიშამდე ოცი წრით ადრე ჰემილტონმა კიდევ ერთხელ დაიბრუნა ლიდერობა - ბრიტანელმა ავსტრალიელს პირველ მოსახვევში გაუსწრო. უებერი კი ბოქსებში შევიდა და იქიდან მეხუთე პოზიციაზე თავისი თანაგუნდელის უკან დაბრუნდა. მეორე ადგილზე ალონსო გავიდა, მაგრამ მას მალე დაეწია ბატონი და გაასწრო კიდეც - ესპანელსაც დაეწყო საბურავებთან დაკავშირებული პრობლემები. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მესამე ადგილის შენარჩუნება გადაწყვიტა და არ ჩაბმულა მოქმედ ჩემპიონთან ბრძოლაში.

მაგრამ ყველაზე მეტი პრობლემა საბურავებმა შუმახერს შეუქმნა. მიხაელი, ისევე როგორც უებერი, რბოლას რბილი საბურავით ასრულებდა და ბოლო წრეებზე იძულებული გახდა მინიმუმამდე დაეგდო ტემპი. ფინიშამდე ცხრა წრით ადრე მერვე ადგილისთვის ბრძოლაში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს ბუემიმ გაუსწრო. ამის შემდეგ გერმანელის ჩამოტოვება სცადა „ფერარიში" მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა - **ფელიპე მასამ**, მაგრამ მიხაელმა დამუხრუჭებისას ტრასიდან გადააგდო ბრაზილიელი, რომელსაც წინა ანტიფრთა დაუზიანდა. თუმცა მიხაელმა მაინც ვერ შეძლო ქულათა ზონაში შესვლა, რადგან ბოლო წრეზე მას ლიუციმ და სუტილმა გაუსწრეს.

ლუის ჰემილტონმა კი ზედიზედ მეორე რბოლა მოიგო და ამის წყალობით პირველად ჩაუდგა სათავეში საერთო ჩათვლას. „მაკლარენმა", ისევე როგორც ორი კვირის წინ თურქეთში, დუბლი შეასრულა. პოდიუმი ალონსომ შეავსო.

ორი კვირის შემდეგ პილოტებს ვალენსია ელოდება, სადაც ევროპის გრან-პრი უნდა გაიმართოს.

## რბოლის სტენოგრამა

1 - სტარტი! ჰემილტონმა შეინარჩუნა პირველი ადგილი. ფეტელმა დაიცვა მეორე პოზიცია და წინ არ გაუშვა ალონსო.

1 - ლიდერების უკან არეულობა შეიქმნა. ლიუცისა და მასას შორის კონტაქტს ჰქონდა ადგილი, რის გამოც „ფერარიმ" რამდენიმე პოზიცია დაკარგა, „ფორს ინდია" მოსრიალდა.

2 - ჰემილტონსა და ფეტელს შორის სხვაობამ უკვე წამს მიაღწია.

4 - საერთო ჩათვლის ლიდერი უებერი მეხუთეა, მას ბატონი უტევს. პირველი ათეული: ჰემილტონი, ფეტელი, ალონსო, ბატონი, უებერი, კუბიცა, სუტილი, შუმახერი, ჰიულკენბერგი, ალგერსუარი.

5 - უებერმა ბატონს გაუსწრო, შუმახერმა - სუტილს.

6 - ჰემილტონმა ტემპი დაკარგა - „სუპერსოფტის" საბურავი გაცვდა. ბრიტანელს ფეტელი უტევს.

7 - ჰემილტონი და ალონსო ბოქსებში შევიდნენ.

8 - მათ შორის დაძაბული ბრძოლა გაიმართა ბოქსებიდან გამოსვლისას. მთელი პიტ-ლეინი გვერდიგვერდ იარეს, მაგრამ ფერნანდო მაინც წინ აღმოჩნდა.

9 - პირველი ათეული: ფეტელი, უებერი (+1,7), შუმახერი (+7,0), ბუემი (+8,6), ალონსო (+14,3), ჰემილტონი (+14,7), კოვალაინენი (+18,4), ბატონი (+19,0), კუბიცა (+20,4), სუტილი (+23,0).

11 - ბატონმა საუკეთესო დრო აჩვენა - 1.19,808.

13 - შუმახერს ბოქსებიდან გამოსვლისას კუბიცამ შეუტია. დაძაბულ ბრძოლაში ორივე პილოტმა მოჭრა მოსახვევი, თუმცა გერმანელმა შეინარჩუნა პოზიცია.

14 - ფეტელი ბოსებში შევიდა და ცოტა ხნით ლიდერი ბუემი გახდა.

15 - ჰემილტონმა ალონსოს გაასწრო.

17 - ყველა პილოტი იმყოფებოდა ბოქსებში. შუმახერმა ეს ორჯერ გააკეთა - მეორედ კუბიცასთან კონტაქტის გამო.

18 - როსბერგმა საუკეთესო დრო აჩვენა - 1.19,214.

23 - პირველი ათეული: ჰემილტონი, ალონსო (+0,6), ბატონი (+2,2), ფეტელი (+4,5), კუბიცა (+6,6), სუტილი (+13,3), სუტილი (+13,9), ბუემი (+17,8), როსბერგი (+19,6), ჰიულკენბერგი (+30,3).

26 - ალონსომ ვერ მოასწრო ჰემილტონზე შეტევა - ლუისი ბოქსებში გაეშურა.

27 - კუბიცა, ბატონი და ფეტელი ბოქსებში შევიდნენ.

28 - ალონს პიტსტოპზე გაემართა. უებერი ლიდერი გახდა.

31 - საუკეთესო ათეული: უებერი, ჰემილტონი (+9,7), ალონსო (+11,9), ბატონი (+13,6), ფეტელი (+14,7), ბუემი (+19,2), კუბიცა (+28,7), როსბერგი (+34,6), შუმახერი (+39,9), ალეგერსუარი (+48,4).

33 - უებერი ჰემილტონს გაექცა. სრულიად არაპროგნოზირებადი რბოლაა. განსხვავებული ტაქტიკა და სხვადასხვა ლიდერი სხვადასხვა დროს.

38 - ჰემილტონმა საუკეთესო დრო აჩვენა - 1.18,810.

40 - უებერმა ტემპი დაკარგა. ყოველ წრეზე წამს აგებდა კონკურენტებთან. ფეტელმა საუკეთესო დრო აჩვენა - 1.18,650.

42 - საუკეთესო ათეული: უებერი, ჰემილტონი (+8,2), ალონსო (+10,2), ბატონი (+13,2), ფეტელი (+14,4), კუბიცა (+38,4), როსბერგი (+42,8), ბუემი (+44,9), შუმახერი (+65,8).

43 - ალონსომ საუკეთესო დრო აჩვენა - 1.18,567.

45 - უებერის უპირატესობა ჰემილტონზე 4.8 წამამდე დავიდა.

46 - საერთო ჯამში, რბოლაში ხუთი ლიდერი დარჩა: უებერი, ჰემილტონი, ალონსო, ბატონი და ფეტელი. ისინი ათი წამის ფარგლებში მიდიან.

50 - უებერის ბოლიდზე საბურავები თითქმის გამოვიდა მწყობრიდან. მას იოლად დაეწია ჰემილტონი და სტარტი-ფინიშის სწორზე აუარა გვერდი.

50 - უებერი ბოქსებში შევიდა. ავსტრალიელი მეხუთეა და თანაგუნდელთან 11 წამს აგებს.

56 - ბატონი ალონსოს დაეწია და გაასწრო. „ფერარი" წრეზე ჩამორჩენილების გასწრებისას შეყოვნდა და ბრიტანელმა ამით ისარგებლა.

57 - საუკეთესო ათეული: ჰემილტონი, ბატონი (+3,1), ალონსო (+3,5), ფეტელი (+8,3), უებერი (+17,9), კუბიცა (+46,9), როსბერგი (+53,8), შუმახერი (1 წრე), ბუემი (1 წრე), ჰიულკერბერგი (1 წრე).

59 - ბატონი თანაგუნდელს დაეწია - სხვაობა 2.2 წამია.

61 - ბუემიმ შუმახერს შუტია. გერმანელმა რამდენჯერმე გადაუღობა გზა, მაგრამ „ტორო როსო" მაინც გავიდა წინ. სება მერვეა.

62 - კუბიცამ საუკეთესო დრო აჩვენა - 1.17,178.

63 - რბოლის მეორე ნახევარში ფეტელი ჩრდილში მოექცა.

64 - მასა შუმახერს დაეწია, მაგრამ გერმანელის გასწრებისას სისწრაფე ვერ გათვალა, ბალახებში გადავიდა და წინა ანტიფრთა დააზიანა. ფელიპე ხარვეზის გამოსასწორებლად ბოსქებში შევიდა.

65 - გუნდმა ფეტელს ტემპის დაგდება სთხოვა.

67 - კუბიცამ საუკეთესო დრო აჩვენა - 1.16,972.

69 - ფინიშამდე ორი წრით ადრე ჰემილტონი და ბატონი ლიდერობენ, ალონსო მესამეა. შემდეგ მოდიან ფეტელი, უებერი, როსბერგი, კუბიცა, ბუემი, შუმახერი და ლიუცი.

70 - ფინიში - ლუის ჰემილტონი - კანადის გრან-პრის გამარჯვებულია. ბატონი მეორეა, ალონსო - მესამე, ფეტელი - მეოთხე, უებერი - მეხუთე, როსბერგი - მეექვსე, კუბიცა - მეშვიდე, ბუემი - მერვე. ლიუციმ და სუტილმა ბოლო წრეზე გაასწრეს შუმახერს და ათეულში შეაღწიეს. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მე-11 ადგილზე გავიდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კანადის გრანპრი. VIII ეტაპი

**მონრეალი (70 წრე, 305.270 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(1). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 1:33.53,456 |
| 2(5). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +2,254 |
| 3(4). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +9,214 |
| 4(3). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +37,817 |
| 5(2). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +39,291 |
| 6(10). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +56,084 |
| 7(8). რობერტ კუბიცა (რენო, პოლონეთი) | +57,300 |
| 8(15). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 1 წრე |
| 9(6). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს ინდია, იტალია) | 1 წრე |
| 10(9). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | 1 წრე |
| 11(13). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | 1 წრე |
| 12(16). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 1 წრე |
| 13(12). ნიკო ჰიულკენბერგი (უილიამსი, გერმანია) | 1 წრე |
| 14(11). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 1 წრე |
| 15(7). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | 1 წრე |
| 16(19). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 2 წრე |
| 17(14). ვიტალი პეტროვი (რენო, რუსეთი) | 2 წრე |
| 18(24). კარუნ ჩანდჰოკი (HRT. ინდოეთი) | 4 წრე |
| 19(23). ლუკას დი გრასი (ვირჯინი, ესპანეთი) | 5 წრე |
| 20(21). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 20 წრე |
| 21(20). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 28 წრე |
| 22(17). პედრო დე ლა როსა (BMW-ზაუბერი, ესპანეთი) | 38 წრე |
| 23(22). ბრუნო სენა (HRT F1, ბრაზილია) | 54 წრე |
| 24(18). კამუი კობაიაში (BMW-ზაუბერი, იაპონია) | 70 წრე |

## კონსტრუქტორთა თასი

1. მაკლარენი - 215 ქულა; 2. რედ ბული - 193; 3. ფერარი - 161; 4. მერსედესი - 108; 5. რენო - 79; 6. ფორს ინდია - 35; 7. უილიამსი - 8; 7. ტორო როსო - 8; 9. BMW-ზაუბერი - 1.

| | ბაჰ | ავს | მალ | ჩინ | ესპ | მონ | თურ | კან | ევრ 27.06 | ბრიტ 11.07 | გერ 25.07 | უნგ 01.08 | ბელ 29.08 | იტა 12.09 | სინ 26.09 | იაპ 10.10 | კორ 24.10 | ბრა 07.11 | ა-დაბ 14.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰემილტონი (მაკლარენი) | 15 | 8 | 8 | 18 | -- | 10 | 25 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 109 |
| ბატონი (მაკლარენი) | 6 | 25 | 4 | 25 | 10 | -- | 18 | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 106 |
| უებერი (რედ ბული) | 4 | 2 | 18 | 4 | 25 | 25 | 15 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 103 |
| ალონსო (რენო) | 25 | 12 | -- | 12 | 18 | 8 | 4 | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 94 |
| ფეტელი (რედ ბული) | 12 | -- | 25 | 8 | 15 | 18 | -- | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 90 |
| როსბერგი (მერსედესი) | 10 | 10 | 15 | 15 | -- | 6 | 10 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 74 |
| კუბიცა (რენო) | -- | 18 | 12 | 10 | 4 | 15 | 8 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 73 |
| მასა (ფერარი) | 18 | 15 | 6 | 2 | 8 | 12 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 67 |
| მ. შუმახერი (მერსედესი) | 8 | 1 | -- | 1 | 12 | -- | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 34 |
| სუტილი (ფორს ინდია) | -- | -- | 10 | -- | 6 | 4 | 2 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 23 |
| ლიუცი (ფორს ინდია) | 2 | 6 | -- | -- | -- | 2 | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 12 |
| ბარიკელო (უილიამსი) | 1 | 4 | -- | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 7 |
| პეტროვი (რენო) | -- | -- | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| ბუემი (ტორო როსო) | -- | -- | -- | -- | -- | 1 | -- | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 5 |
| ალგერსუარი (ტორო როსო) | -- | -- | 2 | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 3 |
| ჰიულკენბერგი (უილიამსი) | -- | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 |
| კობაიაში (BMW-ზაუბერი) | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა — ბრილიანტის ლიგა

# XXI საუკუნის რეკორდი



შაბათს, ნიუ იორკში „ბრილიანტის ლიგის“ რიგით მეხუთე ეტაპი გაიმართა, რომელიც ბოლო გახლდათ ივნისში და ისტორიაში პირველი ამერიკის ტერიტორიაზე. ევროპული ეტაპების ფონზე ამერიკული სტარტი გარკვეული ხარვეზებით აღინიშნა - ტელეჩვენებისა და ორგანიზაციის მხრივ. გარდა ამისა, თუ წინა ეტაპზე რომში ტურნირი უდიდეს საფეხბურთო სტადიონზე გაიმართა, აქ მეტად მოკრძალებული არენა ვიხილეთ ერთი დიდი ტრიბუნით.

რაც შეეხება ტურნირის შემადგენლობას, ამერიკელები ამ მხრივაც ჩამორჩნენ ევროპას. თანაც ორგანიზატორები **უსაინ ბოლტმა** დაალალატა - იამაიკელი ნიუ იორკში ჩასვლას აპირებდა, მაგრამ ტრავმამ შეუშალა ხელი.

პირველ რიგში უნდა გამოვყოთ მამაკაცებს შორის სამხტომის დისციპლინა. სექტორში ყველა ძლიერი შეიკრიბა - **ტედი ტამგო, ფილიპს აიდოვუ** და **კრისტიან ოლსონი**. ამათგან წელს ფრანგმა ტამგომ გაისროლა, როცა დოჰაში მსოფლიოს ჩემპიონატზე (დარბაზებისთვის) მსოფლიოს რეკორდი ჩამოართვა ოლსონს. ამ უკანასკნელმა მოირჩინა ტრავმა და მზად არის ლიდერობის დასაბრუნებლად. რაც შეეხება აიდოვუს, ის მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის გამარჯვებულია.

სანამ ტედი პირველ ორ ცდაზე ხურდებოდა, ლიდერობა აიდოვუმ იგდო ხელთ - 17.22. მასთან სანტიმეტრს აგებდა ოლსონი. მაგრამ ამის შემდეგ ტამგოს ბენეფისი დაიწყო. ის ჯერ 17.61 მეტრზე გაფრინდა და მნიშვნელოვნად ჩამოიტოვა უკან კონკურენტები, მეხუთე ცდაზე კი ზურგის ქარის დახმარებით 17.84 აჩვენა. იქვე ბრწყინვალე შედეგი დააფიქსირა ოლსონმა - 17.62, რაშიც ძლიერი ზურგის ქარი (+3.4 მ/წმ) დაეხმარა. კრისტიანმა ამით მეორე ადგილი გაინაღდა, ტამგოს დამწევი კი არავინ იყო. უკვე გამარჯვებულის რანგში ფრანგმა ფენომენალური ნახტომი შეასრულა - ქვიშაში 17.98 მეტრზე დაეშვა! ბრწყინვალე შედეგია, მაგრამ სიხარულის ნაცვლად ტამგომ იმედგაცრუება გამოხატა, რადგან ორი სანტიმეტრი დააკლდა 18 მეტრამდე.

ფრანგი, რა თქმა უნდა, თვალთმაქცობდა. ასეთი შედეგი ბევრისთვის საოცნებოა. ამაზე შორს მძლეოსნობის ისტორიაში მხოლოდ ორ ათლეტს უფრენია - **კენი ჰარისსა** და დიად **ჯონათან ედვარდსს**. ტამგომ XXI საუკუნეში საუკეთესო შედეგი აჩვენა, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, ასე შორს ბოლო 12 წელია არავინ გადამხტარა. არადა, ტედი 15 ივნისს მხოლოდ 21 წლის გახდება.

კიდევ ერთმა ფრანგმა იმარჯვა ჭოკით ხტომის სექტორში. **რენო ლავილენიემ** ზედიზედ მეორედ დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი **სტივ ჰუკერი**, თუმცა ამჯერად მათ შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. ავსტრალიელმა მხოლოდ მესამე ცდაზე აიღო 5.70 და შემდეგ პირველივე ცდაზე აჩვენა 5.80 მეტრი. რენოს პასუხი ღირსეული იყო - ერთი ცდა მოანდომა 5.85 მეტრის დაძლევას. ჰუკერმა 5.90-ს ვერაფერი მოუხერხა და მეორე ადგილს დასჯერდა. თუმცა წინა ორ ეტაპზე ჩავარდნის შემდეგ, ეს ავსტრალიელისთვის კარგ გამოსვლად უნდა ჩაითვალოს.

სარბენ ბილიკზე მთავარი გმირი აღმოჩნდა **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი**. იამაიკელმა სპრინტერმა ბრწყინვალე სტარტი აიღო 200 მეტრზე, მაგრამ ისე ჩანდა, რომ ბოლოს მას **ელისონ ფელიქსი** დაეწეოდა. თუმცა ვერონიკამ გაძლო და შესანიშნავი დროც აჩვენა - 21.98 წამი, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია. ელისონმა 5 მეასედი წამი წააგო.

კაცების სპრინტში სეზონის ლიდერები არ მონაწილეობდნენ, მიუხედავად ამისა, ფინალის რვა მონაწილიდან ექვსმა შეძლო 10 წამზე ნაკლები დროის ჩვენება, გამარჯვება კი ტრინიდადელმა **რიჩარდ ტომპსონმა** მოიპოვა - 9.89 წამი.

### V ეტაპი. ნიუ იორკი (აშშ)

#### კაცები

**100 მ.** 1. რიჩარდ ტომპსონი (ტრი) - 9,89; **800 მ.** 1. მბულაენი მულაუძი (ს. აფრ) - 1.44,38; (ტურნირის რეკორდი); **400 მ/თარჯრბენი.** 1. კერონ კლემენტი (აშშ) - 47,86 (ტურნირის რეკორდი); **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. პოლ კიპსელე კოეჩი (კენ) - 8.10,43; **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ლინუს ტიორნბლადი (შვედ) - 2,30; **ჭოკით ხტომა.** 1. რენო ლავილენიე (საფ) - 5.85 (ტურნირის რეკორდი); **სამხტომი.** 1. ტედი ტამგო (საფ) - 17,98 (სეზონის ლიდერი, საფრანგეთის რეკორდი); **შუბის ტყორცნა.** 1. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 87,02 (ტურნირის რეკორდი);

#### ქალები

**200 მ.** 1. ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი (იამ) - 21,98 (სეზონის ლიდერი, ტურნირის რეკორდი); **1500 მ.** 1. ნენსი ლანგატი (კენ) - 4.01,60 (სეზონის ლიდერი, ტურნირის რეკორდი); **5000 მ.** 1. ტირუნეშ დიბაბა (ეთი) - 15.11,34; **100 მ/თარჯრბენი.** 1. ლოლო ჯონსი (აშშ) - 12,55 (სეზონის ლიდერი); **სიგრძეზე ხტომა.** 1. ბრაიანა გლენი (აშშ) - 6,78; **ბადროს ტყორცნა.** 1. სანდრა პერკოვიჩი (ხორ) - 61,96; **ბირთვის კვრა.** 1. ვალერი ვილი (ახ. ზელ) - 19,93 (ტურნირის რეკორდი).

ჩოგბურთი

# ნალბანდიანი უიმბლდონზე მიდის

უიმბლდონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ტურნირის ძირითადი ბადის კიდევ სამი მონაწილე გახდა ცნობილი. „დიდი სლემის“ რიგით მესამე ჩემპიონატის ორგანიზატორებმა სპეციალური მიწვევა გაუგზავნეს ამერიკელ, სამხრეთაფრიკელ და ტაილანდელ ჩოგბურთელებს.

ნორჩი ამერიკელი **კლისონ რისკე** გასულ კვირას ბირმინგემის ტურნირზე კარგი გამოსვლისთვის მიიწვიეს უიმბლდონზე. კერძოდ, რისკემ ნახევარფინალში გააღწია, სადაც **მარია შარაპოვასთან** წააგო - 2:6, 6:4, 1:6.

ამერიკელის გარდა, ლონდონში სათამაშოდ ჩავლენ სამხრეთაფრიკელი **შანელ შიპერსი** და ტაილანდელი **ნოპავან ლერტჩივაკარნი**.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე უიმბლდონის უაილ-ქარდი ოთხმა ბრიტანელმა მიიღო - **კეტი ო'ბრაენმა, მელანი საუთმა, ჰიზერ უოტსონმა** და **ლორა ბრაუნმა**.

■ ■ ■

ამასობაში ირკვევა, რომ უიმბლდონზე ითამაშებს არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი**, რომელიც მუხლის ტრავმის გამო მარტის შემდეგ არ გასულა კორტზე. უიმბლდონის ყოფილი ფინალისტი სათამაშო ფორმის აღსადგენად ამ კვირას ლივერპულში საჩვენებელ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

სამაგიეროდ, „დიდი სლემის“ ტურნირის გამოტოვება მოუწევს ნალბანდიანის თანამემამულე **ხუან მონაკოს**. არგენტინელმა მაჯა დაიზიანა და მას დაახლოებით 9 კვირა მოუწევს დასვენება. შესაბამისად, მონაკო ვერ ითამაშებს რუსეთთან დევისის თასის მეოთხედფინალში, რომელიც უიმბლდონის შემდეგ გაიმართება.

ტრავმასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ინფორმაცია ჩილელ **ფერნანდო გონსალესს** უკავშირდება. მსოფლიოს 21-ე ჩოგანი იძულებულია მუხლის დაზიანების გამო შეწყვიტოს კარიერა და ჯანმრთელობას მიხედოს. მონაკოს მსგავსად, ჩილელმაც უიმბლდონი და დევისის თასის მეოთხედფინალი



(ჩეხეთთან) უნდა გამოტოვოს. ჩოგბურთელის დაბრუნება 10 კვირის შემდეგ ტორონტოს მასტერსზე იგეგმება.

■ ■ ■

დაბოლოს, ცნობილმა აზიელმა ჩოგბურთელმა **პარადორნ შრიჩაფანმა** ოფიციალურად დაასრულა კარიერა. 30 წლის ტაილანდელს, რომელიც თავის დროზე საუკეთესო ათეულში შედიოდა, 2007 წლიდან აწუხებდა ხელის ტრავმა, მაგრამ მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა კორტზე დაბრუნება. თუმცა ცოტა ხნის წინ მომხდარი ავტოავარიისას ტაილანდელმა ორივე ხელი და მუხლი დაიზიანა, რამაც საბოლოოდ გადაუსვა ხაზი მის კარიერას.

შრიჩაფანმა პროფესიული კარიერა 1997 წელს დაიწყო. ATP-ის ტურში მას ხუთი ტიტული აქვს მოგებული - სტოკჰოლმში (2002), ლონგ აილენდში (2002, 2003), ჩენაისა (2003) და ნოტინგემში (2004). მისი მთავარი მიღწევაა რეიტინგში მეცხრე ადგილი, რომელიც 2005 წელს 12 მაისს დაიკავა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### იტალია

| სერია A/B. პლეი ოფი | |
|---|---|
| ბრეშა-ტორინო | 2:1 |

*ბრეშა სერია A-ში დაბრუნდა*

| სერია B/C. პლეი ოფი | |
|---|---|
| პესკარა-ვერონა | 1:0 |
| ვარეზე-კრემონეზე | 2:0 |

#### ესპანეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ნუმანსია-ვილიარეალი B | 1:0 |
| ალბასეტე-ხირონა | 3:0 |
| კორდობა-უნიონი | 4:0 |
| ხიმნასტიკი-ელჩე | 3:1 |
| ერკულესი-რაიო ვალეკანო | 2:1 |
| უესკა-კადისი | 2:1 |
| ლევანტე-კასტელონი | 3:1 |
| მურსია-ლას პალმასი | 1:0 |
| სოსიედადი-სელტა | 2:0 |
| რეკრეატივო-კარტახენა | 1:0 |
| სალამანკა-ბეტისი | 1:1 |

*სოსიედადი და ლევანტე პრიმერა დივიზიონში დაბრუნდნენ*

#### დანია

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ჰორსენსი-ფინი | 3:1 |
| ბრაბრანდი-ლუნგბიუ | 0:2 |
| ვესტსიელანდი-ნაესტვედი | 1:1 |
| ჰვიდოვრე-როსკილდე | 0:2 |
| კოლდინგი-ფრედერისია | 1:0 |
| სკივე-ტისტედი | 4:0 |
| ვეილე-ფრემი | 1:2 |
| ვიბორგი-აკადემისკი | 1:0 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ლაჰტი-ოულუ | 0:3 |
| ჰიკ-მიუპა | 2:0 |
| მარიეჰამნი-ჰაკა | 2:3 |
| კუოპიო-ჰონკა | 0:2 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| იიპო-ჰამეენლინა | 0:1 |
| კლუბი 04-პკ35 | 0:2 |
| როვანიემი-ტპვ ტამპერე | 8:0 |
| ესპოო-მიკელი | 1:0 |
| კპვ-კემი | 2:2 |
| ვიიკინგიტი-პოპა | 5:0 |

#### შვედეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ოსტერსი-ანგელჰოლმი | 1:0 |
| ლიუნგსკილე-ბრაგე | 5:1 |
| ვასბი-იონჩოპინგი | 3:4 |
| ლანდსკრონა-ნორჩოპინგი | 3:1 |
| იორგრიტე-ტროლჰატანი | 3:3 |
| ფალკენბერგი-სუნდსვალი | 0:1 |
| სირიანსკა-ასირისკა | 3:2 |

#### ისლანდია

| | |
|---|---|
| ვესტმანაეიარი-ფილკირი | 1:0 |

#### რუსეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ლუჩ-ენერგია-ნიცნი ნოვგოროდი | 3:1 |
| სკა ენერგია-მორდოვია | 3:1 |
| ირტიში-დინამო (ს-პ) | 0:2 |
| ურალი-ბალტიკა | 1:0 |
| ვოლგა-დინამო (ბრ) | 1:1 |
| ავანგარდი-როტორი | 1:3 |
| კამაზ-შინიკი | 1:2 |
| სალუტი-გაზპრომი | 1:2 |
| ხიმკი-ჟემჩუჟინა | 3:1 |
| ყუბანი-კრასნოდარი | 3:0 |

#### ბელარუსი

| | |
|---|---|
| დინამო (მნ)-ნემანი | 1:0 |
| დინამო (ბრ)-ბელშინა | 1:1 |
| დნეპრი-ნაფტანი | 1:0 |
| ბატე-მინსკი | 1:2 |
| ვიტებსკი-პარტიზანი | 0:1 |
| შახტიორი-ტორპედო | 4:1 |

#### ესტონეთი

| | |
|---|---|
| ლევადია-კალიუ | 0:0 |
| ტამეკა-პაიდე | 0:0 |
| ტულევიკი-კალევი | 1:2 |
| ლოოტუსი-ფლორა | 0:4 |
| ტრანს ნარვა-კურესაარე | 3:0 |

#### ლატვია

| | |
|---|---|
| ბლაჟმა-იურმალა | 0:4 |
| იაუნიბა-ოლიმპსი | 0:9 |
| ვენტსპილსი-სკონტო | 2:1 |
| მეტალურგსი-ტრანზიტსი | 2:0 |
| დაუგავა-იელგავა | 1:1 |

#### ლიტვა

| | |
|---|---|
| კრუოია-ვეტრა | 1:1 |
| ეკრანასი-მაჟეიკიაი | 5:0 |
| ატლეტასი-ტაურასი | 0:1 |
| ჟალგირისი-სუდუვა | 1:1 |

#### ეკვადორი

| | |
|---|---|
| დეპ. კუენსა-ოლმედო | 0:1 |
| ბარსელონა-ემელეკი | 1:2 |
| ლდუ კიტო-დეპ. კიტო | 2:0 |
| მანტა-ესპოლი | 1:0 |
| უნ. კატოლიკა-ინდეპენდიენტე | 2:0 |
| მაკარა-ელ ნასიონალი | 1:0 |

#### პერუ

| | |
|---|---|
| სპორტი-სენსიანო | 1:1 |
| ალ. ატლეტიკო-ხუან აურიჩი | 2:2 |
| მელგარი-ხოსე გალვესი | 2:0 |
| ლეონი-სპ. კრისტალი | 6:0 |
| სან მარტინი-ინტი გასი | 2:1 |
| სესარ ვალეხო-კოლეგიო | 2:0 |

### კალათბურთი

| გერმანია | |
|---|---|
| ბამბერგი-სკაილაინერსი | 97:52 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ბარსელონა-კახა ლაბორალი | 69:70 |

| იტალია | |
|---|---|
| სიენა-მილანი | 100:80 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| შოლე-ლე მანი | 65:81 |

### ჩოგბურთი

| ATP. ლონდონი | |
|---|---|
| კუერი-ფიში | 7:6, 7:5 |

| ATP. ჰალე | |
|---|---|
| ფედერერი-ჰიუიტი | 6:3, 6:7, 4:6 |

| ATP. ისტბურნი | |
|---|---|
| დოლგოპოლოვი-ბეიკერი | 6:4, 3:6, 6:1 |
| სეპი-მარჩენკო | 4:6, 4:6 |
| გარსია ლოპესი-ჟიკელი | 6:4, 6:7, 7:6 |

| ATP. ჰერტოგენბოში | |
|---|---|
| სერა-ფალა | 4:6, 4:6 |
| ჰაასე-გროილი | 5:7, 6:7 |
| რასელი-ლუჩაკი | 6:7, 6:7 |
| ხირალდო-ჩიუდინელი | 6:2, 7:5 |

| WTA. ბირმინგემი | |
|---|---|
| შარაპოვა-ნა ლი | 5:7, 1:6 |

| WTA. ჰერტოგენბოში | |
|---|---|
| ციბულკოვა-რობსონი | 6:3, 6:4 |
| პეტკოვიჩი-კვიტოვა | 6:3, 7:6 |
| საფინა-რიბარიკოვა | 7:6, 4:6, 4:6 |

## TV პროგრამა

### 14 ივნისი. ორშაბათი

#### I არხი

15:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
15:20 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. E ჯგუფი. ჰოლანდია-დანია (LIVE).
17:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
17:50 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. E ჯგუფი. იაპონია-კამერუნი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
22:20 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. F ჯგუფი. იტალია-პარაგვაი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

#### მზე

13:00 იმედის ფსონი.

#### რუსთავი 2

00:00 საფეხბურთო ღამე.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:00 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-მალაგა.
08:50 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
10:05 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლივერპული-ლიონი.
12:00 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
12:45 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.
14:35 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
15:20 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ცსკა-მანჩესტერ იუნ.
17:15 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-მილანი.
19:00 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-ბორდო.
20:50 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
22:35 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რეალი-მილანი.
00:30 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
01:45 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სევილია.
03:30 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნ.
05:15 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.

#### EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
11:00 რალი. მსოფლიოს ტური რალი-რეიდში. VIII ეტაპი.
11:30 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი.
12:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
14:15 ველოსპორტი. რბოლა „კრიტერიუმ დოფინე ლიბერე“. VII ეტაპი. საფრანგეთი.
15:00 ახალი ამბები.
15:05 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
17:30 ახალი ამბები.
17:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
17:45 ველოსპორტი. რბოლა „კრიტერიუმ დოფინე ლიბერე“. VII დღე. საფრანგეთი.
18:30 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
20:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
20:55 ახალი ამბები.
21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
21:10 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
22:00 ახალი ამბები.
22:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
22:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
22:45 მულტისპორტი.
23:00 პრო-რესტლინგი.
23:30 მულტისპორტი.
00:30 ახალი ამბები.
00:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
01:10 ახალი ამბები.
01:15 ბრძოლა წესების გარეშე.
02:45 მულტისპორტი.
03:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.


ყველაზე ნალდი ალჟირელი ფანი განათების ბოძზე



ბარაკ ობამამ ფეხბურთისთვისაც მოიცალა


ინგლისელი ფანების განცდა: აუ ეს რა ქნა გრინმა?!


ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები მოცალეობის ჟამს:
[illegible]

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge

სიახლე დამწყები ფეხბურთელებისათვის!
წიგნი + DVD






იკითხეთ წიგნის მაღაზიებში